

ჭავალ პიპიკე

**თევეზის გეორგევას  
გრამატიკული საზყალისი**



**Zaal Z. Kikvidze**

**GRAMMATICAL MEANS  
EXPRESSING POLITENESS  
(Sociolinguistic Approach)**

Tbilisi  
1999

ჭავალი გიგვიშე

თევზის გეორგიუს  
გრიგორიუს  
(სოსიოლინგვისტი კსენიფი)

თბილისი  
1999

რედაქტორი პროფ. გიორგი გოგოლაშვილი

რეცენზენტები: პროფ. თედორე უთურგაძე  
პროფ. შუჟუნა ფეიქრიშვილი

ISBN 99928-79-24-6

© ზაალ კიკვიძე

## თინათხა

ეს წიგნი რამდენიმე წლის წინათ დაიწერა და მხოლოდ ტექნიკურმა დაბრკოლებებმა დააყოვნა მისი გამოცემა. მასში ძირითადად ის დასკვნებია გამეორებული, რომლებიც ჩვენს საკანდიდატო დისერტაციაში (1995 წ.) იყო მოცემული; თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ კვლევის შემდგომი ეტაპების შედეგად შემუშავებულ დებულებებსაც დავუთმეთ საგრძნობი ადგილი.

სამწუხაროდ, ამ წიგნის გამოცემას ვერ მოესწორო ჩემი დიდი მოძღვარი და უფროსი მეგობარი, ბესარიონ ჯორბენაძე, რომლის ამაგის შესაფერად შეფასება შეუძლებლად მიმაჩნია ორიოდე სიტყვით.

გამორჩეული მადლობა უნდა ვუთხრა წიგნის რედაქტორს, ბატონ გიორგი გოგოლაშვილს, რეცენზინტებს: ბატონ თედორე უთურგაიძესა და ქალბატონ უუუუნა ფეიქრიშვილს ჩემთვის დახარჯული დროისათვის, სასარგებლო რჩევებისა და გამხნევებისათვის.

ამ წიგნის ავტორისაგან კიდევ ძალიან, ძალიან ბევრ ადამიანს ეყუთვნის მადლობა სიკეთის, გულისხმიერებისა და სამართლიანობისათვის.

**ზაჟლ პიპიძე**

# სარჩვი

შესავალი .....	8
თავი I.	
მრავლობითი რიცხვის სემანტიკა და	
მისი სოციო-სტილისტური დანიშნულება .....	13
§1. მრავლობითი რიცხვის სემანტიკა და ფუნქციონირება .....	13
§2. ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი და მეორეული ჩვენ .....	16
§3. ტრანს-სემანტიზაცია .....	27
§4. სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები და ზმნის რიცხვი .....	37
§5. გრამატიკული ევფემიზმი .....	41
თავი II.	
თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებათა სოციოლინგვისტური ანალიზი .....	55
§1. ენათმეცნიერული მეთოდები და სოციოლინგვისტური ანალიზის პრინციპები .....	55
§2. სოციოლინგვისტიკის ცნებითი აპარატი ენის ცვლად ბუნებასთან მიმართებაში .....	59
§3. სამეტყველო ქცევის კომპონენტები, როლებრივი ურთიერთობანი და სოციოლინგვისტური ცვლადები .....	63
დასკვნა .....	77
Grammatical Means Expressing Politeness.....	80
შიმოქლებები .....	96
მითითობული და გამოყიდული ლიტერატურა .....	97

# ՄԱՍԱՑԱԾՈ

Յունիոն յոցը Խալեցնոցի Խաթռութե, Տաբդելներքանդիլութեա այս  
հռուպութիւն ճակաացիան, Շամպուց յիւս յեցի, Ազգամշտութեա, Շմի  
յի Խանցագութեու ոյտ Խոյցընա չէին յուացը տաճամցանցը Խոյցութեա-  
քութեային Բաթրականքինիւ ջուցն ենուս պարու ոխտ Պայտատականցը յու-  
ցիս Երշուալուս Ճյիկըն յիւս ու և Երշուալուս յանուցը ունենալու  
անցութեա Խանցուննեա Ազգեանն Եեցաւա բայցանացը առանձնեալուն յու-  
ցուն Արքեանա առցուե Եահանունը պայծառանիա Խոյցուանանցութեան-  
ց ունու յանուցանցը, Շմի յիւս ու Խանցագութեա Բրանիցը  
կահայցիկը յիւս ան անցացը յանուցանցը պայծառանիա պայծառանիա-  
նուն, Շմբումը պ. Բանութի օքաննեա, Անցուապություննեա աթցանա,  
բանուապութեա Խանցիմունի յուրացուա յանուցանցը ան Խոյցուանուն Ելիսու-  
մուցընի Արքեան ու, Այսաւա, Բամմանեան Խանցիմուն ո յանու յիւս  
ան ոյտ ու Արքեանունըն<sup>1</sup>! Երշուալուս Պայտ յանուցութեա ձամացիւն անցընի,  
Բար, Շմի, Բանութի պ. Ազգաւայնուննեա Ասունցաւա, Կոյլ  
պայտուննեա. Առա վիկյան, Շմի յիւս, Շմբումը Խանցագութեանցը յանումը-  
նու, Արքանեան Զաշանուն ու ոյցանուն բայցանանի Առաջնաւ յիւս ուն  
վիճակ քայութեա ուն, Շմբումը յիւս Խոյցուցան Ճակաացիա Խանցագութեա-  
նու Կայություննեա, Անցանու Պայտ ճաշամանուցանցը ու Ահունուցը նոր-  
ականունը յիւս Խոյցուանուն Կայություննեա „Պատմու” Առաջան, Խեցը  
Շոյուն Խանցիմուն քայություննեանց Յունականի Առա-  
ջնաւ Ենթիման յանուցանցը ան Ճակաացուի, Շմինց Արև Եցուցիւ-  
նու Արքանուն Ազգին, Շմի Թագու Առուցան, Օրման, առցուեանցը Խանցի-  
մուն, Պատմա ան Խանմարգուն միահերեւ Արքանուն. Ճակաացուն Յիսիցընիու-  
նունիկյուննեա յանուցին ունէ առուցանցը, ու ան Արքեան առուարքին, Շմի Յև  
Ճակաացուն յանուցանցը Խանմարգուն Խանցագութեան առա-  
մունքի, Շմի ունս Ենթիման, Շմի յիւս Երշուալուս Բամմանունըն  
Խոյցուցութիւննեանց Ազգաւայնի ոյտն, Եեցաւա առուարք, Շմի յուցուն,  
Եահանուն պիտին, Շմի յիւս ու յանուցանցը Խոյցուցին ու Բամման, Ճաշմալուն  
գաժնուն ունէ Այսաւա, Շմի Խոյցուցին յուս յանուարքուն ան պահանջին  
Այտակա Արքունութեանց Խանուննեա. Կայություննեա Ճակաացուն ան-  
ցագ պահանջուուք Վայուացութեան ունըն Ճակաացուն Եետիուց Բայցը

<sup>1</sup> Брайт У. Щадомин: параметры социолингвистики // НЛ, вип. VII, № 1876, с. 14.

ხილა ძორულობით ისტორიუმებრივია. თ. კლეინერიგ და გ. ადამიანი  
მიუთითებენ, რომ ეს რომელიც საზოგადოებრივი მოყვენა, არ უმ-  
ავთე ძალისას კლეინერის უკონტაქტური უკანასკნელი. ტიპიც დაკარგებული  
კუცხებისას ხედი დარწმუნებულია ბინებრივი, ქა, ჩეკერი სისტე-  
მით, ასე ასეთობისას შესაძლოა უსარ იქ უმარას კუცხების  
უკანა უნიკალური სის აღმართა, რომელი კუცხები ჩანთა დ-  
დის მანამდელი კუცხებით ანუ მარას ხელით აღმართა

თავის ხასიათით ხარისხში კონცენტრირებულ დო-  
კტორი<sup>1</sup> მ. ბაროვენული ვასილეს თებერვალი, ი იმინა მიხედვით ეს  
მომსახურების ძალის უმნიშვილესობის ფონზე, მიმდინარე  
უსარ იქ უმარა გამოვლენილი ხილოებული რიცხვებით, ხელი ისახა  
კუცხები, უსარ გამოვლენილი კუცხების უკანასკნელი ხასიათი<sup>2</sup> ას-  
ა ასეთ უსარ, მცირედ აუკვერის ას ანუ უკანასკნელი უკანასკნელი  
მიმსახურები, ბეგრია გამოვლენის ხილოებით აღმართა დინამი-  
ზის კ. აბდების აზრი ას აკა მა ისარებოთ უკანასკნელი<sup>3</sup> უცხა-  
ხი, რომ პიროვნეულ ეს ვაჟაობენ პოლოვცო იკა რის  
გვასტეტები თემობის მისაცვლებლი ხემთავი მცირე მისამართები  
კუცხების ხატონების ძირი უდის საკუთრებულები, რომელიც  
მიმდევრი ეს აღმართები მიკრინგის ას ხილის მიზნი არ არ ასრული  
დევილის ხილის ე. ჯოვანის მის ასევე უცხატის ჩერხითი ძირი  
აფასის ცენტრის უცხატის საკუთრებულები, რომ მის უცხატი  
სურ სხვადასხვა მიზნი მყიდვები გავლა უცხატებაში ეს იქნება  
ხატის გვარი, ხასიათებით თ სახსეტებელ<sup>4</sup>, პარტია და ხატის  
მის საკუთრებული განსაზღვრა რიცხვი მიმდევრი საკუ-  
თრებულებით და საიმტერესო უცხატა, ხელი მესამედებაში ისეის, რომ  
მის მიზნია სხვა გრის არასტრუქციელ უცხატებელი, აფასისის და  
ხილის გადატრენების გარემონისტინებულობის მიზნი თ ი დეისტები  
მიკრინგით. მცირე და კუცხები და, მუნდია ას არ ირთა, მათ  
მესამედებაში მიკრება მუნდია მუნდის დამატებითი ინდიკა-  
ტორის გამოხვდებით სტრუქტურის მუნდობა, ასი მიზეული უნდა

<sup>1</sup> Гамквеидзе Г.В., Иванов Вяч., Во. Индоевропейский язык и индоев-  
ропейцы, 1, Тб., 1984, с. IX.

<sup>2</sup> Mallinowski B. The Element of Centrality Linguistic/Language In culture and  
society, N. Y., 1964, p. 63-65.

<sup>3</sup> Глисон Г. Введение в дешифрованную лингвистику, М., 1989, с. 32

რაზეც ჯ. პრილი შემდეგნაირად ამბობს: „ინულია გავიქცით იმ დას-  
კვის, რომ ენა ძალიას ხშირად მოლიხად ქცევას ჩარმოადგენს,  
მოუტმულ მოსუსტების“.<sup>5</sup> რაც მთავარია, სოციოლინგვისტიკია ტერიტორიად  
და უპირისპირდა ბლუმფილდის მეთოდებისა და ამოცასების, აუ-  
კი ტრასალეიტომაციული გრამატიკის გამატონებულ მდგომარეობას, რამაც  
განამორობა იმ ოვალუსაზრისის გაძლიერება, რომლის მიხედვითაც უგულ-  
ებელყოფენები სოციალური დაწყობილის გადღენის ენაზე ამან თავი-  
სი შედეგიმც გამოიდო. გრამატიკული და ფონოლოგიური წესების  
კვლევის დაგმაცი ის, რასაც შემდეგში სოციოლინგვისტური წესები  
ეწოდა, რადგანც ენობრივ საშუალებათა ფორმალური მურჩვის  
ერთ ერთ პირობას კონტექსტის ერთად ჩარჩოდებუნს სოციალური  
ნიშნები. ამ მიმართებით შესაძლებელია მოცემული ენის შინაგანი  
სტრუქტურის კლემენტების კვლევა, რაც უზრუნველყოფას გაცილებით  
უფრო მრავალფეროვანი და სრულყოფილი შეაგენტის მიღებას, ვიდრე  
ეს უწევება „გრამატიკის ავტონომიურობის“ პოზიციონდას. რა თქმა უხდა,  
ენის შინაგანი სტრუქტური საკმაოდ ჩხუობრი და მოწესრიგებულია;  
მას თავისი კანონები აქვს, მაგრამ მათს ცვალებადობას თუ განვითა-  
რებაში უდავოდ დიდ როლს თამაშობს ექსტრალინგვისტური ფაქტო-  
რები. როგორც უკვე აღვხი შენი, სოციოლინგვისტური კვლევის პრაქ-  
ტიკაში ზემოთქმული დასადასტურებლად მრავალი მაგალითი ჩარმო-  
ვიდებინა. ერთურითი მათგანი, რომელც სოციოლინგვისტური ასპექ-  
ტით ქართული ენის კვლევის საქმეში მნიშვნელოვან აღვილა, იქნება,  
არის კ. ლერნერის მონოგრაფია.<sup>6</sup>

საერთოდ ენის სოციალური ბუნების ჩარმოჩენას ცდილობდნენ  
სახვადასხვა ექსტრალინგვისტური ფაქტორის გამოყლენის გზით: ენის  
განვითარების პირობები, ნაირგარ „სოციალურ ინსტიტუტთა“ გავლე-  
ნა მასზე და ა.შ. რა თქმა უნდა, სოციალური ბუნება იმ მოვლენათა და  
უაქტუროთა, რომელთანაც ურთიერთსისუსაბეჭდებს ენა, არსებითია თვითონ  
ენისათვის. მაგრამ უნდა დაკარანტინოთ ჩ. ბუდაბოგა, რომ უფრო  
მნიშვნელოვანია იმის ნარმოჩენა, თუ „როგორ განაპირობდებს ენის  
სოციალური ბუნება თავისიც“ სისტემის ფუნქციონირებას, როგორ  
ჩარმოჩენება იგი ლექსიკაში, სინტაქსში, სტილისტიკაში, სალიტერა-

<sup>5</sup> Price J. B. Sociolinguistics // New Horizons in Linguistics, L., 1970, p. 289.

<sup>6</sup> Лернер К.Б. Социальная природа языка и процесс языкового взаимо-  
действия, Тб., 1989.

Чурукт Бөркемашин, სხვადასხვა ენობრივ სტილში და ა.შ. სამწუხაროთ, ამ სფეროში ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკვეთებული?!

ქართული ენის სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლა საშური საქმეა. საკუთხევი მრავლადად როგორც მიკრო-, ასევე მაკროსოციონური გვისტების თვალსაზრისით.<sup>8</sup> ამჯერად ჩვენი კვლევის ობიექტია მიკროსოციოლინგვისტური პრობლემატიკა, კურსოდ, მრავლობითი რიტენის ფორმათა სპეციფიკური სტილისტური დანიშნულებით ხმარების ასაქტები. ირითადად განვიხილავთ ის პემოხვევებს, როდესაც მოცემული ხიტების მრავლობითი რიტენის ფორმა თვეისი მხილვებით არ უდრის შესაბამისი მხრეობითის სიმრავლეს და არის გარკვეული, უძინესმილად, ეკიურისტური მნიშვნელობის მატარებელი კონკრეტულ სამსახურებულო აქტში, რაც სათანადო სოციალური ფაქტორებითაა შეძირობებული. ზოგა ასეთ ფორმას კი, რა თემა უნდა, თქვენ ნაცვალსახელი უჩენს. საკითხის არსში ბოლომდე გასარკვევად საჭიროა, ნათელი მოუფიხოს იმას, რატომ გამოიყენება ეს ნაცვალსახელი ერთი პირისადმი შისაბართავად. ამ პრობლემის უფრო სრულად გასაშუქრებულად აუცილებელი ხდება მსოფლიოს სხვადასხვა ენის მონაცემების განსხვავა და გათვალისწინება. ამას განუზიარება მნიშვნელობა ენისტება არა მარტო ტიპოლოგიური კვლევის თვალსაზრისით, არამედ ჩვენს ცისაშე მდგარი პრობლემის გადასაჭრელადაც.

ორიოდე ხიტებით უნდა შევახოთ სტილისტიკისა და სოციოლინგვისტიკის ურთიერთობის საკითხს. დ. შმეღილვი აღნიშნავს, რომ ბევრი იმ საკითხთაგანი, რომელსაც, მართალია, ყოველთვის თანამიმდევრულად და დიფერენცირებულად არ შეისწავლიდება სტილისტიკაში, ბოლო ხანს წარმატებით იქნა გამოკვლეული ისეთ დისციპლინებში, როგორიცაა ფსიქოლინგვისტიკა, სოციოლინგვისტიკა, პრაგმატიკა.<sup>9</sup> ამ დისციპლინების ურთიერთუავშირზე ისეთი სპეციალისტებიც მიუთითებენ, რომლებიც საგანგებოდ ამუშავებენ სწორედ სოციოლინგვისტურ

<sup>8</sup> Будагов Р. А. Человек и его язык. М., 1976, с. 26.

<sup>9</sup> ზ. კიკოძე, ქართული სოციოლინგვისტიკის აქტუალური პრობლემატიკა//ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპერანტო საინსტიტუტთა შორის სესხ. კონფერენცია მისადასტური ი. გოგებაშვილის 150 ლისტავისადმი (თებისები), თბ., 1990, გვ. 105-106.

<sup>10</sup> Шмелев Д. Н. Функционально-стилистическая дифференциация языковых средств // ГИ. ФСА, М. 1989, с. 6.

პრობლემებს; აი, რას ამბობენ ა. შვეიცერი და ა. მელნიკოვი: „სოცი-  
თლინგვისტიკისა და სტილისტიკის ინტერესები ბევრი რაშემი ემთხვევა  
ერთმანეთს: ორივე დისციპლინა იკვლევს ენის ვარიანტულობის პრობ-  
ლემას და იმ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს ესობრივ საშუ-  
ალებათა შერჩევას კომუნიკაციის პროცესში“.<sup>10</sup> ამასთანავე, უნდა აღი-  
ნიშოს, რომ საქმე შეიძლება ეხებოდეს არა მარტო ინტერესთა,  
არამედ ხშირ შემთხვევაში მასალისა და მისი ინტერპრეტაციის დამ-  
თვევებასაც. აი, რატომ განვიხილავთ მრავლობითი რიცხვის ფორმათა  
სტილისტური დანიშნულების თავისებურებებს სოციოლინგვისტის პო-  
ზიციოდან; უფრო მეტიც, საკითხის ამ კუთხით გაშუქების არა მარტო  
უპირატესობა, არამედ აუცილებლობაც აშკარა ჩდება, რადგანაც სიე-  
ნებული მრავლობითის ფორმები თავაზიანობის ენობრივ გამოხატუ-  
ლობას წარმოადგენს. ამიტომაც, ჩვენს შემთხვევაში სოციოლინგვის-  
ტური მეთოდები გამოიყენება დასმული პრობლემის თნთვლოვიური  
ხასიათიდან გამომდინარე. ამის მაჩვენებელია წინამდებარე ნაშრომის  
სტრუქტურაც: თავიდან განხილულია შიდაენობრივი მექანიზმები და  
პროცესები, ხოლო შემდეგ—ის ფაქტორები, რომლებიც გამოინვევს ამ  
მექანიზმების ამოქმედებას და პროცესების მიმდინარეობას. ამის გაეკ-  
თების საჭიროების გვიკარისახებს არა მარტო, კერძოდ, სოციოლინ-  
გვისტიკის, არამედ მთლიანად ენათმეცნიერების ინტერესები. ეს პოზი-  
ცია სავსებით ემთხვევა თასამდროვე სოციოლინგვისტიკის დიდი წინა-  
მორბედის ან. ზეიგს თეზისა: „ენა უაღრესად სოციალური მოვლენაა...  
ენათმეცნიერის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ წარმოაჩინოს, რო-  
გორ ურთიერთექმუდებს ენის ესა თუ ის სტრუქტურა საზოგადოების  
ამა თუ იმ სტრუქტურასთან“.<sup>11</sup>

<sup>10</sup> Швейцер А.Д., Мельников А.И. К проблеме социально-коммуникативного анализа художественного текста (опыт социолингвистического анализа диалогической речи // Стилистика и лингвистика Р., 1926, pp. 16-18.

მრავლობითი რიცხვის სემანტიკა და მისი  
სოციო-სტილისტური დანიშნულება

§1. მრავლობითი რიცხვი: სემანტიკა  
და ფუნქციონირება

აპოლონიოს დისკოლო ასე განმარტავდა რიცხვი: „რიცხვი არის სიტყვის ნიშან-თვისება, რომელსაც შეუძლია აჩვენოს რაოდენობის სხვაობა“<sup>12</sup> ალექსანდრიელი გრამატიკოსის ეს განმარტება წარმოაჩენს რიცხვის მხრილოდ სემანტიკურ მხარეს. რა თქმა უნდა, არსებობს გრამატიკული რიცხვი და სემანტიკური (ლექსიკური) რიცხვი, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის სფეროში გრამატიკული ასევეჭი შემოდის. თუმცა უმომყვანილი განმარტება გვაძლევს იმ საერთო ნიშან-თვისებას, როს საფუძველზეც გრამეტები—მხრილობითი რიცხვი და მრავლობითი რიცხვი—ერთიანდებიან რიცხვის გრამატიკულ კატეგორიაში. როგორც ქვემოთ დავინახავთ, არსებობს ამ კატეგორიის უფრო სრული და ჩამოყალიბებული დეფინიციები; ოღონდ დასადგენია ის, თუ რამდენად სრულყოფილია ისინი, ე. ი. არის თუ არა აღნუსახული რიცხვის ის ნიშან-თვისება, რომელსაც შეუძლია აჩვენოს, არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი სხვაობაც.

უ. მარუხოს აზრით, რიცხვი არის გრამატიკული კატეგორია, რომელიც ემყარება რაოდენობრივ ურთიერთობებს და განპირობებულია სიტყვის გამოყენებით ცალკეული საგნისა თუ ცნების გამოსახატავად, ან კიდევ ობიექტთა წევების გამოსახატავად.<sup>13</sup> ერთი შესედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ განმარტება არასრულადაა ციტირებული, ან თავად ავტორი ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად დაამთავროს აღნიშნულ საკითხზე საუბარი. ეს ეჭვი უფრო გაძლიერდება, თუ გავეცნობით დეფინიციას დ. როზენბატალისა და მ. ტელენკოვას ლექსიკონ-ცნობარში, სადაც ძირითადი მნიშვნელობის გვერდით საკმაო ადგილი ეთმობა მრავლობითი რიცხვის ფორმათა გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებას.<sup>14</sup> დაუუბრუნდეთ უ. მარუხოს თვალსაზრისს: საბედნიე-

<sup>12</sup> Scholia in Dionysii Thracis Artem Grammaticam, Lipsiae, 1901, p. 545, 7.

<sup>13</sup> Марузо Ж. Словарь лингвистических терминов, М., 1960, с. 337.

<sup>14</sup> Розенталь Л. Э., Толенкова М. А. Словарь-справочник

лингвистических терминов, М., 1976, со. 530-531.

როდ, თავდაპირველი შთაბეჭდილება მცდარია, რადგან ავტორი ცალკე სტატიას უძლვის მრავლობით რიცხვს, სადაც შეიძლება მოსალოდნელზეც მეტი ვიხილოთ, რაზეც მოგვიანებით გვექნება საუბარი.

თავიდანვე უნდა გავუსვათ ხაზი, რომ, როდესაც მრავლობითი რიცხვის რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებზე მიღება საუბარი, ეს უმეტეს შემთხვევაში ეხება ნაცვალსახელებს. ჩვენთვის საინტერესო საკითხშიც მსგავს ვითარებასთან გვაქვს საქმე. საერთოდ, ნაცვალსახელი ყველაზე თავისებური მეტყველების ნაწილია და ეს ბევრი რამით აიხსნება.

ნაცვალსახელი, როგორც ცალკე მეტყველების ნაწილი, ჯერ კიდევ პანინის თანამედროვემ—იასკამ—გამოყო. იასკასთან დასახელებულია ხუთი მეტყველების ნაწილი: nāman- —სახელი, sarvanāman- —ნაცვალსახელი, ākhyāta- —ზმნა. upasarga- —წინდებული, nīpāta- —ნაწილაკი.<sup>15</sup> თუმცა მას შემდეგ საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, სანამ გრამატიკულ ტრაქტატებში კვლავ დაიჭრდა თავის კუთვნილ ადგილს სიტყვათა კლასებს შორის. ეს, ალბათ, ამ მეტყველების ნაწილის განსაკუთრებული თავისებურებებით უნდა აიხსნას.

აი, რას ამბობს ა. რეფორმატისკი ნაცვალსახელების შესახებ (სიზუსტისათვის უმჯობესია ციტატის ორიგინალის ენაზე მოყვანა):

"Местоимения - это не конструкторы, не инженеры, а скорее это "уборщики", "подметальщики", "ассенизаторы". Без них не проживешь, но не они зажигают огонь мысли, не они бередят чувства. Но их надо уважать за их полезительную работу, за их незаконченную номинативность".<sup>16</sup>

ნაცვალსახელთა განსაკუთრებულმა თავისებურებებმა საფუძველი შეუქმნა სპეციალისტებს, პრინციპულად განსხვავებული მოსაზრებები გამოეთქვათ მათ შესახებ. მაგალითად, ფრანგი ლინგვისტის პ. გარდის აზრით, ენის გრამატიკა მთლიანობაში უნდა დაემყაროს ორი შესაკრების ჯამს, ესენია: არანაცვალსახელთა გრამატიკა და ნაცვალსახელთა გრამატიკა.<sup>17</sup> მსგავს პოზიციაზე დგას თანამედროვე რუსი ენათმეცნიერი ი. მასლოვი.<sup>18</sup> პ. გარდისა და ი. მასლოვის მოსაზრებებს

<sup>15</sup> Барроу Т. Санскрит, М., 1976, с. 49.

<sup>16</sup> Реформатский А. А. Очерки по фонологии, морфонологии и морфологии, М., 1978, с. 69.

<sup>17</sup> Гард П. Структура русского местоимения // НЗЛ, вып. XVI, М., 1985, с. 21.

ემსრობა ო. ერმაკოვა და დაასკვნის: „ამგვარად, მეტყველების ნაწილთა ნაცვალსახელურ სისტემას ახასიათებს სპეციფიკა არა მარტო სემანტიკასა და გრამატიკაში, არამედ ფუნქციონირების თავისებურებებში სალიტერატურო ენის სხვადასხვა სფეროში“.<sup>18</sup>

ამ ტიპის მოსაზრებების პარალელურად არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ნაცვალსახელი არ არის ცალკე მეტყველების ნაწილი (ჟ. ვანდრიესი, ჰ. სუიტი, ლ. იელმისლევი, ფ. ფორტუნატოვი, ა. პეშკოვსკი, ლ. შჩერბა, რ. ავანესოვი, ვ. სიდოროვი, მ. პანოვი).<sup>19</sup>

რა თქმა უნდა, ნაცვალსახელები ფორმობრივ მრავალ თავისებურებას ავლენენ, მაგრამ სწორედ მათი სემანტიკის სირთულემ და „ძნელადჩასანვდომობამ“ განაპირობა ნაცვალსახელის მნიშვნელობის შესახებ პრინციპულად განსხვავებული კონცეფციების არსებობა. მაგალითად, ნაცვალსახელებს ხშირად განიხილავდნენ და განიხილავენ როგორც სემანტიკურად დაცლილ სიტყვებს, ან კიდევ სიტყვებს, რომელთა მნიშვნელობა სიტუაციურად ცვალებადია.<sup>20</sup> ამის პარალელურად ზოგიერთ ნაშრომში წარმოჩენილია ნაცვალსახელური მნიშვნელობის მრავალკომპონენტიანი სტრუქტურა, რაც მოწმობს მათი შინაარსის სემანტიკურ გაჯერებულობას.<sup>21</sup>

თუ მხედველობაში მივიღებთ ა. რეფორმატიკის აზრს მათი „დაუსრულებელი ნომინატიურობის“ თაობაზე, მაშინ გასაგები იქნება, რატომ განიხილავს ზოგიერთი სპეციალისტი ნაცვალსახელებს, როგორც სემანტიკურად დაცლილ სიტყვებს; რაც შეეხება ნაცვალსახელის მნიშვნელობის მრავალკომპონენტიანობას, მათი შინაარსის სემანტიკურ გაჯერებულობას, ეს სავსებით ცხადად ჩანს **ჩვენ** ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზის საფუძველზეც.

<sup>18</sup> Маслов Ю. С. Введение в языкознание, М., 1975, с. 218.

<sup>19</sup> Эрмакова О. П. Семантика, грамматика и стилистическая дифференциация местоимений // ГИ.ФСА, с. 157.

<sup>20</sup> დანვრ. იხ.: არ. მარტიროსოვი, ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964, გვ. 17-22.

<sup>21</sup> Tesniere L. Eléments de syntaxe structurale, P., 1959, p. 86.

<sup>22</sup> Селивестрова О. М. Местоимения в языке и речи, М., 1988.

## §2. ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი და მეორეული ჩვენ

ტრადიციულად ჩვენ განიმარტება, როგორც პირველი პირის მრავ-  
ლობითი რიცხვის ნაცვალსახელი, თუმცა არც ფორმისა და არც შინა-  
არსის მიხედვით ჩვენ არ წარმოადგენს მე-ს მრავლობით რიცხვს. ჯ. ლაიონზისათვის ცხადია, რომ „ჩვენ“ („-ლი პირი მრავლობითი რიცხვისა“)  
ჩვეულებრივ მთლად ისე არ მიემართება „მე“-ს („-ლი პირი მხოლოდ  
ბითი რიცხვისა“), როგორც „ბიჭები“, „ძროხები“ და ა.შ. მიემართება  
სიტყვებს „ბიჭი“, „ძროხა“, და ა.შ. ნაცვალსახელი „ჩვენ“ უნდა გავი-  
გოთ, როგორც „მე“-ს პლიუს ერთი ან მეტი სხვა პირი“.<sup>23</sup> ეს იმდენად  
აშკარა რამ არის, თითქოს ამ საკითხზე განსაკუთრებული კამათი არც  
უნდა იყოს საჭირო; მიუხედავად ამისა, სპეციალისტები საგანგებოდ  
ჩერდებიან და კატეგორიულადაც მსჯელობენ შესაბამისი პრობლემე-  
ბის ირგვლივ. ჰ. გლისონი ამბობს: „**მე**, უხეშად რომ ვთქვათ, აღნიშ-  
ნავს „იმას, ვინც ლაპარაკობს“. ამ სიტყვას რომ მრავლობითი რიცხვი  
ჰქონილა, მაშინ მას, ალბათ, უნდა აღნიშნა „ისინი, ვინც საუბრობენ“,  
მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, არ არის **ჩვენ** ნაცვალსახელის ჩვეულებ-  
რივი მნიშვნელობა. ამგვარი მნიშვნელობა შეიძლებოდა გაჩერილიყო  
გუნდური კითხვის დროს, მაგრამ ეს ხელოვნური და უჩვეულო იქნებო-  
და“.<sup>24</sup> იქვე იგი უმატებს, რომ მას არ სმენია **ჩვენ მე-**ს მრავლობითი  
მნიშვნელობით. აქედან გამომდინარე, „პირველი პირის მრავლობითი  
რიცხვი“ მისთვის არის არა განსაზღვრა, არამედ მოსახერხებელი  
აღნიშვნა **ჩვენ** ნაცვალსახელისათვის.<sup>25</sup> ჩვენი აზრით, მთავარია გავე-  
მიჯნოთ იმ პოზიციას, რომლის მომხრეთა მიხედვით **ჩვენ** არის **მე-**  
ს მრავლობითი რიცხვის ფორმა.<sup>26</sup> უდავოა, რომ **ჩვენ** არ არის  
მრავლობითი რიცხვის ფორმა, ოღონდ მრავლობითი რიცხვის გამომ-  
ხატველ სიტყვათა შორის მას ადგილს ვერ წავართმევთ, თანაც ისიც  
უეჭველია, რომ იგი პირველი პირისაა. ე. ბენვენისტის აზრით, „**მე**“-ს  
პოვნიერება იმ ფაქტს წარმოადგენს, რომლის საფუძველზეც არსებობს  
„ჩვენ“.<sup>27</sup> ასე რომ, განსაზღვრა „პირველი პირის მრავლობითი რიცხვი“

<sup>23</sup> Лайонз Дж. Введение в теоретическую лингвистику, М., 1978, с. 293.

<sup>24</sup> ჰ. გლისონი, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 215.

<sup>26</sup> Павлова Е.С. Мы и Вы // Русская речь, №2, 1992, с. 111.

ნამდვილად შეესაბამება **ჩვენ** ნაცვალსახელს არა მარტო იმიტომ, რომ იგი მოსახერხებელია, არამედ პირველ რიგში, იმიტომაც რომ რომ იგი რეალობას ასახავს.

ო. პეტროვას მიხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ **ჩვენ** არის **მე-ს** პლიუს **მე** და პლიუს **მე** და ა.შ. უფრო ლოგიკური იქნებოდა, **მე** და **ჩვენ** ნარმოგვედგინა არა როგორც ერთი სიტყვის ორი გრამატიკული ფორმა, არამედ როგორც სხვადასხვა ლექსიკური ერთეული.<sup>28</sup>

**ჩვენ** ნაცვალსახელის ძირითადი მნიშვნელობის ამგვარი (სავსებით მართებული) გაგება შესაბამის ასახვას პოულობს ტ. გურგენიძის ნაშრომში, რომელიც ეხება პირის ნაცვალსახელებში მრავლობითი რიცხვის წარმოების ზოგად პრინციპებს. აქ პირველი (ანუ მოლაპარაკე) პირი აღნიშნულია ა სიმბოლოთი, მეორე (ანუ მსმენელი)—б სიმბოლოთი, ხოლო მესამე (ანუ ერთდროულად არც მოლაპარაკე და არც მსმენელი)—c-თი. ავტორის აზრით, თეორიულად დასაშვებია ამოსავალი სიმბოლოების თავის თავთან დაკავშირებაც, რის შედეგადაც გვეწება: აა, bb, cc. თუმცა შემდეგ ავტორი სავსებით სამართლიანად დასძენს: „ამ სამი შესაძლებლობიდან პირველი, ანუ აა, გამოირიცხება იმთავითვე, ვინაიდან „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში ერთზე მეტი მოლაპარაკე პირის მონაწილეობა დაუშვებელია“.<sup>29</sup>

ზემომოყვანილი მოსაზრებები გაზიარებულია სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობის მიერ. იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს პ. სოჭნიკიანი, რომელიც აღნიშნავს, რომ „როდესაც ვამბობთ: **ჩვენ** ვწერთ, **ჩვენ** ვამბობთ, ეს ნიშნავს: მოცემული კოლექტივის ყველა წევრი გამოდის **მე-ს** როლში და, ამიტომაც, **მე-ს** მრავლობითი რიცხვი იქნება **ჩვენ**“.<sup>30</sup> რაც შეეხება ფორმალურ ასპექტს, ამგვარი რამ დადასტურებულია მსოფლიოს ზოგიერთ ენაში, ხოლო სემანტიკურად, როგორც ეს მიუთითა ტ. გურგენიძემ, „ნორმალურ“ სამეტყველო აქტში დაუშვებელია.

განვიხილოთ **ჩვენ** ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურა.

<sup>27</sup>. Бенвенист Э. Общая лингвистика, М., 1974, с. 276.

<sup>28</sup>. Петрова О. В. Местоимения в системе функционально-семантических классов слов, Воронеж, 1989, с. 141.

<sup>29</sup>. ტ. გურგენიძე, მრავლობითის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები//მაცნე, ელს, №2, 1984, გვ. 114.

<sup>30</sup> ციტირებულია არ. მარტინოსვის დასახ. ნაშრომის მიხედვით, გვ. 298.

როგორც ბ. ჯორბენაძე აღნიშნავს, „სემანტიკური კვლევის დროს, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საკითხი, უნდა განხილულ იქნეს ამა თუ იმ ფორმის კონსტრუქციული ბუნება“.<sup>31</sup> საანალიზო ნაცვალსახელი კი რთული კონსტრუქციული ბუნებით გამოირჩევა. ასეთ შემთხვევაში, ი.ლ. ვაისგერბერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აუცილებელია ვიცოდეთ მთელის სტრუქტურა და მასში ცალკეული ელემენტის ადგილი“.<sup>32</sup>

ქართულში გაირჩევა **ჩვენ** ნაცვალსახელის ორი სემანტიკური ნაირსახეობა: ინკლუზიური და ექსკლუზიური. ეს ტერმინები შემდეგნაირადაა განმარტებული უ. მარუზოს ლექსიკონში:

1) ინკლუზიური, ჩარიცხვითი (personne inclusive||inklusive Person ||inclusive person||persona inclusiva)—პირველი პირის მრავლობითი რიცხვი, რომელსაც ზოგიერთ ენაში განსაკუთრებული ფორმა აქვს, რომლითაც „ჩვენ“-ის ტიპის კოლექტივში მთქმელთან და მოქმედებთან ერთად იგულისხმება ისიც ან ისინიც, ვისაც მიმართავენ.<sup>33</sup>

2) ექსკლუზიური, ამორიცხვითი (exclusif ||exklusiv, ausschliessend ||exclusive||esclusivo)—პირველი პირის მრავლობით რიცხვს ეწოდება ექსკლუზიური იმ ენებში, სადაც მას ხმარობენ იმ გაგებით, რომ მეტყველების ადრესატი არ შედის იმ პირთა ჯგუფში, რომელიც აღინიშნება „ჩვენ“-ის ტიპის ნაცვალსახელით.<sup>34</sup>

აკ. შანიძე **ჩვენ** ნაცვალსახელის მნიშვნელობის შესახებ აღნიშნავს შემდეგს:

ამ სიტყვის გაგება შეიძლება ორნაირი იყოს:

ა) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავის თავსა და აგრეთვე იმას ან იმათ, ვისთანაც საუბარი აქვს. ამ შემთხვევაში „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „მე და შენ“ ან „მე და თქვენ“; ეს არის ინკლუზიური „ჩვენ“.

ბ) მოლაპარაკე ადამიანი ამით აღნიშნავს თავის თავსა და სხვას (ან სხვებს) იმის გამოკლებით (ან იმათი გამოკლებით), ვისაც ესაუბრება. ამ შემთხვევაში კი „ჩვენ“ სიტყვა მნიშვნელობით იგივეა, რაც „მე და ის“ ან „მე და ისინი“ ან კიდევ „მე და მან“, „მე და მას“, „მე და

<sup>31</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბ., 1980. გვ. 372.

<sup>32</sup> Weisgerber L. Grundzüge der inhaltsbezogenen Grammatik, Düsseldorf, 1962, S. 98.

<sup>33</sup> უ. მარუზო, დასახ. ნაშრ., გვ. 122.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 341-342.

მათ“. ეს არის ექსკლუზიური „ჩვენ“.<sup>35</sup>

1) ინკლუზიური **ჩვენ** (resp. **ჩვენი**):\*

„გაეხარნეს მეფესა და უბრძანა დიდებულთა:

—ამა კაცსა საკვირველი ნადირი უნახავს, ან მისი უნახაობა **ჩვენგან** არ ეგების და, ვინაიდან ესრეთ საკვირველი არის, მნებავს, რათა მრთელი შევიპყრათო“ (ამირ., გვ. 280).

„ერთმანეთსა ეგრე არქვეს:

—აპა კაცი, რომლისთვისაც შეიჭირვეს პატრონი **ჩვენი** ინდოთ მეფე“ (ამირ., გვ. 285).

„—**ჩვენ** ისი ცხენოსანი მეტსა ვერას გვარგებს, ამით რომე დაგვაბმენ ისი **ჩვენნი** კაცნი **ჩვენვე**. ან, პატრონი **ჩვენი** და **ჩვენ** მივედით ღამით და, რომელი წინა დაგვხვდეს უკვალოდ, ღმერთო, ვერა წაგვივაო. შინა მშვიდობით შევიდეთ, თუ არა დიდი ლაშქარი არის, რომელთამე მოჰკვლენ და რომელთამე ჩამოჰყრიან, და **ჩვენგან** ესე არა ეგების, რომელმცა არა უშველეთ. სჯობს **ჩვენი** მარტოსა მისვლა, ამით რომე **ჩვენი** დამარცხებითი კაცი იქ არ არის და **ჩვენ** მშვიდობით შევალთო“. (ამირ., 498).

2) ექსკლუზიური **ჩვენ**:

„ეგრე მოახსენა:—ერთი საკვირველი საქმე მოგახსენო. ვითა გამოვეყაზმენით და წავედით ბალდადიც, მოვიდეს კაცნი ვინმე და გვითხრეს—არაბნი მეკობრენი წინა გიმზირიანო. ამაზედან **ჩვენ** თვე ერთი გამოკაზმულთა ბალდადსავე დავყავით მათ მეკობრეთა შიშითა“ (ამირ., 283).

„მან მოახსენა, ვითა:

—**ჩვენ** ბასრელი ქარავანი ვართ, ინდოეთს ვიყვენით და მუნით მომავალნი ვართ“ (ამირ., გვ. 375).

„მოახსენეს დიდებულთა მის ქვეყნისათა დედოფალსა, ვითა:

—ჩ ვ ე ნ არსად გვინახავს ეგრეთი კაცი და არცა ვისგან გვასმია“ (ამირ., გვ. 387).

„დაჰპატიუა დედოფალსა, ვითა:

—თუ შენ არა წამოხვალ, აღარც **ჩვენ** წავალთო“ (ამირ., გვ. 391).

<sup>35</sup> აკ. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები// თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980, გვ. 41.

\* აქაც და შემდგომშიც საანალიზო ტექსტებად გამოყენებულ იქნება „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **ჩვენ** ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურა შემდეგი ფორმულებით შეიძლება გამოვსახოთ:

1. ინკლუზივი (**ჩვენ**=+მე+შენ±ი);
2. ექსკლუზივი (**ჩვენ**=+მე-შენ±ი).

ნარმოდგენილი ფორმულები არ გულისხმობს იმას, რომ **ჩვენ** ნაცვალსახელის ინკლუზიურ ან ექსკლუზიურ ვარიანტში არ შეიძლება ჩართული იყოს მესამე პირი; ეს ფორმულები ფაქტობრივად სსნიან შესაბამის ტერმინებს. მაგრამ, როგორც ვხედავთ, და, რაც მთავარია, მისი სემანტიკურის სტრუქტურის აუცილებელი პირობაა, მასში ჩართული იყოს **მე**, მაგრამ ეს საკმარისი არ არის, რადგან იგი (**ჩვენ**) არ აღნიშნავს რამდენიმე **მე**-ს. ეს შეუძლებელია. მაშასადამე, **ჩვენ** არის ერთგვარი pluralia tantum. თუ გავითვალისწინებთ ამ ტერმინის ო. ახმანოვასეულ განმარტებას („არასაკმარის არსებით სახელთა თანრიგი, რომელთაც არა აქვთ მრავლობითი რიცხვის ფორმა, და აქვთ შედგენილი მთელის ან კრებითობის მნიშვნელობა“<sup>36</sup>), მაშინ ძალიან ადვილი იქნება მივაკუთვნოთ ეს ნაცვალსახელი ხსენებულ თანრიგს.

სპეციალურ ლიტერატურაში დადასტურებულია ამ ნაცვალსახელის სხვა მნიშვნელობით ხმარების შემთხვევებიც.

გ. კვარაცხელია მიუთითებს, რომ სამეცნიერო სტილში **ჩვენ** გვხვდება შემდეგი გაგებით:

- ა) ინკლუზიური **ჩვენ**;
- ბ) ექსკლუზიური **ჩვენ**;
- გ) ავტორისეული **ჩვენ**;
- დ) ინკლუზიური **ჩვენ** შეიძლება გამოყენებული იყოს მკითხველზე, მის აზრობრივ მოქმედებაზე მისათითებლად;
- ე) მისი გამოყენებით მიღწევა განზოგადოებულ-სუბიექტიანი გაუპიროვნებელი გადმოცემა.<sup>37</sup>

ყურადღება მივაქციოთ მესამე პუნქტს:

გ. კვარაცხელია აღნიშნავს, რომ „აგტორისეული **ჩვენ**“ სავსებით ემთხვევა პირველი პირის მხოლობითი რიცხვის გაგებას და შეიძლება ამ პირის „მე“ ნაცვალსახელითაც ჩანაცვლებულიყო, მაგრამ აღნიშნული (სამეცნიერო—ზ.კ.) სტილისათვის დამახასიათებელი თხრობის

36 Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов, М., 1966, с. 375.

37. გ. კვარაცხელია, ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990, გვ. 69-70.

ობიექტურობა (სუბიექტობა) და ეტიკეტიც (მოკრძალებულობა, თავ-მდაბლობა) განაპირობებს „ჩვენ“ ნაცვალსახელის აბსოლუტურ დომინანტობას“.<sup>38</sup> აქვე მოყვანილია შემდეგი ნიმუშები:

„ჩვენ ამ აზრს ვიცავდით და ვიცავთ, რომ ნ. მარის პალეონტოლოგია და რაც მასზეა დაფუძნებული, მეცნიერების ფარგლებს გარეთ რჩება“;

„ნინამდებარე ნაშრომში **ჩვენ** ვეცადეთ მიუკერძოებლად წარმოგვედგინა იოანე პეტრინის ფილოსოფიურ შრომათა ენისა და სტილის ანალიზი“.

„ზემოთ **ჩვენ** შევეხეთ სტრუქტურის ცნების გამოყენებას;“

„**ჩვენ** ვაკვირდებით მაიმუნის ქცევას“.<sup>39</sup>

ლირსსაცნობია არ. მარტინოსოვის მიერ მოყვანილი მაგალითი. ავტორი ამბობს: „არის შემთხვევები, როცა ესა თუ ის პირი არაა მაღალი წრის წარმომადგენელი, მაგრამ თავის თავს ჩვენობით მოიხსენიებს. ასეთ კონტექსტში ეს თავაზიანი ფორმა ნახმარი ჩანს მაინც იმ მაღალი წოდების წარმომადგენლის პატივსაცემად, რომელსაც მიმართავენ. მაგალითად, ერთ-ერთი ისტორიული დოკუმენტიდან ვიგებთ, რომ ვინმე გლეხი იესე ვეშაპიძე თათრებს ცოლ-შვილით დაუტყვევებიათ. ამილახვარს ისინი დაუხსნია. სამაგიეროდ ვეშაპიძეს მის-თვის თავისი შვილი დათუნა მიუყიდია. ნასყიდობის წიგნში იკითხება:

„ნასყიდობის წიგნი და სიგელი დაგინერეთ და მოგართვით ჩვენ, ვეშაპიძემ იესემა თქუენ, ამილახორს ბატონს გივს: დოკ. I, 306, 1725...“<sup>40</sup>

აღსანიშნავია, რომ მეორეული **ჩვენ** „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ მოქცეულია მრავლობითი რიცხვისათვის გამოყოფილ ხუთ სემანტიკურ ტიპს შორის. ესენია:

1) დისკრეტული მრავლობითი რიცხვი (ძირითადი მნიშვნელობა);

2) კრებითი სიმრავლე („მტრები“, „მეგობრები“);

3) დისტრიბუციული სიმრავლე—ტიპი, რომელიც წარმოდგენილია, მაგალითად, პაპაგო ენაში (ერთ-ერთი სამხრეთ-აცტეკური ენა) და აღნიშნავს დისპერსიულ სიმრავლეს, რაც არ არის ლოკალიზებული ერთ ადგილას (დროს), უბრალო პლურალისაგან განსხვავებით, რომელიც აღნიშნავს ერთზე მეტი დენოტატის ყოფნას გარკვეულ ადგილას

<sup>38</sup> იქვე, გვ. 68.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 69.

<sup>40</sup> არ. მარტინოსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

(ან დროის გარკვეულ მომენტში);

4) რეპრეზენტატული სიმრავლე—აღნიშნავს პირთა ჯგუფს, რომელსაც ეძლევა ერთ-ერთი წარმომადგენლის სახელი, შდრ. იაპონური „სუძუკი-ტატი“—სუძუკი და მისი მეგობრები; ინგლისური the Browns—ბრაუნები (ცოლ-ქმარი, ოჯახი); ამ ტიპს მიეკუთვნება ე.ნ. მიახლოებითი სიმრავლე (მაგ. „ოთხმოციანი წლები“);

5) სიდიადის, თავაზიანობის მრავლობითი რიცხვი ('Мы'—მეფეთა საბუთებში, 'Вы', გერმ. 'Sie').<sup>41</sup>

მრავლობითის ამ ტიპზე ჯერ კიდევ უ. მარუზო მიუთითებდა: „პირველი პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვი გამოიყენება ზოგჯერ განდიდების მრავლობითის (pluriel augmentatif, pluriel de majesté|| Gemeinschaftsplural||plural of social inequality, plural of majesty||plurale maiestàtico) მნიშვნელობით, მაგალითად, საჯარო აქტში: nous, grand-maître de l'Ordre... „ჩვენ, ორდენის გროსმაისტერი...“,—ან ავტორისეული მრავლობითის (pluriel de modestie||editorial "we") მნიშვნელობით, რომ თავი აარიდონ „მე“-ს ხმარებას, მაგალითად, წინასიტყვაობებში: nous avons voulu dans cet ouvrage... „ამ ნაშრომში ჩვენ გვსურდა....“<sup>42</sup>

ამ ლექსიკოგრაფიულ წყაროთა მონაცემებში გამოკრთა ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობის კიდევ ერთი ასპექტი, კერძოდ, განდიდების „ჩვენ“, რასაც მოგვიანებით განვიხილავთ დაწვრილებით. ამჯერად კი გვსურს გავერკვეთ იმაში, თუ რა განაპირობებს იმ ვითარებას, რომ ჩვენ იხმარება მე-ს მნიშვნელობით. თავიდანვე უნდა გაესვას ხაზი, რომ ეს განპირობებულია ამ ნაცვალსახელის სემანტიკური სტრუქტურის სისტემატური თავისებურებით. მ. მამული—ანი ამბობს: „სემანტიკური სტრუქტურა, რომელიც ფარდობითი ხასიათის სტრუქტურაა, წარმოადგენს ამავე დროს სისტემურ ორგანიზაციას.“<sup>43</sup> მაში, რა სისტემურ ორგანიზაციასთან გვაქვს აქ საქმე? ჩვენ არ წარმოადგენს მე-ს მრავლობით რიცხვს ფორმობრივ, სემანტიკურადაც ჩვენ არ ნიშნავს რამდენიმე მე-ს. სამაგიეროდ, თუ დავუკვირდებით მისი ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტების სემანტიკურ სტრუქტურებს, დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში აუცილებელი

<sup>41</sup> ЛЭС, М., 1990, с. 5.

<sup>42</sup> უ. მარუზო, დასახ. ნაშრ., გვ. 158.

<sup>43</sup> Мамудян М. Лингвистика, М., 1985, с. 180.

პირობაა, მასში ჩართული იყოს **მე (ჩვენ ნაცვალსახელში მე ყოველ-თვის ინკლუზიურად არის წარმოდგენილი),** ხოლო ინკლუზიურექსკლუზივი კი გაირჩევა იმის მიხედვით, არის თუ არა ჩართული მეორე პირი, ე.ი. **მე-ს ჩართვა ჩვენ ნაცვალსახელის სემანტიკაში აუცილებელი** პირობაა, სხვა პირებისა—საკმარისი. **მე** ბირთვული კომპონენტია; ამიტომაც, **ჩვენ ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით გამოყენებისას უფრო აღვილად ხდება არაპირთვული სემანტიკური კომპონენტების ჩამოშორება, ბირთვული კომპონენტი კი რჩება.** უ. ლაბოვი იხრება იმ აზრისაკენ, რომ ურთიერთგაგება ხორციელდება იმ ნიშან-თვისებათა ხარჯზე, რომლებიც განლაგებულია სემანტიკური სტრუქტურის ცენტრში.<sup>44</sup> თუმცა სავსებით უპრიანი იქნება, თუ არ დავკმაყოფილდებით ამით და დავძებნით კიდევ ერთ პირობას, რომლის გამოცხდება იმ პროცესის ამოქმედება, რასაც შეიძლება ვუნოდოთ ტრანს-სემანტიზაცია.

მსჯელობისათვის საჭიროა წარმოვადგინოთ შემდეგი ფაქტობრივი მასალა: ქართულში **ჩვენ ნაცვალსახელი** არ ამჟღავნებს ფორმალურ სხვაობებს თავისი ინკლუზიური და ექსკლუზიური ვარიანტებისათვის, მაშინ როცა ასეთი რამ მრავალ ენაშია დადასტურებული:

მაგალითად, ხუნძურში:	ნიუ—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)
	ნითლ—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

ასევეა ონკეანის ზოგიერთ ენაშიც:

მალაიურში: Kaini—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)

Kita—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

ჰანუნოო ენას (ფილიპინები) აქვს სამწევროვანი სისტემა:

mih—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)

tah—„ჩვენ“ (ორობითი რიცხვი)

tam—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

პოტოვატომი ენა (ალგონკინურ ენათა ოჯახი):

ninan—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)

kinan—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

ტამილური ენა (დრავიდულ ენათა სამხრეთი ჯგუფი):

yām—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)

nām—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

კოვი ენა (დრავიდულ ენათა სამხრეთი ჯგუფი):

<sup>44</sup> Labov W. Sociolinguistic patterns, Philadelphia, 1972, p. 186.

māmbu—„ჩვენ“ (ექსკლუზივი)

māro—„ჩვენ“ (ინკლუზივი)

ბამილეკე ენაში (ნიგერო-კონგოურ ენათა ოჯახი)

გაცილებით უფრო რთული სურათი იხატება:

թ—„ჩვენ“ (მე+თქვენ)

թն—„ჩვენ“ (მე+შენ) (ორობითი რიცხვი)

թე-ე—„ჩვენ“ (მე+თქვენ+ის)

թე-ა-რნ—„ჩვენ“ (მე+თქვენ+ისინი)

რნ-ე—„ჩვენ“ (მე+შენ+ის)

რნ-ა-რნ—„ჩვენ“ (მე+შენ+ისინი)

ნკოსი ენა (ბანტუ):

st—„ჩვენ“ (მე+შენ) (ორობითი რიცხვი, ინკლუზივი)

su-mo—„ჩვენ“ (მე+ის) (ორობითი რიცხვი, ინკლუზივი)

seanyi—„ჩვენ“ (მე+თქვენ) (მრავლობითი რიცხვი, ინკლუზივი)

seabo—„ჩვენ“ (მე+ისინი) (მრავლობითი რიცხვი, ექსკლუზივი)

se—„ჩვენ“ (ნეიტრალური ფორმა)

მსგავსი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, თუმცა მთავარი ისაა, რომ, თუ ქართულში **ჩვენ** ნაცვალსახელისათვის აუცილებელი პირობაა **მე-ჲ** ჩართვა, ხოლო დანარჩენი კომპონონტები კონტექსტობრივად შეირჩევა, ზემოთ დასახელებულ ენებში, მაგალითად, ხუნძურში ნითლ ფორმის სემანტიკური სტრუქტურისათვის ისევე აუცილებელია მეორე პირის ჩართვა, როგორც **მე-ს** ჩართვა; აქ მეორე პირიც ექსპლიციტური კომპონენტია.

ქართულ ენაში პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ერთ გამოხატულების პლანს მიემართება სხვადასხვა შინაარსის პლანი, მაშინ როცა ხუნძურში, მალაიურსა და მისთანა ენებში იმავე ნაცვალსახელის შინაარსის თითოეულ პლანს თავისი საკუთარი გამოხატულების პლანი აქვს.

აქედან გამომდინარე, **ჩვენ** ნაცვალსახელის ამგვარი სემანტიკით ხმარება განპირობებული უნდა იყოს, უკვე აღნიშნული მიზეზების გარდა, იმითაც, რომ ქართულში (და ამ მხრივ მის მსგავს სხვა ენებში), ინკლუზივ-ექსკლუზივი არ არის დაკრისტალებული ფორმალურად ისე, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ ენებშია დადასტურებული.

აღნერილი სემანტიკური პროცესის იმანენტურ მიზეზად დასახელებული იყო **ჩვენ** ნაცვალსახელის სემანტიკური კომპონენტების ბუნება და მათი შეფასება. ზოგი კომპონენტი შეფასდა როგორც აუცილებელი

ლი, ხოლო სხვები—როგორც კონტექსტობრივად ცვლადი. აშკარაა, რომ ამგვარი დახასიათება თავისითავად ხსნის იმ სემანტიკურ პროცესს, რასაც ვუწოდეთ ტრანს-სემანტიზაცია, ხოლო მეორეულ ჩვენ ნაცვალსახელს, როგორც ამ პროცესის შედეგს, შეიძლება ვუწოდოთ ტრანს-სემანტიკა.

თუმცა აქვე უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენ არ ვაპირებთ, დაკუმაყოფილდეთ ენის შინაგანი მექანიზმების წარმოჩენით ამ მოვლენის არსის ახსნისას; ეს აუცილებელიცაა, რადგან ამ მექანიზმების ამოქმედებას, როგორც ქვემოთ გამოჩენდება, ხელს უწყობს გარეენობრივი ფაქტორები.

**ჩვენ** ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარება ძველი და საშუალი ქართულის ძეგლებშიცაა დადასტურებული. ამის შესახებ არ მარტიროსოვი ამბობს: „ისტორიულ საბუთებსა და წარწერებში იგი გვევლინება ერთი პირის აღსანიშნავადაც, თუ ეს პირი სამეფო წრის, მაღალი საერო ან სასულიერო წოდების წარმომადგენელია“.<sup>45</sup>

მეორეული **ჩვენ** ნაცვალსახელის შემცველი ყველაზე ადრეული მაგალითი, რომელსაც კი მივაკვლიერ, არის შემდეგი:

სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელ მამებისადმი:

„ან, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი, შემდგომთა ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, ტაო-ისა და კლარჯეთისა ტანუტერთა და ყოველთა წელისუფალთა და საქმის მოქმედთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ წელ-ჰყოფთ შლასა და შეცვალებასა ამისსა“ (ქისკ, გვ. 34; 1054/1072 წ.).

ამავე პერიოდისაა ქვემოთ მოყვანილი მეორე სიგელიც:

სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი:

„ან, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ციხისთავთა, წევისუფალთა; ჩინებულთა და ყოველთავე საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებულსა ამას და გაგებულსა ჩუენსა, ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუინიერ შენევნისა და თანადგომისა“ (ქისკ, გვ. 36; 1057/1078 წ.).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს შემთხვევაში მთავარი არ არის რაც შეიძლება, ძველი წყაროს დაძებნა; რომელიც შეიცავს მეორეულ

<sup>45</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

**ჩვენ**-ს, არამედ ის ფაქტი, რომ ამგვარი მაგალითების მოყვანა უსაზ-ლვროდ დიდი რაოდენობით. შეიძლება, რაც იმის დასტურია, რომ ე.წ. „სამეფო ჩვენ“ სისტემატური ხასიათის (დისტრიბუციულად შეუზღუდვა) ენობრივ მოვლენას წარმოადგენს.

სიგელი გიორგი მეფისა მღვიმისადმი:

„ან, ვინცა პნახო ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი... და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას და გაგებულსა ჩუენსა.... და უკითუ ვინმე, რამანცა გუარმან კაცმან, რასაცა უამსა, ჭელ-ყოს იკადროს ამის ბრძანებისა ჩუენისა შეცვალებად...“ (ქისკ, გვ. 47-48; 1073 წ.)

კახთა მეფის ლეონ II-ის მიერ მიცემული ყმების შეწირულობის წიგნი:

„....ჩუენ ლუთივ გუირგუინოსანმან მეფემან, პატრონმან ლეონ ესე უკუნისადმი უამთა გასათავებელი სიმტკიცისა სიგელი გკადრეთ და მოგა ჯხენეთ თქვენ....“ (დოკ., გვ. 7; 1569 წ.).

სხვათა შორის, სავსებით ბუნებრივი იქნება, თუ შევიტანთ ეჭვს იმ მტკიცების კატეგორიულობაში, რომ მეფეთა სიგელებში ხმარებული **ჩვენ** მაინცდამაინც ერთ ადამიანს (მხოლოდ მოუბარს) აღნიშნავს: იქნებ აქ ხალხის ან სასახლის კარის წარჩინებულთა ნება იგულისხმება? ამ ეჭვის გასაქარწყლებლად საჭიროა კიდევ გარკვეული საილუსტრაციო მასალის მოყვანა:

გიორგი VIII-ს მიერ გაცემული წყალობის წიგნი:

„ქ.ნ. ნებითა ლუთისა დითა, ორისავე ტახტისა და სამეფოსა ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, შაანშე და შარვანშე და ყოვლისა დასავ-ლეთისა და აღმოსავლეთისა და ჩრდილოვეთისა თვით-ფლობით მტკი-ცეთ მქონებელ-მცყრობელმან პატრონმან მეფეთ-მეფემან გიორგი და თანამეცხედრემ ჩუენმან პატრონმან დედოფალთა-დედოფალმან. თა-მარ....“ (დოკ., გვ. 2; 1453 წ.).

მ. ბერძნიშვილი მიუთითებს, რომ 1634 წლიდან როსტომ მეფის ყველა საბუთის „სიგელის თავში“ მასთან ერთად მოიხსენიება მისი თანამეცხედრე:

„ქ. ნებითა და შენევნით ლვთისათა, ჩვენ ლვთივ გვირგვინოსანმა მეფეთმეფემან ჭელმწიფემან როსტომ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან მარიამ....“<sup>46</sup>

<sup>46</sup> მ. ბერძნიშვილი, ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის წერილობითი ძეგლები, თბ., 1989. გვ. 33-34.

დავუშვათ, მოყვანილ ორ მაგალითში პირველად ნახსენები **ჩვენ** ნაცვალსახელის რეფერენტი არ არის ერთი ინდივიდი, მაგრამ მეორე შემთხვევაში („თანამეცხედრემან ჩვენმან“) იგი აუცილებლად პირველი პირის მხოლოდითი რიცხვის მნიშვნელობითაა (წაიკითხე: „თანამეცხედრემან ჩემმან“).

ასე რომ, როგორც თანამედროვე, ისე ძველ და საშუალ ქართულში დასტურდება **ჩვენ** ნაცვალსახელის **მე-**ს მნიშვნელობით გამოყენება, თუმცა მისი ამ სემანტიკივით ხმარების რეგისტრები ძველად და ახლა სავსებით განსხვავებულია. ძველ და საშუალ ქართულში მეორეული **ჩვენ**, რაც მეფეთა საბუთებში გვხვდება, სიდიადის, აღმატების გამოხატვის მიზნითაა ნახმარი. როგორც ი. გოლუბი ამბობს, „მონარქის ბაგეთაგან წარმოთქმული **ჩვენ** ნაცვალსახელი ოფიციალურად და საზეიმოდ უღერდა“.<sup>47</sup> თანამედროვე ქართულში კი მეორეული **ჩვენ**, რომლის გამოყენება შემოიფარგლება სათანადო ფუნქციურ სტილთა საზღვრებით, განპირობებულია ავტორის მოკრძალებულობით, თავმდაბლობით. ამ ტიპის განსხვავებას შეიძლება ენოდოს სხვაობა **სოციო-სტილისტურ რეგისტრებს** შორის.

### §3. ტრანს-სემანტიზაცია

ზემოთ აღნიერილ დინამიკურ სემანტიკურ პროცესს, რომლის შედეგადაც მიღებულია მეორეული **ჩვენ**, ტრანს-სემანტიზაცია ვუწოდეთ. იმისათვის, რომ ამ ტერმინმა და მის მიერ აღნიშნულმა პროცესმა ხელოვნურად (მხოლოდ ერთი ნაცვალსახელისათვის) შექმნილისა და გამოგონილის შთაბეჭდილება არ შექმნას, განვიხილოთ ამ პროცესის მოქმედება სხვა ნაცვალსახელებშიც.

მიღებული შეხედულების თანახმად, ნაცვალსახელები მომდინარეობენ კონკრეტული ლექსიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვებისაგან, რომელებმაც დროთა განმავლობაში განიცადეს. როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური მოდიფიკაცია.

ამ საკითხზე მსჯელობის დროს ა. მარტიროსოვი იმოწმებს ვ. შერცლის მიერ შედგენილ და 1869 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნს "Личные местоимения в санскритском языке и сродные

47 Голуб И. Грамматическая стилистика современного русского языка, М., 1989, с. 91.

формы” და მოპყავს შემდეგი მაგალითი: ჩინურში პირველი პირის ნაცვალსახელს საფუძვლად უდევს გამოთქმა, რომლის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა „პატარა ადამიანი”, ხოლო მეორე პირის ნაცვალსახელისა — „დიდი ადამიანი”.<sup>48</sup>

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი დიაქტონიული უნვერსალია, კერძოდ, კანონი იმის შესახებ, რომ თავდაპირველად ჩამოყალიბდა ჩვენებითი პირისა და კითხვითი ნაცვალსახელები, ხოლო შემდეგ — უკუკუევითი, კუთვნილებითი, განუსაზღვრელობითი და სხვები.

სწორედ ამ სტადიების გავლის შემდეგ საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე, სათანადო საზოგადოებრივი ურთიერთობების პირობებში ენაში ჩნდება სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები (ს შ6). სხვათა შორის, მათი მიღების წესები თვალსაჩინოდ წარმოგვიდგენს საერთოდ ნაცვალსახელური სისტემის ჩამოყალიბების გზებსა და საშუალებებს.

სხვადასხვა ტიპის ენათა შესაბამისი მონაცემების ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიყოს სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა მიღების შემდეგი წესები:

(1) მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენება იმავე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ნაცვლად;

(2) მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენება მეორე პირის ნაცვალსახელის ნაცვლად;

(3) მრავლობითი რიცხვის ძველი ნაცვალსახელის გამოყენება;

(4) ნაცვალსახელურ ფორმაზე მრავლობითობის სუფიქსის დართვა;

(5) სხვა ჯგუფების ნაცვალსახელთა გამოყენება;

(6) პრონომინალიზაცია.\*

შესაძლებელია ზოგიერთი ამ წესის კომბინირება.

განვიხილოთ თითოეული წესი.

(1) მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის გამოყენება იმავე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ნაცვლად

ცნობილია, რომ მიმართება მე/ჩვენ, შენ/თქვენ არ უდრის მიმართებას კაცი (კაცები, თუმცა მე, შენ არის მხოლობითი

\*<sup>48</sup> არ. მარტინოსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 27.

\* კ. მაიტინსკაია გამოყოფს მხოლოდ სამ საშუალებას — Майтайнская К. Е. Местоимения в языках разных систем, М., 1969, с. 152.

რიცხვი, ხოლო **ჩვენ/თქვენ**—მრავლობითი (**ჩე/ჩვენ** იმავე ტიპის მიმართებას ჰგავს, როგორიცაა **სკამი/ავევი**); ისინი ნარმოადგენს არაერთგვაროვან ერთეულთა სიმრავლეს, მაგრამ მათი სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებად გამოყენების დროს (თავაზიანი **თქვენ**, ავტორისეული **ჩვენ**) ცვდება მათი სემანტიკური სტრუქტურის ყველა კომპონენტი, გარდა აუცილებელი, ღერძული კომპონენტისა. ამ გზით ვიღებთ მათგან სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებს ეს პროცედურა აღწერილია ზემოთ **ჩვენ** ნაცვალსახელთან დაკავშირებით. მო-აუმულ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვა ენათა მონაცემებსაც, რათა უფრო ცხადად ნარმოჩნდეს ამ სემანტიკური პროცესის არა უნიკალური, არამელ უნივერსალური ხასიათი.

ნიმუშები:

1-ლი კირი

ქართული—ჩვენ

ლათინური—**nos**

ფრანგული—**nous**

ინგლისური—**we**

რუსული—**мы**

მე-2 კირი

ქართული—**თქვენ**

ლათინური—**vos**

ფრანგული—**vous**

ინგლისური—**you**

რუსული—**Вы**

სპარსული—**شما**

ნივჭური—**Чыны**

დუნგანური—**Humy**

შენიშვნა 1: რუსული (მისივე გავლენით დუნგანური) ამ შემთხვევაში იყენებს მთავრულ გრაფემას.

შენიშვნა 2: ინგლისურ ენაში **you**-ს გავლენით გამოიდევნება მეორე პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელი **thou**. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელი იყო **ye**, ხოლო ფორმა **you** ნარმოადგენდა მის დატივსა და აკუზატივს.

## (2) მესამე პირის ნაცვალსახელის გამოყენება მეორე პირის ნაცვალსახელის ნაცვლად

გერმანული—**Sie**

დანიური (ასევე ნორვეგიული)—**De**

იტალიური—**Lei**

მსგავსი ვითარებაა იაპონურშიც: ვ. ალპატოვი აღნიშნავს, რომ ამ ენაში „მე-2 პირის ყველა ნაცვალსახელი არც თუ ისე თავაზიანია; განსაკუთრებულად თავაზიან სიტუაციებში თანამოსაუბრეს მიმართავ-ენ მე-3 პირში“.<sup>49</sup>

ამ შემთხვევაში მოქმედებს შემდეგი ფაქტორი: მთემელი თავს არიდებს პირდაპირ (მეორე პირის ნაცვალსახელის საშუალებით) მი-მართვას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ლ. ბლუმფილდის ერთი დაკვირვება: „მე-2 პირის სუბსტიტუტთა მნიშვნელობა ზოგიერთ ენაში იმ გარემოებით იზღუდება, რომ ისინი არ გვხვდება თავაზიან საუბარ-ში; ამის ნაცვლად მსმენელს მოიხსენიებენ გარკვეული თავაზიანი ტერმინებით (თქვენო ლირსებავ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენო უდიდებულესობავ). შვედურ თუ პოლონურ ენაში ამბობენ, მაგალი-თად, „როგორ გრძნობს დედა თავს?“ ან „ხომ არ მობრძანდება ბატონი ხვალ?“, სადაც კურსივით გამოყოფილი სიტყვები მსმენელს აღნიშნავს“.<sup>50</sup>

## (3) მრავლობითი რიცხვის ძველი ნაცვალსახელის გამოყენება

ბასკურ ენაში მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელია zuek, მაგრამ თავაზიანი მიმართვის დროს იხმარება zu. როგორც რ. ლაფონი აღნიშნავს, ძველი მრავლობითი გახდა მხოლობითის ზრდი-ლობიანი ფორმა.<sup>51</sup>

ამ თვალსაზრისით საინტერესო ვითარებაა ისლანდიურში, სადაც „მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ძველი ნაცვალსახელი წერ „თქვენ“ ამჟამად გამოიყენება თავაზიანი მიმართვის ნაცვალსახელად (ერთ ან რამდენიმე პირთან). მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ნეიტრალური მნიშვნელობით კი გამოიყენება წიბ „თქვენ“, რომელიც მომდინარეობს მეორე პირის ორობითი რიცხვის ფორმიდან. ზუსტად ამგვარად გაჩ-

<sup>49</sup> Алпатов В. М. Япония. Язык и общество, М., 1989, с. 59,

<sup>50</sup> Блумфилд Л. Язык, М., 1968, с. 279.

<sup>51</sup> რ. ლაფონი, ბასკური ენა ... ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური პიპოთება, თბ., 1976, გვ. 36.

ნდა ნაცვალსახელთა ოპოზიცია პირველ პირშიც. შრავლობითი რიცხვის ყოფილმა პირის ნაცვალსახელმა *vér „ჩქვენ“*, რომელსაც ნეიტრალური მნიშვნელობა ჰქონდა, შემდგომში მიიღო სუბიექტური შეფასების ელფერი; მისი გამოყენება დაიწყეს სამეფო პირებმა და მწერლებმა (სამეფო და ავტორისეული მრავლობითი რიცხვი) მხოლოდითი რიცხვის ნაცვლად. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ნაცვალსახელის ნეიტრალური მნიშვნელობა გადავიდა ნაცვალსახელზე *við*, ე.ი. ორობითი რიცხვის ყოფილ ფორმაზე<sup>52</sup>.

წარმოდგენილი მოდელი ნათლად წარმოაჩენს პრინციპს: არქაულია-ამაღლებული, რისი საშუალებითაც ვიღებთ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებს.

#### (4) ნაცვალსახელურ ფორმაზე მრავლობითობის სუფიქსის დართვა

ყირიმულ-თათრულ ენაში არის ნაცვალსახელი სუ „თქვენ“, მაგრამ თავაზიანი მიმართვის დროს მას ემატება მრავლობითობის სუფიქსი—*lær* > სუსლერ

უზბეკურში ნაცვალსახელს *özingiz* (თქვენ თვითონ) ერთვის ე.ნ. Pluralis honorific us-aq.

მაგალითად, *özingizaq kiringizag*—მობრძანდით თქვენ თვითონ!<sup>53</sup>

#### (5) სხვა ჯგუფების ნაცვალსახელთა გამოყენება შენ-ის ფუნქციით უნგრული *ön/önök* (თავაზიანი თქვენ)—მომდინარეობს ნაცვალსახელისაგან ი (თავისი).<sup>54</sup>

გუჯარათისა და რაჯასთანიში არის მეორე პირის სშნ *a:r*, რომელიც მომდინარეობს ამავე ფორმის ნაცვალსახელისაგან, რაც ნიშნავს 'თვითონ'.<sup>55</sup>

<sup>52</sup> Einarsson S. Icelandic. Baltimore, 1949, pp. 157-158.

<sup>53</sup> Кононов А. Р. О морфологических средствах выражения субъективной оценки // Сущность, развитие и функции языка. М., 1987, с. 181.

<sup>54</sup> Майтинская К. Е. Венгерский язык. ч. 1. Введение. Фонетика. Морфология, М., 1955, с. 7.

<sup>55</sup> Хохлова Л. В. Социолингвистический анализ форм вежливости в языке Раджастхани // Народы Азии и Африки, 1973, №3, с. 97.

<sup>56</sup> ლ. შალვაშვილი, თვით, თვითონ, თავად ნაცვალსახელთა განანილება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში // ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, ნიგნი მერვე, თბ., 1988, გვ. 322.

ლირსსაცნობია, რომ ტიპოლოგიურად მსგავსი შემთხვევა დასტურდება ქართულშიც. კერძოდ, ეს ეხება **თავად** ნაცვალსახელს, ლ. შალვაშვილი მიუთითებს, რომ „**თავად** საერთოდ ზრდილობიან, მორიდებულ საუბარში სახმარებელი ენობრივი კომპონენტის ფუნქციას იძენს“.<sup>56</sup> ჩვენის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაცვალსახელს თანამედროვე ქართულში უკვე შეძენილი აქვს ეს ფუნქცია და ჩვეულებრივ გამოიყენება როგორც სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლ. შალვაშვილის ნაშრომის კიდევ ერთი პუნქტი. ავტორი ჩერდება სასაუბრო ქართულის, უკეთ, დიალექტური მეტყველების ნარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე **თავად** ნაცვალსახელისადმი. 1984 წლის ზაფხულში ავტორი რამდენიმე პირს გასაუბრებია **თავად** ნაცვალსახელის მოხმარების თაობაზე სიღნალის რაიონის სოფელ ნუკრიანში.

მარუსა ხმალაძე, მაშნაარიდან გამოთხოვილი, ნიგნიერი (შვიდკლასდამთავრებული), 72 წლისაა.

—თავად სიტყვა გაგიგონიათ, მარუსა ძალო, მოკითხვაში?

—მა, რა! აე, რო კითხავენ ვინმედ, როგორა ხარო,—თავად თქვენ როგორა ჯბრძანდებით, შენ თვითონო, რა! ეგ სიტყვა მე ბავშვობიდანვე მახსოვეს. თედიკოდ ბიჭი გიგა იყო, ჩემი ძისი ნათლია, ჩამაიარა სიღნალიდან ფაიტვნითა და:—როგორა ჯბრძანდებითო, რომ ეკითხებიან, აბა, აქათ-იქიდან:—თავათ როგორ გიკითხოთ, თქვენ როგორდა ხარო,—გვეძახის.

მე კიდევ პატარა ვიყავ, 7-8 წლისა, ჩემ გუნებაში ვამბოფ: ნეტავ, ეს თავათ რაღაა -მეთქი, ქა! მემრე მივხვდი, ეს ის იქნება, თქვენ თვითონ როგორა ხართ-მეთქი!

—ხმარობთ ამ სიტყვას?

—უბანში არა, შინაურულათ „შენ როგორ ხარ“—ვეტყვი, რო მოიკითხო ვინმე, ისე რომ მოხდევ და მოვიდევ ჩემი ბიჭების ამხანაგი, იმათთან ვიცი. თავათ კულტურულია, შვილო, კულტურისაა.”<sup>57</sup>

## 6) პრონომინალიზაცია

უ. ჩეიფი პრონომინალიზაციას განმარტავს, როგორც „ლექსიკური ერთეულის ნაშლას“: „თუკი არსებითი სახელი გადმოგვცემს ძველ

<sup>57</sup> ლ. შალვაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 325-326.

<sup>58</sup> Чейф У. Л. Значение и структура языка, М., 1975, с. 296-297

ინფორმაციას, მაშინ მთებულს აღარ სჭირდება მისი მთლიანად გამეორება“.<sup>58</sup>

ჩვენთან პრონომინალიზაცია გაგებულია, როგორც განაცვალსახელება, რომელიმე არანაცვალსახელური სიტყვის ნაცვალსახელთა თან-რიგში გადასვლა. ეს იმდენად პროდუქტიული პროცესია, რომ მისთვის ყურადღება მიუქცევიათ არა მარტო ლინგვისტებს, არამედ ფილოსოფოსებსაც. ესპანელი მწერალი და ფილოსოფოსი ხოსე ოსტეგა-იგასეტი (1883-1955) ამბობს: „რამდენჯერ მოუწადინებია ადამიანს იმ ინტიმური ფსიქიკური შინაარსის განკერძოება, რომელსაც თავის თავში აღმოაჩენდა, და ამ დროს ყოველთვის გულისხმობდა, რომ ეს შინაარსი ყველა სხვა ცოცხალ არსებაშიც მოქმედებს. პირის ნაცვალსახელთა წარმონაქმნი სწორედ ამ წადილთა ისტორიის შესახებ მოგვითხრობს და წარმოაჩენს, როგორ ფორმირდებოდა „მე“-ს იდეა გარეგნულად შინაგან ატრიბუტებზე გადასვლის გზით. „მე“-ს ნაცვლად თავდაპირველად ითქმოდა „ჩემი სხეული“, „ჩემი ხორცი“, „ჩემი გული“, „ჩემი მკერდი“. ახლაც, როცა „მე“-ს წარმოვთქვამთ ემფატიკურად, მაშინვე მკერდზე დავიდებთ ხოლმე ხელს და ამ უსატში „მე“-ს შესახებ უძველესი „სხეულებრივი“ წარმოდგენა საცნაური. [...] ხუპას ტომის ჩრდილოამერიკელთა ინდიელების ენაში მხოლობითი რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელის ვარირება ხდება იმის მიხედვით, ბავშვს გულისხმობენ თუ მოხუცს. აქვე უნდა ითქვას: ისეთი ტიპის მიმართვები, როგორებიცაა „თქვენი უმაღლესობავ“. და ა.შ. წინ უსწრებენ „მე“ და „შენ“ ნაცვალსახელებს“.<sup>59</sup>

პრონომინალიზაცია მეტად მნიშვნელოვანი საშუალებაა არა მარტო სუბიექტური შეფასების, არამედ, საერთოდ, ნაცვალსახელთა მისაღებად. პიპოთება სრულმნიშვნელოვანი სიტყვიდან ფორმალურისაკენ სემანტიკური გადაწევის შესახებ მრავალი წლის წინ წამოაყენა კბრუგმანმა, რომელმაც ივარაუდა, რომ პრეინდოვროპულში 1-ლი პირის ნაცვალსახელი უნდა განვითარებულიყო სიტყვიდან, რომლის მნიშვნელობა პარალელური იყო იაპონური სიტყვისა ხოკი → „მსახური—მე“.<sup>60</sup> ც. ლემანი აღნიშნავს, რომ ამ პიპოთებას მივყავართ სხვა დაშვებებთან, სახელდობრ: „უფრო ძველ დროს პირის დეიქსისის პრეინდოვ-

<sup>58</sup> ხ. ორტეგა-ი-გასეტი, ორი დიდი მეტაფორა // საუნჯე. №4, 1992.

<sup>60</sup> Brugmann K. Kurze vergleichende Grammatik der indogermanischen Sprachen. Strassburg, 1904.

როპული სისტემა ხომ არ ეფუძნებოდა პატივისცემის გამომხატველ სახელად ლექსემებს.<sup>61</sup> ამ შეკითხვაზე დადებითი პასუხის გასაცემად არსებობს უხვი ფაქტობრივი მასალა სხვადასხვა სისტემის ენებში პრონომინალიზაციის შედეგად მიღებული ნაცვალსახელების სახით.

განვიხილოთ ის ნაცვალსახელები, რომლებიც წარმოადგენს პრონომინალიზაციის პროდუქტს, და, რომლებიც გამოიყენება მეორე პირისადმი თავაზიანი მიმართვის დროს:

სანსკრიტი:

**bhàvant** ←bhàgavant—ღვთიური

ესპანური:

**Usted** ← Vuestra Merced—თქვენო წყალობავ!

შენიშვნა: ბასკური ენის ბისკაიურ და გიპუსკოურ დიალექტებში არის თავაზიანი მიმართვის ფორმები, რომლებიც ესპანური Usted-ის თარგზეა შექმნილი. ესაა მესამე პირის ნაცვალსახელი berori (←bera „თვითონ“+hori ლათ. „ista“)<sup>62</sup>.

აფრიკაანსი:

**U** ←Uwe Edelheid—თქვენო კუთილშობილებავ!

უნგრული:

**Kend** ←Kegyelmed—შენო წყალობავ!

იაპონური:

**კაკუი** ←კაკუი— [პატივცემულო] ბატონებო!

გაგაუზური:

**Жанаб-ин** ←(არაბ.) უდიდებულესობა, აღმატებულობა.

კარაიმული:

თრაკაიული დიალექტი: კოდუй/კავოდუй/კავოდუიუზ/კავოუიზ;

გალიციური დიალექტი: კანუэ/კავოდუნუ. კ. მუსაევი მიუთითებს, რომ ეს ფორმები უკავშირდება ძველებრაულ სიტყვას ქავოდ—პატივი, დიდება.<sup>63</sup>

მარცხენა სვეტში ჩამოწერილია სუბიექტური შეფასების ნაცვალსა-

<sup>61</sup> Леман В. Ф. Индоевропейстика сегодня//ВЯ, №2, 1987, с. 25.

<sup>62</sup> Стуруа Н. Н: Баскский полиперсональный глагол, III //ЕИКЯ, т. XVIII-XIX, ТБ., 1992, с. 342.

<sup>63</sup> Мусаев К. М. Каракимский язык // Язык народов СССР. т. 2, Тюркские языки, М., 1966, с. 268.

ხელები (ყველა მათგანი ქართულად ითარგმნება. როგორც თავაზიანი თქვენ), ხოლო მარჯვენაში—ის სიტყვები თუ გამოიქმები, რომელთაგანაც ისინი მომდინარეობენ. მაგალითების რაოდენობა და მათი ხასიათი ნათლად წარმოაჩენს არსებულ ვითარებას და ხსნის ზედმეტი კომენტარის საჭიროებას. თუმცა, ალბათ, საგანგებო ყურადღება უნდა მივაპყროთ შემდეგ გარემოებას: გაგაუზური და კარაიმული ენათა ერთი ოჯახის წარმომადგენლებია, მაგრამ გაგაუზები მუსულმანები არიან, ხოლო კარაიმები—იუდეველები; გაგაუზურ ენაში სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი მომდინარეობს ამ ერის საკულტო ენის—არაბულის ლექსიკიდან; ტიპოლოგიურად იდენტური ვითარებაა კარაიმულში: აქ წყაროს ძველებრაული ლექსიკური ერთეული წარმოადგენს. ეს ფაქტები უფრო გამოკვეთილად წარმოაჩენს, ზოგადად, ტრანს-სემანტიზაციისა და, კერძოდ, პრომინალიზაციის სოციალურ სარჩულს.

ტრანს-სემანტიზაციის ცნება ემყარება სიტყვის სემანტიკური კომპონენტების შეფასებას, მათს ფიქსირებულობასა და ცვლადობას. ტრანს-სემანტიზაციის დროს ხდება მოცემული ლექსიკური ერთეულის სემანტიკური კომპონენტების ცვეთა, გარდა აუცილებელი, ბირთვული, ან კონკრეტულ შემთხვევაში საჭირო, აქტივიზებული კომპონენტისა, რომელიც საფუძვლად ედება ახალი შინაარსის (შესაბამისად, ახალი ფუნქციის) ენობრივ ერთეულს. ტრანს-სემანტიზაციის, როგორც პროცესის, შედეგს ვუწოდეთ ტრანს-სემანტემა. ასეთებად განვიხილავთ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებს. მართალია, ზემოთ ჩვენ მათი მიღების განსხვავებული წესები წარმოვადგინეთ, მაგრამ ეს სხვაობა მხოლოდ მათი ზედაპირული სტრუქტურების კუთვნილებაა, რაც ვერა და ვერ ჩქმალავს მათს სილრმულ სტრუქტურებში მიმდინარე პროცესების იდენტურობას. სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა მიღების ფორმალურად განსხვავებულ წესებს საერთო პრინციპი უდევს საფუძვლად, და ამ პრინციპს ტრანს-სემანტიზაცია ეწოდება, ხოლო სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა მიღების წესებს—ტრანს-სემანტიზაციის წესები. ეს კი ერთგვარი უნივერსალის სახეს იძენს.

რაც შეეხება უნივერსალიას, უპრიანი იქნება ტრანს-სემანტიზაციის პროდუქტიულობის დასადასტურებლად კვლავ მივმართოთ ერთ-ერთ პრონომინალურ ტრანს-სემანტემას **თავად**.

გავიხსენოთ საერთოდ ნაცვალსახელთა ჩამოყალიბების სტადიები:

1. ნაცვალსახელები მომდინარეობენ კონკრეტული (ფიქსირებული) ლექსიკური მნიშვნელობის სიტყვებისაგან;

II. თავიდან ჩამოყალიბდა ჩვენებითი, პირისა და კითხვითი ნაცვალ-სახელები, ხოლო შემდეგ—უკუქცევითი, კუთვნილებითი და ა.შ.;

III. ამის შემდეგ ენაში ჩნდება სუბიექტური შეფასების ნაცვალსახე-ლები:

თავი (არსებითი სახელი)

↓

თავი (პირის ნაცვალსახელი)

↓

თავად (განსაზღვრებითი ნაცვალსახელი)

↓

თავად (სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი)

სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელი **თავად** სხვა შხრივაც ტი-პოლოგიურად უტოლდება ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებს სხვა-დასხვა ენიდან. იგი არის ტიპიური ნაცვალსახელური ტრანს-სემანტემა. ლირსსაცნობია, რომ ეს პროცესი მხოლოდ ახალი ლექსიკური ერთეუ-ლის წარმოქმნით არ მთავრდება, იგი ენის სხვა დონეებსაც სწოდება. დ. შმელიოვი აღნიშნავს: „ჩვენი რწმენით, ენა თავის რეალურ გამოყე-ნებაში უსათუოდ (და ასე ხდება ნებისმიერ სალიტერატურო ენაში) ახდენს თავისი საშუალებების დიფერენცირებას გამონათქვამის თემისა და დანიშნულების და I-ლი და მე-2 პირების ანუ მთქმელისა და ადრესატის მიმართების შესაბამისად“<sup>64</sup>.

საინტერესოა, რომ ენებში არის ტენდენცია სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა სისტემური გამორჩევისა სხვა თანრიგის ნაცვალსახე-ლებისაგან.

ასე ხდება ქართულშიც. ლ. კვაჭაძე შენიშნავს: „როცა თქვენ ერთი პირის მისამართით არის ნახმარი (ე.ი. თავაზიანი ფორმაა—ზ.კ.), მეშვე-ლი ზნა მრავლობითშია, სახელადი ნაწილი კი მხოლოდითში დგას: თქვენ ყმანვილი კაცი ბრძანდებით; თქვენ დიდი გულჩახვეული კაცი ყოფილსართ“<sup>65</sup> **თქვენ** ჩვეულებრივი მრავლობითის მნიშვნე-ლობით რომ ყოფილიყო, მაშინ სახელადი ნაწილიც მრავლობითის ფორმით იქნებოდა.

სხვა ენებიც თავისებურად გამოარჩევენ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელებს. ამიტომაც, უპრიანი იქნება, თუ ენის გრამატიკაში მათ ცალკე თანრიგად გამოვყოფთ, თუმცა, რადგან მათთვის მთავარია

<sup>64</sup> დ. შმელიოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

<sup>65</sup> ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1988, გვ. 108.

პირის გაგება, უმჯობესია, თუ პირის ნაცვალსახელებში გამოვარჩევთ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა ქვეთანრიგს. ზოგიერთი ენის გრამატიკაში ეს ქვეთანრიგი უფრო მეტად წარმომადგენლობითი იქნება, ზოგიერთისაში კი ნაკლებად. თუმცა ამა თუ იმ ენაში სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა რაოდენობას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს; მთავარია ის, რომ მათი არსებობა ფაქტია; ეს ფაქტი კი უნდა აისახოს ენის გრამატიკულ აღნერაში. ოღონდ მათი ტიპოლოგიური და სოციოლინგვისტური კვლევის დროს უსათუოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ისინი წარმოიშვებიან ტრანს-სემანტიზაციის გზით და წარმოადგენენ პრომინალურ ტრანს-სემანტიკებს.

სწორედ ტრანს-სემანტიზაცია გახდა ნოყიერი იმანენტური ნიადაგი იმისათვის, რომ ენას სათანადოდ აესახა ის სოციალური მიმართებანი, რაც არსებობს მის მატარებელთა შორის, და, ამასთან ერთად, არა-მარტო ერთჯერადად აესახა, არამედ სისტემური ხასიათიც მიეცა ამისათვის. ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი ფენომენის ენობრივ გამოხატულებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება საუბარი, როდესაც მოცემულ სოციალურ „მარცვალს“ სწორედ ისეთი ნოყიერი ნიადაგი ხვდება გასაღვივებლად, როგორზეც ზემოთ მივუთითეთ. ნათქვამის დამადასტურებელია პრობლემათა ის წყება, რომელსაც განვიხილავთ წინამდებარე ნაშრომში.

#### §4. სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები და ზმინის რიცხვი

ზემოთ ჩვენ დავადგინეთ ის იმანენტური მიზეზი, რის გამოც ხდება ჩვენთვის საინტერესო ცვლილება, მაგრამ რადგან ეს ცვლილება გარკვეულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ამსახველია გარკვეულწილად. დასადგენია ის სოციალური ფაქტორიც, რამაც გამოიწვია იგი. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს, რომ მეორეული ჩვენ და თავაზიანი თქვენ წარმოშობითაც უნდა იყვნენ დაკავშირებული ერთმანეთთან (ვგულისხმობთ ექსტრა-ლინგვისტურ ვითარებას).

არ. მარტიროსოვი წერს: „სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მიმართვის თავაზიანი ფორმები ევროპულ ენებში შემოვიდა ლათინურის გავლენით, თვით ამ ენაში კი ნაცვალსახელთა განსაკუთრებული მნიშვნელობით ხმარების წესი დამვიდრდა რომის კეისართა მეშვეობით. ეს ჩვეულება შემდეგ და შემდეგ ფართოდ გავრცელდა ევროპის ხალხებში და ფეოდალური წყობილების დროს ამის ნიადაგზე

შეიქმნა ისეთი ტიპის გამოთქმები, როგორიცაა: თქვენო აღმატებულებავ, თქვენო კეთილშობილებავ, თქვენო უდიდებულესობავ და სხვა“<sup>66</sup>

კ. ჯორჯანელი მიუთითებს, რომ მონარქები „თავის თავს მრავლობით რიცხვში იხსენიებდნენ და ვასალებსაც აიძულებდნენ, ასევე მრავლობით რიცხვში მიემართათ მათვის.“<sup>67</sup>

შესაძლოა, გაჩნდეს ვარაუდი, რომ, პირიქით, სწორედ ქვეშევრდომების მხრიდან „თქვენო უდიდებულესობავ!“ ტიპის მიმართვების ხმარების ინტენსივობამ განაპირობა მონარქის, როგორ ადრესანტის, მხრიდან საკუთარი თავის აღნიშვნა მრავლობითი რიცხვით. მაგრამ ეს ვარაუდი არ იქნება სწორი. არ. მარტიროსოვისა და კ. ჯორჯანელის მოსაზრებები სავსებით მართებულია, რასაც ადასტურებს ისტორიული სინამდვილე: ნაცვალსახელის მხოლობითი რიცხვის იმავე პირის ნაცვალსახელის მრავლობითი რიცხვით შეცვლა ევროპაში პირველად რეგისტრირებულია ჩვენი წელთაღრიცხვის მე-3 საუკუნეში რომის სახელმწიფო დოკუმენტებში. ამ სახელმწიფოს ორი ან სამი კაცი ედგა სათავეში. როდესაც ისინი დეკრეტებს გამოსცემდნენ, თავიანთ თავს, რა თქმა უნდა, ჩვენ ნაცვალსახელით მოიხსენიებდნენ; მოვიანებით, როცა ჩამოყალიბდა ერთმმართველობა, მრავლობითის ხმარება ჩვევად გადაიქცა<sup>68</sup>. აქედან შევიდა ეს ტრადიცია ევროპის სამეფო სასახლეებში, ხოლო ბიზანტიის გავლით—საქართველოში. ამგვარმა საწყისმა განაპირობა სამეფო მრავლობითის ხმარება ძირითადად მხოლოდ წერით მეტყველებაში. ამას ადასტურებს ზემომოყვანილი ფაქტობრივი მასალა და ქართული საერო მწერლობის ძეგლთა მონაცემები. მაგალითად, „ამირანდარეჯანიანში“ მხოლოდ ორჯერ გვხვდება მეორეული ჩვენ და ისიც მაშინ, როდესაც მეფის ნება წერილობითაა გადმოცემული.

„სავარსამიძესა, გამორჩეულსა ჭაბუკსა, გიბრძანებს მეფობა ჩვენი: მხიარულ ვარ სიცოცხლისა შენისათვის, ვმადლობთ ღმერთსა, რომელ ჯერეთ ცოცხალ ხარ. ან, რა ნაიკითხო ესე წიგნი, სწრაფით წამოდი წინაშე ჩვენსა, რომელ ჩვენ გავიხარნეთ ნახვითა შენითა და ვითა მამა, ისრე პატივით დაგიჭიროთ და განგისვენოთ, ვითა

<sup>66</sup> არ. მარტიროსოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 66.

<sup>67</sup> კ. კორჯანელი, დასახ. ნაშრ. გვ. 88

<sup>68</sup> Curme G. Parts of speech and Accidence. A grammar of the English Language. Boston, New York, 1935, p 150.

გამზრდელსა და გვითხრობდი ამბავთა პატრონისა შენისა ამირან დარეჯანისათა და განმიქარვე შეჭირვება” (ამირ. გვ. 286).

„ვინათგან ღმერთსა ამ უამძის მოუწევისარ, ესე არა ეგების, თუმცა არა გნახა მეფობამან ჩვენმან“ (ამირ., გვ. 287).

თავაზიანი **თქვენ**—ის ხმარება კი სწორედ „სამეფო მრავლობითანაა“ დაკავშირებული: რახან მონარქი თავის თავს მრავლობითში მოიხსენიებდა, ქვეშევრდომებიც აუცილებლობად მიიჩნევდნენ, მრავლობითის სემანტიკის ნაცვალსახელით მიემართათ მისთვის.

ყველაფერი ეს თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რასაც ა. ლეონტიევი ამბობს: „.... პირის ნაცვალსახელები გამოხატავენ არა მარტო ჩვენს „პირად“ შეხედულებას სამყაროზე, არა მარტო ჩვენს საკუთარ მიმართებას საუბრის სხვა წყაროებთან, არამედ ისინი კიდევ წარმოადგენენ ერთგვარ ციცქა სარკეს, რომელშიც აისახება საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემა“<sup>69</sup>.

თუმცა აქ უნდა დაისვას ერთი შეკითხვა: რა კავშირშია პირის ნაცვალსახელები მრავლობითი რიცხვის ფორმათა სტილისტური დანიშნულების კვლევასთან, მათ ხომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, მრავლობითის ფორმა არა აქვთ? ეს სავსებით კანონზომიერი კითხვაა, თუმცა სამართლიანობისათვის იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ პირის ნაცვალსახელებზე საუბარი ამ შემთხვევაში სავსებით უპრიანია.

„ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ ნათქვამია, რომ „როგორც დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორია, რიცხვი დამახასიათებელია არსებითი სახელისა და პირის ნაცვალსახელისათვის (...), სიტყვათა სხვა ლექსიკურ-გრამატიკულ თანრიგებს აქვთ რიცხვის სინტაქსური კატეგორია“<sup>70</sup>.

ქართულ ენაში არსებული ვითარების უკეთ წარმოსაჩენად საჭიროდ მიგვაჩნია აკ; დავითიანის წიგნიდან ვრცელი ციტატის მოყვანა: „რომლისთვის არის ძირითადი პირის გაგება: ნაცვალსახელისა თუ ზმნისათვის? პირის შინაარსი ნაცვალსახელებში გამოხატავს ვინც უბნობს (I პირი), ვისაც ეუბნებიან (II პირი) ან ვიზედაც უბნობენ (III პირი). პირთა ამ დიფერენციაციას უშუალოდ (რეალიასთან, ალსანიშნთან მიმართებით) გამოხატავს ნაცვალსახელი. ზმნაში იგი ასახულია არა როგორც უშუალოდ ალსანიშნთან მიმართება, არამედ—როგორც ამ

<sup>69</sup> Леонтьев А.А. Возникновение и первоначальное развитие языка, М., 1963, с.107.

<sup>70</sup> ЛЭС, М., 1990, с. 583.

მიმართების მიმართება, ე. ი. ზმნის პირის მეორეული აღმნიშვნელია. მართლაც, ინტუიციითაც კი შეიძლება რომელიმე ზმნის ფორმაში (მაგ. ჩქარობთ) დავადგინოთ მისი მიმართება **თქვენ** ნაცვალსახელთან, რომელიც იმ პირთა (საგანთა) ჯგუფს აღნიშნავს, ვისაც ესაუბრებიან<sup>71</sup> აქვე მოყვანილია არნ. ჩიქობავას შემდეგი სიტყვები: „ზმნაში ცვლილება შეუძლებელია ისე, რომ მასში სახელის ნიშნები (წარმომადგენლები) არ იყოს, **სახელის ცვლისას** კი **ზმნისეული ელემენტები** არსად ჩანს<sup>72</sup> წინასწარვე უნდა შევნიშნოთ, რომ არნ. ჩიქობავას ეს მოხდენილი გამონათქვამი შემდგომაც იქნება წინამდებარე ნაშრომში გამოყენებული იმ ენობრივი რეალიის არსის წარმოსაჩენად, რომელსაც აქ განვიხილავთ.

პირის საკითხის განხილვის შემდეგ აკ. დავითიანი ეხება რიცხვსაც: „ასეთივე მდგომარეობაა რიცხვის კატეგორიაშიც. რიცხვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა მხოლოდ არსებით სახელებს აქვთ, როგორც ისეთ საგანთა წყების აღმნიშვნელებს, რომლებიც დაითვლება. მრავლობითი რიცხვი არსებით სახელებში გამოხატავს მიმართებას აღსანიშნთან (რეალიასთან), ხოლო სხვა სიტყვათა კლასებში მეორეული მიმართების (მიმართების მიმართების) აღმნიშვნელია: მაგალითად, ზმნას არ შეიძლება ჰქონდეს რიცხვი (ოპოზიცია—მხოლობითი რიცხვისა და მრავლობითი რიცხვის ზმნები—არასწორია). რიცხვი აქვს ზმნის ამა თუ იმ პირს, რომელიც არის ასახული (მოქმედი ან სამოქმედო საგნის სახით განზოგადებული)<sup>73</sup> აქედან გამომდინარე, თუ პირთა დიფერენციაციას „უშუალოდ (რეალიასთან, აღსანიშნთან მიმართებით)“ გამოხატავს ნაცვალსახელი და ზმნაში იგი აისახება არა უშუალოდ, ე. ი. როგორც მიმართების მიმართება, რიცხვი კი აქვს ზმნის ამა თუ იმ პირს, რომელიც არის ასახული, მაშინ უკვე ცხადად ჩანს, თუ რა კავშირშია პირის ნაცვალსახელები მრავლობითი რიცხვის ფორმათა სპეციფიკურ სტილისტური ფუნქციით ხმარების შესწავლასთან. ამ კავშირს **პირდაპირი** უნდა ვუწოდოთ.

არსებით სახელებში (მათთან ერთად ნაცვალსახელებში) მრავლობითი რიცხვის პირველადობის თეზისის დასადასტურებლად ურიგო მაგალითებს არ წარმოადგენს იაპონური და ჩინური ენები, რომლებშიც საგანთა მრავლობითი რიცხვი არანაირი გრამატიკული საშუალე-

<sup>71</sup> აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი, I თბ., 1973, გვ. 51-52.

<sup>72</sup> არნ. ჩიქობავა, რა თავისებურებანი ახასიათებს ქართული ენის აგებულებას? წერილი 5// ახალ სკოლისაკენ, 1930, №7-8, გვ. 709.

<sup>73</sup> აკ. დავითიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 52.

ბებით არ გამოიხატება. გამონაკლისს წარმოადგენს პირის ნაცვალსახელები (ხაზი ჩვენია—ზ.კ.) და სულიერი არსებითი სახელები<sup>74</sup>.

მაშასადამე, ზემოთ ჩვენ გავარკვიეთ ის მიზეზ-პირობები, რომელთა გამოც ხდება შესაბამისი ცვლილებები პირის ნაცვალსახელთა სემანტიკაში, რაც თავის მხრივ აპირობებს სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას ზმნის შესაბამისი ფორმისათვის. ამჯერად კი უკვე გვაქვს საფუძველი, სათანადო ინტერპრეტაცია მივცეთ ამ ზმნურ ფორმებს.

## §5. გრამატიკული ეფუძნიშმი

იმის შესახებ, რაზეც წინა პარაგრაფის ბოლო ნაწილში გვქონდა საუბარი, აკ. შანიძე შენიშნავს: „მორიდებულ საუბარში **თქვენობით** მივმართავთ ხოლმე ერთ კაცსაც. როგორ უნდა შევხედოთ ამ შემთხვევაში „თქვენ“ სიტყვას? გამოხატავს ის ბევრს, თუ არა? რა თქმა უნდა, არა. ამ შემთხვევაში „თქვენ“ იგივეა, რაც „შენ“, მაგრამ მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც „მოდი“-სა და „მობრძანდი“-ს შორის; ჩვეულებრივ „მოდი“ ითქმის, მაგრამ პატივისცემით მიმართვის დროს „მობრძანდი“-ს ამბობენ. მაშასადამე, „თქვენ“ სიტყვას ორი მნიშვნელობა ჰქმნია: 1) აღნიშნავს ერთზე მეტს,—ეს არის ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობა; 2) აღნიშნავს ერთს,—ეს არის იმავე სიტყვის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც მას ზრდილობიან საუბარში აქვს მოპოვებული“<sup>75</sup>. შენიშვნაში ენობრივ ერთეულთა განსხვავებული სემანტიკით ხმარების დეტერმინატორად ისეთი ფაქტორებია დასახელებული, რომლებიც ფაქტობრივად იწვევს ევფემიზაციას სხვა შემთხვევებში, სხვა ტიპის ენობრივი ცვლილებების დროს. სწორედ ამ თვალსაზრისით გამორჩეულ მნიშვნელობას იძენს ევფემიზმის საკითხის განხილვა და იმის გარკვევა რამდენად უკავშირდება იგი ჩვენთვის საინტერესო საკითხს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში მიღებული ტერმინი „ევფემიზმი“ (ბერძ. euphemismos<eu „კეთილად“, phēmi „ვმეტყველებ“) აღნიშნავს გარკვე-

<sup>74</sup> Серебренников Б.А. Роль человеческого фактора в языке. Язык и мышление, М., 1988. с.10.

<sup>75</sup> აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 42.

ული ფსიქიკური თუ სოციალური ფაქტორებით გამოწვეულ ჩანაცვლებით ენობრივ ფორმებს, რაშიც, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება ენის ლექსიკური რეპერტუარი. ეს მიღვომა დასტურდება შესაბამისი სპეციალური ლიტერატურისა და სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული წყაროების მონაცემებით. ამ ნაშრომებში არსებული ტერმინ „ევფემიზმის“ განმარტებების საილუსტრაციოდ მოყვანილი ყველა ენობრივი მაგალითი ლექსიკურ ხასიათს ატარებს. ასეთი ტენდენცია დამახასიათებელია აბსოლუტურად ყველი მათგანისათვის გამონაკლისის გარეშე.

ძველბერძნული სიტყვა ენტყომის ჯერ კიდევ პომეროსთან გვხვდება და გულისხმობს ძველ წარმართულ ჩვეულებას, რომლის მიხედვით მსხვერპლშეწირვისა და ლოცვების წარმოთქმის დროს მხოლოდ „კარში მნიშვნელობის“ სიტყვები უნდა ეხმარათ.

კ. ჯორჯანელი თავის წიგნში „ევფემიზმები და სიტყვის ტაბუ“ ცალკე პარაგრაფს უძლვნის ტერმინის საკითხს და საბოლოოდ ასკვნის, რომ ევფემიზმი „ენოდება სიტყვას (ან გამოთქმას), რომელიც ისეთი სიტყვის (ან გამოთქმის) სუბსტიტუტორად იხმარება, რომელიც მოცემულ ენობრივ კოლექტივში სახიფათოდ, უსიამოვნოდ, უხეშად, სათავილოდ, ან უზრდელად მიიჩნევა. ევფემიზმი და ის სიტყვა (ან გამოთქმა), რომელსაც იგი ენაცვლება, ერთსა და იმავე ობიექტურ მონაცემზე მიუთითებენ. განსხვავდებიან კი იმით, რომ ერთნაირ შთაბეჭდილებას არ ახდენენ მსმენელზე“<sup>76</sup>. მოყვანილ ციტატაში სამჯერ არის ნახსენები „სიტყვა (ან გამოთქმა)“ და, საერთოდ, ევფემიზმი დასახელებულია, როგორც „სიტყვის (ან გამოთქმის) სუბსტიტუტორი“. ამგვარი დეფინიცია სავსებით კანონზომიერია, რადგანაც შეპირობებულია ტრადიციით. არნ. ჩიქობავა ამბობს, რომ „ზოგი სიტყვის (თუ გამოთქმის) ხმარება უხერხულად ითვლება, ამიტომ შეგნებულად გაურბიან ამ სიტყვებს (და გამოთქმებს) და ცვლიან მათ სხვა სიტყვებით (და გამოთქმებით). უხერხული სიტყვების ასეთ შენაცვლებას ევფემიზმი ეწოდება“<sup>77</sup>.

ამ მხრივ პრინციპულ განსხვავებას არ ამჟღავნებს გ. ახვლედიანის რედაქციის გამოსულ „ენათმეცნიერების შესავლის საკითხებში“ მოცემული განმარტებაც: „ევფემიზმებად იწოდება ისეთი სიტყვები და გამოთქმები (ხაზი ჩვენია—ზ.კ.), რომლებიც ენაცვლებიან საშიშად ან საკრძალველად მიჩნეული საგნებისა და მოვლენების სახელებს“<sup>78</sup>.

<sup>76</sup> კ. ჯორჯანელი, დასახ. ნაშრ., გვ. 11.

<sup>77</sup> არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952, გვ. 191.

<sup>78</sup> ენათმეცნიერების შესავლის საკითხები, თბ., 1972, გვ. 132.

## მოყვანილი მაგალითებიც ლექსიკურია, გარდაიცვალა < მოკვდა ტიპისა.

გ. ნებიერიძისათვის უფრო მოსახერხებელი ტერმინია „ევფემია“. ავტორი აღნიშნავს: „ევფემიის შემთხვევაში (...) უარყოფითად შეფასებული სიტყვის მნიშვნელობა იცვლება დადებითი, „კეთილშობილი“ მნიშვნელობის მქონე **სიტყვით ან სიტყვებით**. (ხაზი ჩვენია — ზ.კ.)“.<sup>79</sup>

საგულისხმოა, რომ ლექსიკოგრაფიული ნაშრომებშიც მსგავსი სურათია. უ. მარუზ ამგვარ განმარტებას იძლევა: „შერბილებული გამონათქვამი (...) გამოყენებული ისეთი ცნების გადასაცემად, რომლის პირდაპირი წარმოთქმაც არასასურველი იქნებოდა“. მოყვანილი მაგალითი: *S'en aller* („გარდაცვალება“) ნაცვლად სიტყვისა *mourir* („სიკვდილი“).<sup>80</sup>

ო. ახმანოვას დეფინიცია შემდგენაირია: „ტროპი, რომელიც მდგომარეობს რომელიმე საგნის ან მოვლენის არაპირდაპირ, დაფარულ, თავაზიან, შერბილებულ აღნიშვნაში“.<sup>81</sup> ავტორის მიერ მოყვანილი მაგალითი აქაც ლექსიკურია: *старый* → *преклонного возраста*.

იგივე სურათია დ. როზენტალისა და მ. ტელენკოვას ლექსიკონშიც.<sup>82</sup>

მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილ „უცხო სიტყვათა ლექსიკონშიც“, ბუნებრივია, მხოლოდ ტრადიციული დეფინიციაა ტრადიციული ხასიათის საილუსტრაციო მასალით.<sup>83</sup>

პ.უ. ფაულერის ლექსიკონშიც, სადაც საკმაოდ ვრცელი სტატია ეძღვნება ევფემიზმს, როგორც მოვლენას, ეს უკანასკნელი განმარტებულია, როგორც მიუღებელი გამოთქმის შემცვლელი უფრო შერბილებულით. მაგალითი: *the dead* („მკვდრები“)—*the departed* („მიცვალებულები“).<sup>84</sup>

რაც შეეხება „ლინგვისტურ ენციკლოპედიურ ლექსიკონს“, რომელშიც მისი გამოცემის მომენტისათვის ენათმეცნიერული აზროვნების

<sup>79</sup> გ. ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991, გვ. 238.

<sup>80</sup> უ. მარუზო, დასახ. ნაშრ., გვ. 340.

<sup>81</sup> Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов, М., 1966, С. 521.

<sup>82</sup> Розенталь Д. Э., Теленкова М. А. Словарь-справочник лингвистических терминов, М., 1976, С. 533.

<sup>83</sup> უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1989, გვ. 147.

<sup>84</sup> Fowler H. M.A Dictionary of Modern English Usage, Oxford, 1980, p. 171.

თითქმის ყველა მიღწევაა გათვალისწინებული, ჩვენთვის საინტერესო მოვლენა ასეა განმარტებული: „ემოციურად ნეიტრალური სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც გამოიყენება მათი სინონიმური სიტყვებისა თუ გამოთქმების (ხაზი აქაც და ზემოთაც ჩვენი—ზ.კ.), ნაცვლად, რაც მთქმელისათვის საჩინირო, უხეში ან უტაქტოა“.<sup>85</sup> მოყვანილია შემდეგი მაგალითები: რუსულიდან ითქვას „*старый*, *труп*“ ფრანგულიდან *exécuter*<*mettre à mort*, პოლონურიდან *romoś domowa*<*stuzaca* როგორც ვხედავთ, ამ ნაშრომში ხაზი ესმება ევფემიზაციის ლექსიკურ ხასიათს და მაგალითებიც ამის მიხედვითაა შერჩეული.

მაშასადამე, როგორც თავიდანვე აღინიშნა და როგორც ზემოთ დავინახეთ, ეს ტენდენცია საყოველთაო ხასიათს ატარებს, რაშიც, რა თქმა უნდა, არაფრია უმართებული. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ევფემიზმების მიკუთვნება მხოლოდ ლექსემატური დონისათვის არ უნდა იყოს საკმარისი, რადგან სათანადო ფაქტობრივი მასალის მოტანისა და შეჯერების შედეგად ცხადი გახდება, რომ ევფემიზაციის პროცესი ზოგჯერ მორფემატული დონის ელემენტების საშუალებით ხორციელდება: ეს უნინარესად ითქმის ევფემიზმის იმ სემანტიკური მომენტის შესახებ, როდესაც იგი თავაზიანობის შინაარსის გადმოცემას ემსახურება.

თავაზიანობის გამოხატვის საშუალებები ყველა ენაში მოიპოვება, მაგრამ ამ მხრივ აზიის ზოგიერთი ენა ევროპულთაგან განსხვავდება იმით, რომ მათ მოეპოვებათ თავაზიანობის არა მარტო ლექსიკური, არამედ გრამატიკული ფორმებიც.

ამგვარ ენათა რიგს განეკუთვნება იაპონური ენა, რაც მის ერთ-ერთ ძეგლი თავისებურებად ითვლება. იაპონელი ლინგვისტი ცუძიმურა ტოსიკი თავაზიანობის ფორმებს განსაზღვრავს, როგორც „ენობრივ გამოხატულებას ადამიანთა შორის ურთიერთობის გაგების საფუძველზე“.<sup>86</sup> ამ ენაში თავაზიანობის ფორმათა გრამატიკული სისტემა უმთავრესად ზმნაში, პრედიკატულ ზედსართავსა და მაერთშია გამოხატული. ორი გრამატიკული კატეგორიიდან ერთერთი —ადრესივი—

<sup>85</sup> ЛЭС, с. 590.

<sup>86</sup> ცუძიმურა ტოსიკი, თავაზიანობის თანამედროვე ფორმები, ტოკიო, 1967, გვ. 12 (იაპონურ ენაზე) —ციტირებულია ვ. ალპატოვის რეცენზიიდან, იხ. უურნალი Народы Азии и Африки, 1970, №6, с. 186.

მიუთითებს თანამოსაუბრესთან დამოკიდებულებაზე. აქ ფამილარული ფორმა მაწარმოებლის გარეშეა, თავაზიან ფორმას კი დაერთვის სუ-ფიქსი —**მას**.

მაგალითად, ო-ჯომი კუდასად („წაიკითხე!“) — ფამილარული ფორმა; ო-ჯომი კუდასადმასე („წაიკითხეთ!“) — თავაზიანი ფორმა.

ეს იმას ნიშნავს, რომ დასახელებული მორფები იაპონურ ენაში არსებული საკუთრივ თავაზიანობის მორფოლოგიური კატეგორიის ინვენტარს წარმოადგენს და არა საზიარო ელემენტს. ამ ფორმათა შერჩევა-გამოყენებას განსაზღვრავენ ისეთი სოციალური ფაქტორები, როგორიცა ასაკი, თანამდებობა, სქესი, ნაცონბ-უცნობობა. აღსანიშნავია, რომ იაპონური ენა გამოირჩევა ამ გრამატიკულ ფორმათა „გამოყენების სოციალური წესების უფრო მეტი სიმეაცრით“<sup>87</sup> სხვა ენებთან შედარებით.

თავაზიანობის გრამატიკული კატეგორიის ასეთივე მრავალნახნა-გოვანი და მორფოლოგიურად მკაფიოდ გამოხატული სისტემა ჰქონია კორეულსაც, რასაც ვერ ვიტყვით კიდევ ერთი აზიური ენის — რაჯას-ტანის (გავრცელებულია ინდოეთის ამავე სახელწოდების შტატში) შე-სახებ, მაგრამ ამ ენასაც მოეპოვება თავაზიანობის გრამატიკული კატეგორია, რაც გამოხატულია მორფოლოგიურად (ზმნათა კაუზატი-ური ფუძეების გამოყენებით) და სინტაქსურად (სქესის, პირის, რიცხვის (!—ზ.კ.) კატეგორიალურ ნიშანთა ტრანსპოზიციითა და მსაზღვრელ სიტყვათა შესაბამისი ცვლილებებით შეთანხმებისას).<sup>88</sup> ამ ენაში თავა-ზიანობის გამოხატვის გრამატიკულ სისტემას თავისი „საკუთარი“ აფიქსები არ გააჩნია და სარგებლობს სხვა ინვენტარით, კერძოდ „კატეგორია-ლურ ნიშანთა ტრანსპოზიციით“. რაც შეეხება ევროპულ ენებს, აქ ცალკე უნდა ვისაუბროთ ბასკურის შესახებ. ბასკურის ზოგიერთ დო-ალექტში გვაქვს თავაზიანი მიმართვის სხვადასხვა ფორმა. აი, რას ამბობს რ. ლაფონი ამის შესახებ: „ამ ფორმებში წარმოდგენილია სუფიქსი, რომელიც ემთხვევა მეორე პირის ნაცვალსახელის ზრდილობიან ფორმას ან მომდინარეობს მისგან. იგი არ განარჩევს თანამოსაუბრის სქესს. სულეტურში: *dik, din, dizü* ნეიტრალური ფორმაა: *dii*“.<sup>89</sup>

როგორც ვხედავთ, თავაზიანობის გამოხატვისას (იმ პროცესში, როდესაც ფამილარული ვარიანტი უნდა შეიცვალოს თავაზიანით), ე. ი.

<sup>87</sup> Алпатов В. М. Япония. Язык и общество, М., 1988, с. 54.

<sup>88</sup> ლ. ხოხლოვა, დასახ. ნაშრ., გვ. 96-108.

<sup>89</sup> რ. ლაფონი, დასახ. ნაშრ., გვ. 47; იხ. ასევე: 6. სტურუა, დასახ. ნაშრ., გვ. 342.

ევფემიზაციისას, ხდება არა ერთი სიტყვის მეორე, სხვა ლექსემით ჩანაცვლება, არაშედ იგივე სიტყვა იცვლის ფორმას. რაც მას ანიჭებს თავაზიანობის შინაარსს. ამიტომაც, აქ საქმე გვაქვს გრამატიკულ ევფემიზმთან, და რადგან ტერმინი „ევფემიზმი“ არ გულისხმობს მის მნერ აღნიშნულ ენობრივ ერთეულთა შესაბამის გრამატიკულ კატეგორიას, მაშინ მსოფლიოს ზოგიერთ ენაში დადასტურებული გრამატიკულად გაფორმებული თავაზიანობის კატეგორიის სათანადო ფორმებს შეიძლება ენოდოს ევფემა.

ამგვარად, „ევფემიზმი“ დარჩება საერთო სახელწოდებად, ხოლო „ევფემა“ შეიძლება ვიზშაროთ გრამატიკული ევფემიზმის აღსანიშნავად. მათგან ნანარმოები ზედსართავები იქნება, შესაბამისად, ევფემისტური და ევფემატური, აქედან—ევფემატურობა.

რა საშუალებებით გამოიხატება ევფემატურობა ქართულში? შეიძლება ითქვას, რომ ამ კოთხვას უკვე გაეცა პასუხი: ზმნის მეორე პირის მრავლობითი რიცხვის ფორმით. მაგალითად, გააკეთე—გააკეთეთ, დანერე—დანერეთ, იხილე—იხილეთ და მისთანები. ამ თ—თ—სუფიქსიან ფორმებს ორი ფუნქცია აქვს: ჩვეულებრივი მრავლობითის, როდესაც გამოიყენება ერთზე მეტ პირთან, და თავაზიანობის გამოხატვა, როდესაც გამოიყენება ერთ პირთან; ე.ი. იმ შემთხვევაში, სადაც გაუქმის ოპოზიცია: ფამილარული ფორმა/თავაზიანი ფორმა, რაც თ—თ—სუფიქსითაა მარკირებული, გვექნება არა რიცხვის, არამედ უკვე სხვა გრამატიკული კატეგორიის გრამემები, იმ კატეგორიისა, რომელიც საკმაოდ კარგად წარმოაჩენს ურთიერთობას კომუნიკანტებს შორის. ლ. შეირბას სიტყვებით კი, „გრამატიკა არსებითად დადის ენაში არსებულ კატეგორიათა აღნერამდე“.<sup>90</sup> საერთოდ, როდესაც ენობრივ კატეგორიაზე საუბრობენ, იგულისხმება ენობრივ ელემენტთა ნებისმიერი ჯგუფი, რომელიც გამოიყოფა რომელიმე საერთო თავისებურების საფუძველზე. ხოლო, რაც შეეხება გრამატიკულ კატეგორიას, გვინდა დავუთანხმოთ ა. ბონდარეოს და მივიღოთ გრამატიკულ კატეგორიათა ორმხრივი—შინაარსობლივ-ფორმობრივი (ფუნქციურ-სტრუქტურული) კონცეფცია. ავტორი ამბობს, რომ „ეს კონცეფცია ეხება ენობრივი ნიშნის ბილატერალურ განხილვას და ენის, როგორც ზოგადად ორმხრივი მოვლენის, გაგებას, რომელშიც ჩართულია შინაარსის ჰლანი და გამოხატულების ჰლანი. გრამატიკული კატეგორიის

<sup>90</sup> Щерба Л.В. Избранные работы по русскому языку, М., 1957, с. 12.

<sup>91</sup> Бондарко А. И. Теория морфологических категорий, Л., 1976, с. 29.

დეფინიციაში მისთვის დამახასიათებელ სტრუქტურულ ორგანიზაციებზე, კატეგორიალური შინაარსის გამომხატველ ფორმებზე მიმიკოგების ჩართვა ძალზე მნიშვნელოვანია. ამგვარი დეფინიცია საშუალებას გვაძლევს, განვასხვავოთ გრამატიკული კატეგორიები ლექსიკურ-გრამატიკული თანრიგების ოპოზიციებისაგან, წებისმიერი სემანტიკური ოპოზიციისაგან, რომლებიც მოცემულ უნაში არ ეფუძნება გრამატიკულ ფორმათა სპეციალურ სისტემას“<sup>1</sup>.

აკმაყოფილებს თუ არა ზემომოყვანილ მოთხოვნებს ჩვენ შეირგომოფილი გრამატიკული ევფევიზმი? დიას, აკმაყოფილებს: ევფემა მატარებელია თავაზიანობის შინაარსისა—ეს ერთი მოშენტი; მეორე მხრივ, სწორედ იმიტომ გახდა შესაძლებელი გვესაუბრა გრამატიკულ ევფემიზმზე, მოგვეძებნა მისთვის სპეციალური სახელწოდება („ევფემა“), რომ სათანადო სემანტიკური ინფორმაციის გადმოსაცემად თავისი „სტრუქტურული ორგანიზაცია“, „კატეგორიალური შინაარსის“ გამომხატველი ფორმა გააჩნია. გვაძეს გრამეტი: წაიკითხე—წაიკითხეთ, რომლებიც, ერთი მხრივ, შეიძლება რიცხვის გრამატიკული კატეგორიის გრამეტებად იყვნენ განხილული, მაგრამ, მეორეს მხრივ, როდესაც —თ სუფიქსიანი ზმნური ფორმა ერთი პირის მისამართით არის ნათევამი, ფაქტია, რომ ეს მრავლობითი რიცხვი აღარ არის. იგი ევფემაა.

ქართულ ში ზმნის რიცხვის კატეგორიალური ნიშნისათვის ამ ფუნქციის მინიჭება შედარებით გვიანდელია და, როგორც ზემოთ დავინახეთ, დამკვიდრებულია სხვა ენათა გავლენით. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ, მართალია, დამკვიდრდა სხვა ენათა გავლენით, მაგრამ თანდათან მოიკიდა ფეხი და დღესდღეობით ჩვეულებრივ ენობრივ მოვლენად იქცა; უფრო მეტიც, მრავლობითისაგან არა მარტო კონტექსტი განასხვავებს (იხ. ზემოთ), არამედ საკუთარი სტრუქტურული მახასიათებლებიც მოეპოვება.

პირში მონაცევლე ზმნების განხილვისას აკ. შანიძეს ასეთი მაგალითი მოჰყავს: „აშოტ კურაპალატი ეკითხება ფებრონიას: „უწყი-მეა, დედაო, რადსაკს მოვედ ან?“ ფებრონია უპასუხებს: „უფალმან იცის, რადსთკს ჰბრძანე აქა“ (ხანდ., 55, 65-66). აქ ორი სხვადასხვა ზმნაა ნახმარი ერთი და იმავე მნიშვნელობით, მაგრამ სხვადასხვა პირის ფორმით: მოვედ (მოვედი, 1-ლი პირის ფორმა) და ჰბრძანე (=მოჰბრძანდი, მე-2 პირის ფორმა). რატომ არა მოხუედ (ე. ი. მოხვედი), არამედ ჰბრძანე (ე. ი. მოჰბრძანდი)?—იმიტომ, რომ მიმართვაა უფრო-

სისადმი და მორიდებით არის ნათქვამი".<sup>72</sup> მეცნიერის მიერ მოყვანილი მაგალითი და შესაბამისი დასკვნა ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩამნაც-ვლებელი ფორმა არ საჭიროებს დამატებით გრამატიკულ გაფორმებას (ევფემატურობის -თ-ს დართვას), რადგან ძირი, რომლითაც იწარმო-ება ეს სიტყვა, თავისთავად გამოხატავს მოწინებას. მაგრამ თანამედ-როვე ქართულისათვის ოდენ ძირი აღარა საკმარისი და მასაც ემატე-ბა -თ სუფიქსი: გვექნება ასეთი ოპოზიციები:

ხარ—ბრძანდებით

თქვი—ბრძანეთ

მოდი—მობრძანდით

ნადი—ნაბრძანდით

დაჯექი—დაბრძანდით

შესაბამისად, მივიღებთ იმგვარ ტრიადას, სადაც ცალ-ცალკეა მრავ-ლობითში მდგომი ზმნები და ევფემები:

მხოლობითი რიცხვი მრავლობითი რიცხვი	ევფემა
------------------------------------	--------

ხარ	ხართ	ბრძანდებით
-----	------	------------

თქვი	თქვით	ბრძანეთ
------	-------	---------

მოდი	მოდით	მობრძანდით
------	-------	------------

დაჯექი	დასხედით	დაბრძანდით
--------	----------	------------

აქ არ არის ნარმოდგენილი ენაში არსებული პირში მონაცვლე ყველა ზმნა, მაგრამ ზემოთ მოყვანილი ფორმები ტიპურია და თან მათ აერთიანებს ის რომ, -თ სუფიქსიან სხვადასხვა შინაარსის ევფემებს აქვთ ერთი და იგივე ძირი **ბრძან**; რაც ამ უკანასკნელის სპეციფიკურ დანიშნულებაზე მიგვითითებს. კერძოდ, მისი თავდაპირველი მნიშვნე-ლობა უნდა ყოფილიყო „თქმა“ უფროსის მიერ უმცროსის მიმართ. იგი შეიძლება განსილულ იქნეს როგორც ზმნური ტრანს-სემანტიკა იმ თვალსაზრისით, რომ მის სემანტიკურ სტრუქტურაში სიმძიმის ცენტრი გადავიდა იერარქიულობიდან გამომდინარე მოწინების სემანტიკურ კომპონენტზე. ამ ვარაუდის საფუძველს იძლევა ის გარემოება, რომ **ბრძან** ძირიან ევფემებს სწორედ ეს კომპონენტი აქვთ საერთო. თუმცა, როგორც უკვე ითქვა, მისთვის დღესდღეობით უკვე აუცილებ-ლობას ნარმოადგენს -თ სუფიქსის დართვა. წინააღმდეგ შემთხვევაში **ბრძანდები** ტიპის ფორმა შესაძლოა ირონიული ელფერის მატარე-ბელი აღმოჩნდეს, რაც, რა თქმა უნდა, აღარ ნიშნავს თავაზიანობის

<sup>72</sup> აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 515.

გამოხატვას, ე. ი. სათანადო აფიქსაციის შედეგად ისინიც გვევლინებიან, როგორც თავაზიანობის მრავლობითები (pluralis honorificus).

გრამატიკული ევფემიზმის მოვლენა საინტერესოა ფაკულტატიურობის თვალსაზრისითაც. თავის წიგნში „ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები“ ბ. ჯორბენაძე ეხებოდა გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებს ქართულ ში. ბ. ჯორბენაძისეული „ფაკულტატიური“ უპირისსირდება არა სავალდებულოს, როგორც ეს ხდება ტრადიციულად, არამედ ძირითადს. „მართალია, ფაკულტატიური ნიშნავს არაძირითადს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაკანონზომიერია, შემთხვევითია, რომ იგი ამორიდებულია ენის საერთო სისტემიდან“.<sup>93</sup> როგორც ვხედავთ, ბ. ჯორბენაძისეული „ფაკულტატიური გრამატიკა“ ენის „პოტენციალიტეტის“ კვლევას ისახავს მიზნად, რაც ფრიად სერიოზული ამოცანაა; მით უმეტეს, რომ „ფაკულტატიურად გამოყენებულ ელემენტთა ერთი ნაწილი ფაკულტატიურადვე რჩება, სხვა—დროთა განმავლობაში ძირითადი ინვენტარის სტატუსს იძენს“.<sup>94</sup> მაშასადამე, მოცემული ენის სრულფასოვანი შესწავლა, მისი ინტერიერ-ექსტერიერის მიახლოებით სრული აღნერაც კი შეუძლებლად ჩანს ფაკულტატიურ ენობრივ საშუალებათა ყურადღების გარეშე დატოვებით. **ფაკულტატივები** (თავის დროზე ასე ვუწოდეთ ფაკულტატიურ ენობრივ საშუალებებს)<sup>95</sup> ენის არსებობის ერთ მონაკვეთზე შესაძლოა ნაკლები გამომსახველობის მქონე ლინგვისტურ სინამდვილეს წარმოადგენდნენ, მაგრამ განვითარების შემდგომ ეტაპზე ბევრი მათგანი ენობრივი ორგანიზმის სრულფასოვანი არტერია ხდება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ევფემატურობის -თ აღარ წარმოადგენს ფაკულტატიურ მოვლენას; იგი სრულად გამოვლენილი შესაძლებლობაა. რაც შეეხება -თ-ს ფაკულტატიურ დართვას, ამგვარი მაგალითებიც შეიძლება დაიძებონს მოცემული სინქრონიული მდგომარეობისათვის: ანალოგის პრინციპით ეს სუფიქსი ზეპირმეტყველებაში მოუდის ისეთ სიტყვებსაც (არაზმნებს), სადაც იგი

<sup>93</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985, გვ. 20.

<sup>94</sup> იქვე, გვ. 9.

<sup>95</sup> ზ. კიკვიძე, De Linguistica Facultativa // საენათმეცნიერო ძიებანი, IV, თბ., 1995, გვ. 5.

მოსალოდნელი თითქოს არ არის. მაგალითად, გამარჯობათ!, ბოდიშით! კარგით! თქვენი ჭირიმეთ! და ა.შ. დასახელებული ნიმუშები ფაკულტატივებს წარმოადგენს. -თ სუფიქსის ამგვარი ჰიპერ-დისტრიბუცია არ უნდა ჩაითვალოს არაკანონზომიერად, რადგანაც ეს არის გრამატიკული ევფემიზაციის ბოლომდე მიყვანილი პროცესი. ამგვარი ფორმები სალიტერატურო ენის კუთვნილება ჯერჯერობით არ გამხდარა. მ. ვან ესბროკი ამბობს, რომ „ყველა სალიტერატურო ფორმა სათავეს იღებს წინამავალი ან თავდაპირველი გამონათქვამიდან, რომელიც ცოცხლად ფუნქციონირებდა მოცემული საზოგადოების გამოცდილებაში“.<sup>6</sup>

დართვის პრინციპის მიხედვით მსგავსი მოვლენები კიდევ შეიძლება დაიძებნოს. ამის დასტურია ის ფაქტობრივი მასალა, რომელიც მოყვანილია 6. სურმავას ნაშრომში „ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიდან (XVI-XVIII სს. ქართული საბუთების მიხედვით)“. ავტორი ყურადღებას ამახვილებს მრავლობითობის სუფიქსის -თ-ს სპეციფიკური ფუნქციით ხმარებაზე. საუბარია იმ შემთხვევებზე, როდესაც სუბიექტურ მესამე, ან ობიექტურ მესამე პირად შეწყობილი სახელი მაღალი წოდების წარმომადგენელს აღნიშნავს. აი, ის საილუსტრაციო მასალა, რომელიც მოყვანილია ნაშრომში:

„ჩვენ მთავარ-ეპისკოპოზს ვკითხეთ, იმასაც ასრე მოეხსენებინათ“ (სიძვ. II, 1703-1711, ვახტანგ VI-ის განჩინების წიგნი, გვ. 250);

„ბატონი კათალიკოზი გრიგოლ მობრძანდათ ჩვენს სახლშიდა“ (საეკლ. I, 1707, გიორგი ლიპარტიანის შეწირულობის წიგნი, გვ. 97);

„ნემსაძეს კათალიკოზს ბეგრის დადება არ დასცალებოდათ“ (სიძვ. I, 1701-1709, მინაწერი იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის სიგელზე. გვ. 24);

„კათალიკოზი პატრონი გრიგოლ ბიძა ჩვენი აქ რაჭას მობრძანდათ“ (საეკლ. I, 1700-1731, შოშიტა რაჭის ერისთავის შეწირულობის წიგნი. გვ. 128);

„სანატრელ ჩვენს ძმას ბატონისშვილს ლეონსაც მდომებოდათ წიგნის ოდეს ბოძება, მაგრამ აღარ დასცალებოდათ“ (სიძვ. I, 1782, №193, გვ. 191).

„ნიადაგ თავს ანუენინებდათ მის სიმაღლეს მამა ჩემი“ (სიძვ. III,

<sup>6</sup> M. van Esbroek, La vision de Vakhtang Gorgasali et sa signification // პირველი საერთაშორისო ქართველობოგიური სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1988, გვ. 221.

1796, დიმიტრი ორბელიანი წერილი დედოფალ დარეჯანისადმი, გვ. 377);

„არც სხვებივით თვალი მშეიერი აქუსთ, რომ მისგან ჩვენ ზიანი მოგივიდესთ რამე“ (სიძვ. III, 1794-1796, წერილი საპიოფანისა დედოფალ დარეჯანისადმი, გვ. 386);

„თქვენს ქვეყანასზედა მას თვალი არ უჭირავსთ წყალობის მეტი“ (იქვე).<sup>77</sup>

მოყვანილ ფორმებთან დაკავშირებით ნ. სურმავა შემდეგნაირად მსჯელობს: „შესადარებლად შეიძლება გავიხსენოთ მიმართვის თავაზიანი ფორმა. თავაზიანი მიმართვის დროსაც აღსანიშნი ერთი პიროვნებაა და ზმნაში მრავლობითის ნიშნით გამოიხატება. მაგრამ, მეორე მხრივ, თავაზიან მიმართვაში სინტაქსური პრინციპი სახელისა და ზმნის რიცხვში შეთანხმებისა არ ირღვევა, რადგან ॥ პირი, რომელსაც მიმართავენ, მოცემულია ყოველთვის მრავლობითის ფორმით—თქვენ. სწორედ „თქვენ“ (სუბიექტი ან ობიექტი) აჩენს ზმნაში -თ მრავლობითის ნიშანს. საწინააღმდეგო ვითარებაა ზემომოყვანილ მაგალითებში, სადაც სახელი, რომელსაც განეკუთვნება მრავლობითის სუფიქსი ზმნაში, წარმოადგენს მესამე პირის, რიცხვის კატეგორიის უქონელ საკუთარ სახელს ან მხოლობითში მდგარ ॥ პირის ნაცვალსახელს, რომლითაც ჩანაცვლებულია აღნიშნული საკუთარი სახელი: დასცალებოდათ ნემსაძეს; მოეხსენებინათ იმასაც; უჭირავსთ მას“.<sup>78</sup>

ჩვენი მხრივ უნდა შევნიშნოთ, რომ ავტორი შესადარებლად სავსებით სამართლიანად იღებს მიმართვის თავაზიან ფორმას, თუმცა შემდეგ სულ სხვა გზით მიღის და აფიქსირებს „საწინააღმდეგო ვითარებას“ სინტაქსური თვალსაზრისით. სინამდვილეში კი, აი, როგორაა საქმე. ჩვენ შეგნებულად დავიმოწმეთ მაგალითები ზემონასსენები სტატიიდან. ზმნასთან სუბიექტურ მესამე, ან ობიექტურ მესამე პირად შეწყობილი სახელები მაღალი წოდების წარმომადგენელ პიროვნებებს აღნიშნავს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე მაღალს, ვიდრე მთქმელია. როდესაც ეს მთქმელი მათ მიმართავს, თქვენ ნაცვალსახელი განაპირობებს ზმნაში -თ სუფიქსის გაჩენას. მაგრამ იგი ამჯერად აღარ

<sup>77</sup> ნ. სურმავა, ზმნის პირთა რიცხვის აღნიშვნის ისტორიიდან (XVI-XVIII სს. ქართული საბუთების მიხედვით)// იკე. XXVIII, 1989, გვ. 143.

<sup>78</sup> იქვე.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 144.

არის მრავლობითობის აღმნიშვნელი. იგი ევფემატურობის ნიშანია. იმავე პიროვნებების მესამე პირში მოხსენიებისას, ზმნას უჩნდება არა მრავლობითის სუფიქსი, არამედ ევფემის მარკერი (ე.ი. ამ მხრივ გვაქვს არა საწინააღმდეგო, არამედ შესაბამისი ვითარება). ამასთან ერთად საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტორი; როგორც ნ. სურმავა მიუთითებს, „გამორიცხული არ არის, რომ ამ მოვლენის წარმოჩენაში გარკვეულ როლს თამაშობდეს უცხოენობრივი გავლენა“.<sup>99</sup> თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ -თ-ს გაჩენა ზემომოყვანილ მაგალითებში არაკანონზომიერია. იგი ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ წმინდა სინტაქსური თვალსაზრისით, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ევფემის, როგორც ენობრივი ფაქტის, რეალობას და სპეციფიკას, მაშინ არც ის იქნება გასაკვირი, რომ „დადასტურდა შემთხვევა, სადაც პატივისცემის გამომხატველი -თ სუფიქსი განკუთვნილია პირმიუმართავი დამატებისათვის“.<sup>100</sup>

ეს შემთხვევა კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ევფემატურობის -თ-ს მოხმარების არის გაფართოების ცდა პერმანენტული პროცესია, რის შედეგადაც ჩნდება მაგალითები, სადაც იგი და პლურალურის -თ აღარ ემთხვევიან ერთომანეთს და წარმოგვიდგებიან, როგორც ურთიერთდამოუკიდებელი ენობრივი ერთეულები. -თ-ს (თავ-დაპირველად მხოლოდ მრავლობითის მარკერის) ამგვარი გარდასახვა ფაკულტატიური გრამატიკის პრინციპების სანიმუშო ილუსტრაციაა, მით უმეტეს, რომ ტიპოლოგიურად მსგავსი მოვლენები უხვადაა და-დასტურებული. სწორედ ამგვარ შემთხვევებთან დაკავშირებით ამბობს ბ. ჯორბენაძე: „მუდმივი იარლიყები ენაში არ არსებობს და საჭიროების დროს ნებისმიერი ფორმობრივი ელემენტი ნებისმიერი დანიშნულებით შეიძლება გამოიყენოს ენამ, სავსებით განსხვავებულ სისტემებში შეიყვანოს და ამით სავსებით განსხვავებულ ელემენტებს ამოუყენოს გვერდით. ყოველ შემთხვევაში ენას აქვს ამის პოტენცია, თუმცა კონკრეტული რეალიზაცია, შესაძლოა, არც ისე ხშირად ხდებოდეს. ნებისმიერობა არ ნიშნავს განუკითხაობას, ამ ნებისმიერობას თავისი კანონზომიერება აქვს.“<sup>101</sup>

რა თქმა უნდა, ჩვენს შემთხვევაში განუკითხაობასთან არა გვაქვს საქმე. არსებული ვითარება, როგორც ზემოთ დავინახეთ, გარკვეული შიდა და გარე ენობრივი ფაქტორების ზემოქმედებითაა შეპირობებულ.

<sup>99</sup> იქვე, გვ. 143.

<sup>100</sup> ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980, გვ. 261.

ლი, რის შედეგადაც მიღებულია გრამატიკული კატეგორიისათვის საჭირო და აუცილებელი ტრიადა: ფორმა—ფუნქცია—შინაარსი. ვ. იარცევა მიუთითებს, რომ „გრამატიკისათვის ფორმის საკითხებს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, რადგან მოცემულ ენაში ამა თუ იმ გრამატიკული კატეგორიის არსებობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ვამტკიცოთ, როდესაც მოცემული მნიშვნელობის გამოსახატავად გვაქვს გრამატიკულ ფორმათა გარკვეული სისტემა“.<sup>102</sup> ვ. იარცევას სიტყვებიდან გამომდინარე, ევფემატურობის წინააღმდეგ შეიძლება გაჩნდეს „არგუმენტი“, რომ მას არ გააჩნია თავისი საკუთარი მანარმოებელი, რომ ევფემა ემთხვევა მრავლობითის ფორმას. დამთხვევის მაგალითების მოყვანა მართლაც ძალზე დიდი რაოდენობით შეიძლება. მაგრამ, რაც შეეხება „საკუთარ“ მანარმოებელს, აქ უნდა გავიხსენოთ ის ზემომყვანილი მრავალრიცხოვანი მაგალითი, რომელ-ბიც საცნაურად ხდიან იმ გარემოებას, რომ ევფემატურობის -თ-ს პლურალურის -თ-საგან განსხვავებული სინტაგმატიკა ახასიათებს. რაც შეეხება დამთხვევებს: ა) ევფემატურობის -თ ფუნქციაშეცვლილი მრავლობითის აფიქსია და დამთხვევები გამოხატულების პლანში აქედან გამომდინარეა; ბ) ა. ბონდარკო აღნიშნავს, რომ „ზმნის რიცხვი არის მორფოლოგიური კატეგორია სტრუქტურული დომინანტით“<sup>103</sup>. თუ ასეა, მაშინ ევფემატურობის -თ ხომ სწორედ ზმნის პირის მრავლობითობის გამომხატველ ერთ-ერთ აფიქსს ემთხვევა. ამრიგად, ევფემატურობაც არის გრამატიკული კატეგორია სტრუქტურული დომინანტით. რაც შეეხება სემანტიკას, ევფემატურობა ამ მხრივ ნამდვილად არ ემთხვევა და არ იმეორებს სხვას.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ის შიგაენობრივი ფაქტორები, რომელ-ბიც აპირობებენ მრავლობითი რიცხვის ფორმათა სპეციფიკური ფუნქციით ხმარებას, მაგრამ ამავე დროს ხშირად ვახსენებდით სოციალურ ფაქტორებსაც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ აღნიშნულ პროცესებში. ჩვენ არ ვაპირობთ იმაზე კამათს, ფაქტორთა რომელი წყებაა მთავარი და გადამწყვეტი: შიგა- თუ გარეენობრივი. ამჯერად ჩვენი მიზანია გამოვავლინოთ ამ ფაქტორთა თანაქმედება, რაც დამატე-

<sup>102</sup> Ярцева В.М. Проблемы языкового варьирования: исторический аспект // Языки мира: Проблемы языковой вариативности, М., 1990, с. 9.

<sup>103</sup> ა. ბონდარკო, დასახ. ნაშრ., გვ. 42.

ბით შუქს მოჰვენს არა მარტო ჩვენს საკვლევ საკითხს, არამედ მიკროსოფტინგვისტიკის ზოგად პრობლემებსაც.

## თავისიანობის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებათა სოციოლინგვისტური ანალიზი

### §1. ენათმეცნიერული მეთოდები და სოციოლინგვისტური ანალიზის პრინციპები.

ყველაზე განზოგადებული მეთოდი ყოველთვის მჭიდრო კავშირშია გარკვეულ თეორიასთან; იგი ფაქტობრივად წარმოადგენს ერთობას: „მეთოდი—თეორია“. ენათმეცნიერების განვითარება ადასტურებს შემდეგ გარემოებას: კვლევის ყოველ ახალ ეტაპს, რომლის დროსაც იცვლება შეხედულებები ენაზე, იცვლება ლინგვისტური თეორიები, თან სდევს ახალი განზოგადებული მეთოდის შექმნის ცდა. ყოველი ზოგადი მეთოდი კი წინ წამოსწევს ენის, როგორც საკვლევი ობიექტის, იმ მხარეს, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევა ენის მოცემულ თეორიაში. ამ მეთოდების მოკლე მიმოხილვა თვალსაჩინოს გახდის ზემოთქმულს.

ისტორიულ-შედარებითი მეთოდი პირველი მეცნიერული მეთოდია ლინგვისტიკაში; იგი თავის დროზე უნივერსალურ მეთოდად განიხილებოდა. მას შექსაბამება ენის გარკვეული თეორია, რასაც ისტორიულ-შედარებითი ენათმეცნიერება ჰქვია. ამ მეთოდის ძირითადი დებულებებია:

- 1) ყოველი ენა გამოირჩევა განუმეორებელი თავისებურებებით, რომლებიც წარმოჩნდება მხოლოდ სხვა ენებთან შედარებისას; შედარება კი არკვევს ზოგიერთი მათგანის ნათესაობას;

- 2) ამის საფუძველზე ენები თავს იყრიან ენათა ჯგუფებში, შემდეგ კი ენათა ოჯახებში;

- 3) განსხვავებანი მონათესავე ენებს შორის შეიძლება აიხსნას უწყვეტი

ისტორიული განვითარებით, რომელიც აღიარებულია ენის უმნიშვნელოვანეს თავისებურებად;

- 4) ისტორიულ განვითარებაში ბგერები იცვლებიან ენის სხვა ერთეულებზე უფრო სწრაფად.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ერთგვარი მაკრო-მეთოდი, რომელიც წარმოადგენს იმ მეთოდური ხერხების ერთობლიობას, რომლებიც ემსახურება მონათესავე ენათა ისტორიული განვითარების კანონზომი-ერებათა ახსნას და წარსულში მათი სტრუქტურის უმნიშვნელოვანეს თავისებურებათა აღდგენას (რეკონსტრუქციას).

როგორც ცნობილია, სტრუქტურულმა მეთოდებმა აღნიშნეს გარდატეხა ენათმეცნიერული აზროვნების განვითარებაში. სტრუქტურული მაკრო-მეთოდის ძირითადი დეპულებები შემდეგია:

1) ჭეშმარიტი რეალობად მიიჩნევა არა რომელიმე ენის ცალკეული ფაქტი (ფონემა, მორფემა, წინადადება და ა.შ.), არამედ ენა როგორც სისტემა; სისტემა არ წარმოადგენს ელემენტების ჯამს, პირიქით, განსაზღვრავს მათ: ენის ყოველი ელემენტი არსებობს იმდენად, რამდენადაც მიემართება სისტემის სხვა ელემენტებს;

2) სისტემის ბირთვს შეადგენს არადროითი მიმართებანი, მიმართებანი ბატონობენ ელემენტებზე, სტრუქტურა ბატონობს სისტემის ისტორიაზე, ძირითადია ელემენტთა ოპოზიციების მიმართებები ტექსტს გარეთ და ელემენტთა დისტრიბუცია ტექსტში;

3) მიმართებათა პრიმატის გამო შესაძლებელია სისტემის არადროითი და არასუბსტანციური შესწავლა;

4) ენის მსგავსადაა ორგანიზებული ზოგიერთი სხვა სისტემაც: ფოლკლორი, ადათ-წესები, ნათესაური კავშირები და მისთანები. მათი შესწავლა და ენის კვლევა, ენათმეცნიერება, ინტეგრირდება უფრო ზოგადი ხასიათის სამეცნიერო დისციპლინაში, რომელსაც სემიოტიკა ჰქვია.

სტრუქტურული მაკრო-მეთოდი ინარჩუნებს ნებისმიერი ენის საწყისი აღნერის, მისი სტრუქტურისა და ელემენტთა სისტემატიკის დადგენის მეცნიერული მეთოდის მნიშვნელობას. მისი შეზღუდულობა უკავშირდება უკიდურეს აბსტრაქტულობას და შეუძლებლობას, გამოვიყენოთ იგი ენის, როგორც საზოგადოებრივი, ისტორიული სისტემის კვლევისას.

სტრუქტურალიზმის რიგი პრობლემის გადაჭრის აუცილებლობამ განაპირობა ახალი, კონსტრუქტივისტული მეთოდების შექმნა; ეს კი უკავშირდებოდა სულ სხვა წარმოდგენებს ენაზე; აქ იგი განიხილებოდა როგორც დინამიკური, „წარმომშობი“ სისტემა.

კონსტრუქტივისტული მაკრო-მეთოდი წარმოიშვა მე-20 საუკუნის 60-იან წლებში.

## ძირითადი დებულებები:

1) კონსტრუქტივისტულობის მოთხოვნა, ე. ი. თეორიულ ობიექტთა აგების, კონსტრუირების შესაძლებლობანი და აუცილებლობანი: ობიექტი შეიძლება მიღებულ იქნეს თეორიის ობიექტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი მკვლევარს შეუძლია მისი აგება ან მოდელირება. ამასთან კონსტრუქტივისტულად მიჩნევა არა რეალური ობიექტი, არამედ მისი თეორიული ანალოგი ან მოდელი; მაგალითად, წარმომშობი (გენერატიული) გრამატიკა „წარმომშობს“ არა რეალურ გამონათქვამებს ისე, როგორც ისინი იქმნებიან ადამიანის აზროვნებასა და მეტყველებაში, არამედ მათ ფორმალურ ანალოგებს—მოდელებს;

2) ამოსავალ ობიექტს წარმოადგენს წინადადება (თავისი თეორიული მოდელის სახით), რის გამოც კონსტრუქტივისტული მეთოდებით ძირითადად იკვლევენ წინადადების სინტაქსს და სემანტიკისა. და ლექსიკის იმ მოვლენებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება წინადადებას;

3) წინადადება-გამონათქვამის აგების დინამიკური კანონები უნივერსალურადაა მიჩნეული, ხოლო ამა თუ იმ ენის ეროვნული, ისტორიულად ცვალებადი თავისებურებები განიხილება, როგორც ამ უნივერსალურ კანონზომიერებთა რეალიზაციის ფორმები; მაგალითად: მორფოლოგია, როგორც სემანტიკისა და სინტაქსის „ტექნიკა“.

4) ენა საერთოდ განიხილება როგორც დინამიკური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სამეტყველო პროდუქციის წარმოქმნას.

კონსტრუქტივისტული მეთოდების კონკრეტულმა გამოყენებამ ენობრივ მასალაზე გამოავლინა მათი არსებითი შეზღუდულობა: როგორც ჩვეულებრივ ხდება, ამ პირობებში დაინტერ ძიება ახალი მეთოდებისა და ხერხების შესამუშავებლად, რომლებიც საშუალებას მისცემდნენ სპეციალისტებს, შეექმნათ უფრო რეალისტური სურათი. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს შემდეგი: რა თქმა უნდა, ნებისმიერ დიდ ეტაპს ენათმეცნიერებაში თან ახლავს შეხედულებების გადაფასება, ლინგვისტური თეორიების, მეთოდების ძირეული ცვლა, მაგრამ განვლილი ეტაპის მეთოდები უგზოუკვლოდ კი არ იკარგება, არამედ ინარჩუნებს მნიშვნელობას ახალ ეტაპზე, როგორც უფრო კერძო, სპეციალური მეთოდები. ზემოხსენებული ძიებაც მსგავს ხასიათს ატარებდა და შედეგებიც შესაბამისად იყო მიღებული. სოციოლინგვისტური მეთოდების შექმნა კანონზომიერი იყო არა მარტო მეცნიერების მოთხოვნილებებიდან გამომდინარე, არამედ იმ მექვიდრეობითაც, რაც

პიონერ სოციოლინგვისტებს ერგოთ; და ეს მემკვიდრეობა ფასეულია არა მარტო თავისი საყოველთაოდ მიღებული პოზიტიური, არამედ აშკარად საკამათო დებულებებითაც. ნათქვამი ცხადი გახდება თუნ-დაც ერთი კონკრეტული ასპექტის განსილვის შემდეგაც: საუკუნეების მანძილზე მოაზროვნენ შეპყრობილი იყვნენ დაუოკებელი სურვილით, მიეგნოთ ენის იდეალიზებული („სუფთა“) ფორმისათვის, რომელიც დამალული იყო მისი გამოყენების რეალური და სწრაფად ცვალებადი ფაქტების „გროვაში“. პლატონიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის ლინ-გვისტებიც კი თვლიდნენ, რომ „სუფთა“ ფორმა არსებობდა მხოლოდ წარსულში, თანამედროვე მეტყველება კი განიხილებოდა, როგორც მისი დაზიანებული სახესხვაობა. თვით ფ. დე სოსიურიც დაკავებული იყო ისეთი სუფთა, პომოვენური სისტემის ძიებით, რომლის არსებობას იგი წარსულში კი არ ვარაუდობდა, არამედ საზოგადოების „კოლექ-ტურ აზროვნებაში“. 6. ჩომსკისათვის „სუფთა“ ფორმის ადგილსამყო-ფელი უფრო აპსტრაქტულია—„იდეალური მოლაპარაკე-შსმენელის“ აზროვნება. ეს პარალელები პარადოქსულად კი უღერს, მაგრამ ფაქ-ტია. რ. ტ. ბელი მიგნებულ ფორმულირებას უკეთებს, მრავალთა მიერ გაზიარებულ რწმენას, რომ „რეალური მეტყველება (parole, performance, speech, usage)—რა ტერმინიც უნდა იყოს გამოყენებული) საკმაოდ ცვალებადია იმისათვის, რომ ექვემდებარებოდეს აღწერას“. <sup>104</sup> სავსე-ბით მართალია რ.ტ. ბელი, როდესაც აღნიშნავს, რომ მსგავს შეხედუ-ლებას სოციოლინგვისტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაეთანხმება.<sup>105</sup> მაშინ იგი სოციოლინგვისტი აღარ იქნება. ეს იმის გამოა, რომ სოცი-ოლინგვისტური ანალიზი განსხვავდება ზემოთ დახასიათებული მეთო-დებისაგან. იმით, რომ იგი ეფუძნება სავსებით განსხვავებულ პრინცი-პებს, ე.ი. აქაც თავს იჩენს ერთობა: „მეთოდი-თეორია“.

ცდილობს რა დაახასიათოს სოციოლინგვისტური ანალიზის სპეცი-ფიკური პრინციპები და ხერხები, რომლებიც შეადგენს მის მეთოდს, ი. დეშერიევი ამბობს: „სოციოლინგვისტიკას, როგორც ეს გამომდინარე-ობს თვითონ მოცემული ტერმინიდან, საქმე აქვს ორმაგი ბუნების მოვლენებთან—საკუთრივ სოციალურთან და ენობრივთან. არსებითად ენობრივი იგივეა, რაც სოციალური (ე.ი. ისიც სოციალურია), მაგ-რამ—ენის სპეციფიკის გათვალისწინებით, საკვლევი ობიექტის კონ-კრეტიზაციით. სოციალური წარმოადგენს არაენობრივი ბუნების სოცი-

<sup>104</sup> Белл Р. Т. Социолингвистика, М., 1980, с. 38.

<sup>105</sup> იქვე.

ალურ ფაქტორთა ერთობლიობის განზოგადებულ გამოხატულებას, ე.ი. მთელი არაენობრივი სოციალურის, რომელთანაც ურთიერთქმედებს სოციოლინგვისტური მოვლენის საკუთრით ენობრივი მხარე; თითოეულ მათგანს აქვს თავისი სტრუქტურა და ასრულებს სპეციფიკურ ფუნქციებს. ამასთანავე ისინი ერთმანეთზე ახდენენ გავლენას. ამგვარად, სოციოლინგვისტური ერთეული არის განსაკუთრებული ტიპის ორგანზომილებიანი ერთეული. სწორედ ასეთ ერთეულებთან აქვს საქმე სოციოლინგვისტურ ანალიზს. ამაში მდგომარეობს პირველი პრინციპი, რომელიც საფუძვლად უდევს სოციოლინგვისტურ ანალიზს".<sup>106</sup>

თვითონ ენის, როგორც სოციალური ფენომენის, არსი განაპირობებს იმას, რომ მისი ადეკვატური აღწერისათვის მოწოდებული სამეცნიერო დისციპლინის, სოციოლინგვისტიკის, მეთოდები წარმოადგენს ლინგვისტური და სოციოლოგიური პროცედურების სინთეზს. ამას ადასტურებს სოციოლინგვისტიკის ცნებითი აპარატიც, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ არჩეულ საკვლევ საკითხთან და შესაბამის საილუსტრაციო მასალასთან მიმართებაში.

## §2. სოციოლინგვისტიკის ცნებითი აპარატი ენის ცვლად ბუნებასთან მიმართებაში

ენის სოციალურად შეპირობებულ ცვლადობას, რაც სოციოლინგვისტიკის ერთ-ერთ ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს, ახასიათებენ ორი განზომილებით: სტრატიფიკაციულით და სიტუაციურით.

სტრატიფიკაციული ვარირება უშუალო კავშირშია საზოგადოების სოციალურ სტრუქტურასთან. ამ ტიპის ვარირება თავის გამოხატულებას პოულობს იმ ენობრივ და სამეტყველო განსხვავებებში, რომლებიც წარმოჩნდება სხვადასხვა სოციალური ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა ურთიერთობის დროს.

რაც შეეხება სიტუაციურ ვარირებას, იგი უკავშირდება ენის ფუნქციური გამოყენების სოციალურ სიტუაციებს, ე.ი. სათანადო ენობრივი ერთეულის შერჩევა დამოკიდებულია მოცემულ ვითარებაზე ორ ინდივიდს შორის კომუნიკაციის დროს. ვარირების ეს ორი ტიპი თავდაპირ-

<sup>106</sup> Дешериев Ю. Д. Социальная лингвистика, М., 1977, с. 304-305.

<sup>107</sup> Labov W. The social stratification of English in New York City. Washington, 1966.

<sup>108</sup> Швейцер А. Д. Современная социолингвистика, М., 1977.

ველად აღწერა უ. ლაბოვმა; <sup>107</sup> იგი ხმარობდა ტერმინებს „სოციალური“ და „სტილისტური“. ჩვენ მიერ გამოყენებული ტერმინები—„სტრატიფიკაციული“ და „სიტუაციური“—ალ. შვეიცერისეულია. <sup>108</sup>

ენის სოციალური დიფერენციაციის დროს სტრატიფიკაციული და სიტუაციური ვარირების ურთიერთვავშირის გათვალისწინება აუცილებელი წინაპირობაა ობიექტური სურათის მისაღებად. ამ ურთიერთვავშირის უგულებელყოფა საპირისპირო შედეგს გვაძლევს. ნათქვამის დასადასტურებლად გამოდგება ბ. ბერნსტაინის „კოდების თეორია“ და მისი სწორხაზოვანი დასკვნები. <sup>109</sup>

ჩვენს შემთხვევაში აუცილებლობას წარმოადგენს, შემოვიტანოთ კიდევ ერთი ცნება— სოციოლინგვისტური ცვლადები. ამ ტიპის ცვლადებად გაიგება სტრატიფიკაციული და სიტუაციური ვარირების ნების-მიერი ენობრივი თუ სამეტყველო კორელატი. შესაბამისად, ა. შვეიცერი საუბრობს ცვლადების ორ კატეგორიაზე და მათ ასე უწოდებს: სტრატიფიკაციული და სტრატიფიკაციულ-სიტუაციური ცვლადები.<sup>110</sup> სტრატიფიკაციული განზომილება ასახავს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას. მეორე რიგის განზომილება ავლენს ცვლადებს ერთდროულად ორ, როგორც სტრატიფიკაციულ, ისე სიტუაციურ სიბრტყეზე. ეს საკითხები უფრო ადრე განიხილა უ. ლაბოვმა. იგი გვთავაზობს სხვა ტერმინებს: „სოციოლინგვისტური ინდიკატორები“ და „სოციოლინგვისტური მარკერები“,<sup>111</sup> რაც შეესაბამება ა. შვეიცერისეულ „სტრატიფიკაციულ ცვლადსა“ და „სტრატიფიკაციულ-სიტუაციურ ცვლადს“. ჩვენ უპირატესობას ვანიჭებთ უ. ლაბოვისეულ ტერმინებს, თუმცა ვარიანტულობის სპეციფიკის აღსანიშნავად გამოვიყენებთ „სტრატიფიკაციულ ვარირებას“.

ამა თუ იმ სოციოლინგვისტური ცვლადის შერჩევის მქანიზმის გამოსავლენად, ერთი მხრივ, უნდა გავარჩიოთ საკომუნიკაციო აქტის მონაწილეთა სტატუსი, ხოლო, მეორე მხრივ, მათი როლებრივი ურთიერთობანი. მიუხედავად იმისა, რომ ტერმინები „სტატუსი“ და „როლი“ ზოგიერთ ნაშრომში ტერმინოლოგიური დუბლეტების სახითაა მოცე-

<sup>107</sup> Bernstein B. Elaborated and restricted codes//Explorations in sociolinguistics - Sociological inquiry, V. 36, 1966.

<sup>108</sup> ა. შვეიცერი, დასახ. ნაშრ., გვ. 83.

<sup>109</sup> Лабов У. Исследование языка в его социальном контексте //НЛ, вып. VII, М., 1975.

მული, ჩვენ სავსებით ვეთანხმებით ა. შვეიცერს, რომ ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთთან გარკვეულ მიმართებაში მყოფი ტერმინი, რომელიც სხვადასხვა ცნებითს რიგში შედიან; კერძოდ, ტერმინი „სტატუსი“ უნდა ჩავრთოთ იმ ცნებითს რიგში, რომელიც უკავშირდება სტრატიფიკაციულ ვარირებას, ხოლო ტერმინი „როლი“ — იმ რიგში, რომელიც უკავშირდება სიტუაციურს.<sup>112</sup> აქედან გამომდინარე, კომუნიკანტის სტატუსს შეესაბამება სოციოლინგვისტური ინდიკატორები, ხოლო კომუნიკანტის როლს — სოციოლინგვისტური მარკერები. ამ სოციოლინგვისტურ ცვლადთა არსი და ურთიერთმიმართება უფრო ნათლად გამოჩენდება ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე. ამ მიზნით შევარჩიეთ ქართული საერო მწერლობის ძეგლები: „ამირანდარეჯანიანი“ და „ვისრამიანი“.

დასაკვირვებელ ენობრივ ერთეულებად აღებულია სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელები. და, შესაბამისად, გრამატიკული ევფემიზმი ფამილარულ ფორმასთან დაპირისპირებაში.

რადგან უკვე დავაზუსტეთ მიმართებები ენობრივ სისტემის შიგნით მორფოლოგიურ-სინტაქსურ, სემანტიკურ ელემენტებს შორის, ამჯერად მიზნად ვისახავთ, გამოვავლინოთ მიზეზობრივი კავშირები ამ ელემენტების ფუნქციონირებასა და სოციალურ ფაქტორთა შორისაც ამისათვის თავდაპირველად განვიხილოთ სტრატიფიკაციული ვარირების შემთხვევები და გამოვყოთ სოციალინგვისტური ინდიკატორები.

„უბრძანა მეფემან:

—თქვი, ჯაზირ ვაზირთა უხუცესო, **შენ დაკლებულსა არას იტყვო-**  
ო“ (ამირ., გვ. 281).

თუ ლ. კრისინის<sup>113</sup> აღნიშვნებით ვისარგებლებთ (მცირეოდენი სახეცვლილებით), გვექნება შედეგი მოდელი:

$S_x > S_y$ , (x-ის სტატუსი აღემატება y-ის სტატუსს), ე.ი. აქ მეფე აღნიშნულია x-ით, ხოლო ჯაზირ ვაზირთა უხუცესი — y-ით. ამგვარი ფორმულით გამოსახული სამეტყველო ქცევის დროს, უმეტეს შემთხვევაში, x შენობით მიმართავს y-ს და, შესაბამისად, ზმნაც ევფემატურად არამარკირებულია. აღნიშნული ენობრივი ერთეულები კი სოციოლინგვისტური ინდიკატორებია. ტექსტში ზემომოყვანილ დიალოგს ასეთი

<sup>112</sup> ა. შვეიცერი, დასახ. ნანარ., გვ. 83.

<sup>113</sup> Крысин Л. П. Социолингвистические аспекты изучения современного русского языка. М., 1989.

გაგრძელება აქვს:

მოახსენა:

„—ცხოვნდი, მეფეთ-მეფეო, უკუნისამდე! ოდეს ბრძანეთ და მის ქურციკისა ნადირობად გახვედით, მუნითგან შეჭირვებული ხართ. არცალა გასულხართ ნადირობად და არცა გარდაგიხდიათ ნადიმი“ (ამირ., გვ. 281).

ამ შემთხვევაში გვაქვს შემდეგი ფორმულა:

$S_x < S_y$  (აქ მეფე  $y$ -ითაა, რადგან მას მიმართავენ), ე.ი.  $x$  მიმართავს  $y$ -ს თქვენობით. შესაძლოა, დაისვას შეკითხვა იმის თაობაზე, რომ მოყვანილ ფრაგმენტში არ ფიგურირებს **თქვენ** ნაცვალსახელი. ეს მართალია, მაგრამ, როგორც ვიცით, სწორედ თავაზიანი თქვენ არის მიზეზი მოცემულ მიმართვაში გრამატიკული ევფემიზმების ფორმების გაჩენისა (არნ. ჩიქობავა: „ზმნაში ცვლილება შეუძლებელია ისე, რომ მასში სახელის ნიშნები (წარმომადგენლები) არ იყოს“). მოყვანილ მაგალითებში **შენ/თქვენ** ნაცვალსახელები და ევფემები სოციოლინგვისტური ინდიკატორებია. ამჯერად სხვა მაგალითების შუქზე შევამოწმოთ ამ ცვლადების შერჩევის კანონზომიერება და ფორმულების სისტრუქტურა.

ვეზირი მიმართავს მეფეს:

„თუ მიბრძანოთ, მოგახსენოთ, რაცა ვიცოდეო“ (ამირ., გვ. 282).

$S_x < S_y$ ,

ე.ი. კვლავ  $x$ -ის სტატუსი უფრო დაბალია, ვიდრე  $y$ -ისა და ამიტომ მიმართვაში არის ევფემები.

ბადრი იამანის ძე მიმართავს მეფეს:

„ღმერთმან ათას წელს გაცოცხლოს ნებასა თქვენსა ზედა! მეფობა თქვენი არს და გვირგვინი თქვენვე დაიდგით. სიცოცხლე და სიხარული ჩემი მანამდის არის, ვიდრე თქვენ ნებასა თქვენსა ზედა ხართ“ (ამირ., გვ. 305).

აქაც:  $S_x < S_y$  — **თქვენ+ევფემა**

ინდო ჭაბუკი მიმართავს იამანთ მეფეს:

„—ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე! მე არა ნებითა ჩემითა მოვსულ-ვარ აქა. არა უარ ვიქმ, კაცმან ამან მაჯობა და აქა **თქვენსა** წინაშე მომიყვანა“ (ამირ., გვ. 339).

კვლავ  $S_x < S_y$  — **თქვენ.**

სტატუსებს შორის ურთიერთობის ენობრივი გამოხატულების ეს მოდელი, რა თქმა უნდა, საკმაოდ პრიმიტიულის შთაბეჭდილებას

ჭოვებს. ეს გასაგებიცაა, რადგან სტატუსი არადინამიკური ცნებაა და მას არ ძალუდს წარმოაჩინოს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მთელი მრავალფეროვნება. მოკლედ რომ ვთქვათ, მიმართება—ინდივიდის სოციალური მახასიათებელი/ინდივიდის სამეტყველო ქცევა—ვერ იქნება ყოველთვის ისეთი სწორხაზოვანი, როგორც ამას წარმოგვიდგენს კომუნიკანტთა სტატუსების ურთიერთდამოკიდებულებაზე ორიენტირებული მოდელი.

### §3. სამეტყველო ქცევის კომპონენტები, როლებრივი ურთიერთობანი და სოციოლინგვისტური ცვლადები

სამეტყველო ქცევას მრავალი განმსაზღვრელი ფაქტორი ახლავს თან. მათი ზემოქმედების შედეგად ერთი და იგივე სემანტიკური ინფორმაცია შეიძლება განსახიერდეს სუბსტანციურად განსხვავებულ ენობრივ გამონათქვამებში. ამ ფაქტორების შესახებ საკმაოდ ვრცლად მსჯელობს დ. ჰაიმზი. იგი გამოყოფს შვიდ ფაქტორს ანუ კომპონენტს, რომელთაც შეიცავს ყოველი სამეტყველო აქტი. ესენია:

- 1) გამგზავნი (ადრესანტი);
- 2) მიმღები (ადრესატი);
- 3) შეტყობინების ფორმა;
- 4) კავშირის არხი;
- 5) კოდი;
- 6) თემა;
- 7) გარემო (სცენა, სიტუაცია).<sup>114</sup>

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა მოვიყვანოთ ლ. ნიკოლსკის შენიშვნა: „როგორც ეტყობა, მისი (დ. ჰაიმზის—ზ.კ.) წარმოდგენით, ჩამოთვლილ კომპონენტებს თანაბარი ძალა აქვს“.<sup>115</sup> ეს ის შემთხვევაა, რომელიც თვალსაჩინოდ ხდის შემდეგ აუცილებლობას: მოცემული ავტორის მოსაზრების შეფასება მისივე ნაშრომების მიხედვით სჯობს, რადგანაც კომპონენტებთან დაკავშირებით დ. ჰაიმზი აღნიშნავს, რომ „ნებისმიერ ჯგუფთან კატეგორიები შეიძლება განსხვავდებოდნენ რო-

<sup>114</sup> ჰაიმს დ.Х. Этнография речи // НЛ, вып. VII, М., 1975, с. 58.

<sup>115</sup> Никольский Л. Б. Синхронная социолингвистика, М., 1976, с. 124.

გორც რაოდენობრივად, ისე შინაარსობლივად, და მათი ყველა გამოვლინება და კლასები ემპირიულად უნდა იქნეს დადგენილი".<sup>16</sup> ეს გამონათქვამი კი მკვეთრად ეწინააღმდეგება ლ. ნიკოლსკისეულ დახასიათებას. საერთოდ, სამეტყველო ქცევის კომპონენტების საკითხი დ. ჰაიმზთან საფუძვლიანადაა დამუშავებული და ზოგიერთი ნაკლებმოსალოდნელი ნიუანსიცაა გათვალისწინებული. ეს კი მხოლოდ და მხოლოდ ემპირიული მასალის ანალიზის შედეგადაა დადგენილი. მაგალითად, აღმოსავლეთ ჩინუკური ჯგუფის ენებში (ჩრდილოეთ ამერიკა, კანადა) საზეიმო ცერემონია ნაწილობრივ განისაზღვრება იმით, რომ ბეჭლადის სიტყვებს შეკრებილთათვის იმეორებს საგანგებოდ გამოყოფილი მომსახურე პირი. სწორედ ამიტომ დ. ჰაიმზის მიერ მოცემული პირველი ორი ფაქტორის სახელწოდებები არ შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც უბრალო ტერმინოლოგიური დუბლეტები, რადგანაც გამგზავნი და ადრესანტი ან მიმღები და ადრესატი ყოველთვის შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს, ისევე როგორც ეს ზემომოყვანილ მაგალითში გამოჩენდა. ეს იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ სტატუსის მიხედვით არ იქნება საკმარისი სოციოლინგვისტური ცვლადების გამოვლენა. ამისათვის დ. ჰაიმზი გვირჩევს, რომ გამგზავნისა და მიმღების ფაქტორების კატეგორიების გამოვლენა უნდა მოხდეს მოცემული ჯგუფის როლებრივი სისტემის ტერმინებით.<sup>17</sup>

სოციალური როლის კლასიკური განმარტება ფუნქციონალისტური გაგებით 1936 წელს მოგვცა რ. ლინტონმა.<sup>18</sup> როლის ცნება უკავშირდება სოციალური ურთიერთქმედების ისეთი სიტუაციებს, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეგულარულად მეორდება ქცევის გარკვეული სტერეოტიპი. კონკრეტული ინდივიდი მრავალ როლში შეიძლება მოგვევლინოს; ამგვარად, როლი წარმოადგენს მთლიანი ქცევის მხოლოდ ცალკე აღებულ ასპექტს. როლის გაგებასთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა ინსტიტუციონალიზებული როლებრივი მოლოდინი (ექსპერტაციები); როლებრივი კონფლიქტი, როლებრივი დაძაბულობა (role-strain), როლების წყება (role-set), ადაპტაცია როლისადმი და მისთანები. როლის ცნება ფართოდ გამოიყენება სოციალურ ანთროპოლოგიაში (რ. ლინტონი, ბ. მალინოვსკი, ა. რ.

<sup>16</sup> დ. ჰაიმზი, დასახ. ნაშრ., გვ. 59.

<sup>17</sup> იქვე

<sup>18</sup> Современная западная социология. Словарь, М., 1990, с. 299.

რადგულიფუ-ბრაუნი, ს. ფ. ნეიდლი), მცირე ჯგუფთა თეორიაში (უ. ა. თომასი, ფ. ზნანეცვი, ჩ. ჰ. ჰ. ქული, ე. ჯევობსონი), სოციალურ ფსიქოლოგიაში (თ. შიბუტანი, ე. ზანდერი და სხვები), საშუალო დონის თეორიებში (კ. რიცლერი, მ. შელერი), სოციომეტრიაში (ჯ. ლ. მორენი), სოციალიზაციის თეორიაში (ზ. ფრონიდი, თ. პარსონსი), ფსიქიატრიაში. სფეროთა სიმრავლე ადასტურებს როლების თეორიის ეფექტურობას და მის მიერ საზოგადოებრივი პროცესების ასახვის ადეკვატურობას. რ. ლინტონმა მოგვცა როლის ცნების სოციოლოგიური ინტერპრეტაცია; საზოგადოებრივ ურთიერთობათა სტრუქტურაში მან გამოყო სტატუ-სები, ე. ი. გარკვეული პოზიციები და მათთან დაკავშირებული უფლე-ბა-მოვალეობანი; მან განსაზღვრა როლი, როგორც სტატუსის დინამი-კური ასპექტი<sup>119</sup>. აქ უპრიანი იქნება მოვიყვანოთ თანამედროვე ამერი-კელი სოციოლოგის ჰ. ბლუმერის სიტყვები: „ადამიანები... ცხოვრობენ მნიშვნელობის მქონე ობიექტთა სამყაროში... ამ სამყაროს კი თავიდან ბოლომდე სოციალური წარმომავლობა აქვს, რადგანაც მნიშვნელობე-ბი წარმოიშვებიან საზოგადოებრივი ურთიერთებების პროცესში.<sup>120</sup> იქედან გამომდინარე, რომ როლის გაგება უკავშირდება სოციალურ-ურთიერთებების ისეთ სიტუაციებს, როდესაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში რეგულარულად მეორდება ქცევის გარკვეული სტერე-ოტიპი, სავსებით კანონზომიერი იქნება, რომ ამ სტერეოტიპს თავისი კორელატები გაუჩნდეს ენობრივ სტრუქტურაში. რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება პირდაპირი და ცალსახა კორელაცია.

სოციოლინგვისტის თვალსაზრისით, სამეტყველო ქცევა წარმოად-გენს სოციალურად მისაღები ვარიანტის შერჩევის პროცესს. როდესაც ამ პროცესის შესახებ ვსაუბრობთ, პირველ რიგში მისი მრავალწახნა-გიანი ბუნება უნდა იყოს გათვალისწინებული; მით უმეტეს, რომ კოდის ერთგვაროვნება, რომელიც აღიქმება როგორც „ერთი და იგი-ვე“ სამეტყველო ერთობის ყველა წევრის მიერ, სხვა არაფერია, თუ არა ფიქცია, როგორც ამას აღნიშნავდა რ. იაკობსონი<sup>121</sup>. სოციალურად დეტერმინირებული სამეტყველო ქცევა წარმოადგენს პროცესს, რო-მელსაც თან სდევს რიგი შესაძლებელი შედეგი და რიგი შესაძლებელი

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> Blumer H. Sociological implications of the thought of G.-H. Mead // American Journal of sociology. 1966. V, 71, N5, p. 540.

<sup>121</sup> Main trends of research in the social and human sciences, pt. I, ch. VI. Paris, 1970, p.458.

რეალიზაცია. სამეტყველო ქცევის სოციოლინგვისტური მოდელირებისას კი მკვლევარმა უნდა წარმოაჩინოს სოციალურად მისაღები ვარიანტის შერჩევის კანონზომიერებანი. ეს არ არის ადვილად გადასაწყვეტი ამოცანა, რადგანაც არ არსებობს საზოგადოება, რომელიც ხასიათდება მარტივი შედგენილობის „ურთიერთობის მატრიცით“, როგორც მას ჯ. გამპერცი უწოდებდა<sup>122</sup>. ურთიერთობის მატრიცა ხომ მოცემული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი როლების ერთობლიობას წარმოადგენს. ყოველი განვითარებული ენა კი ფლობს საშუალებებს, რომლებიც, ლ. კრისინის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ემსახურებიან“ სხვადსხვა სოციალურ როლს<sup>123</sup>. პ. ს. კორდერი ამბობს, რომ „უმჯობესია ვისაუბროთ იმის შესახებ, თუ როგორ ხმარობენ ადამიანები ენას სხვადასხვა კონტექსტში, რომელიც „მარკირებულია“ გარკვეული ენობრივი ნიშნებით, ვიდრე ვთქვათ, რომ ისინი იყენებენ ენის ამა თუ იმ ნაირსახეობას. სოციოლინგვისტის ამოცანაა, გამოყოს ამგვარი მარკერები“<sup>124</sup>. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ის გზა, რომელიც თავიდან აგვაცილებს ისეთი მოდელის შექმნას, რომელსაც, შეიძლება, ერთი შეხედვით, მწყობრი ხასიათი ჰქონდეს, მაგრამ არ იქნება შესაბამისობაში რეალობასთან. აქედან გამომდინარე, ამჯერად უნდა გადავიდეთ სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელთა და ევფემათა, როგორც სოციოლინგვისტურ მარკერთა, განხილვაზე. ამ ტიპის ნაცვალსახელთა ფუნქციონირების სპეციფიკა მსოფლიოს ზოგიერთ ენაში სოციოლინგვისტური ასპექტით შესწავლილ იქნა სპეციალისტების მიერ<sup>125</sup>. თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ, ერთი მხრივ, ეს ნაშრომები ეხება ენათა მხოლოდ გარკვეულ წრეს, ხოლო, მეორე მხრივ, მათში ყურადღება გამახვილებულია შერჩევაზე მხოლოდ **შენ/თქვენ** ნაცვალსახელებს შორის, არ არის განხილული **ჩვენ** ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარების სპეციფიკა და, რა თქმა უნდა, არ

<sup>122</sup> Gumprez J. Types of Linguistic communities // Readings in the sociology of language. Mouton, 1970, p. 464

<sup>123</sup> Крысин Л. П. Ролевое общение и социальные роли говорящих // Социально-лингвистические исследования. М., 1976, с. 45

<sup>124</sup> Corder P.S. Introducing Applied Linguistics. Harmondsworth, 1973, p. 64.

<sup>125</sup> Brown R. W., Gilman A. The pronouns of power and solidarity // Style in language. L., 1960. Friendrich P. Social context and semantic feature: the Russian pronominal usage // Directions in sociolinguistics. 1972. Braun F. Terms of Address: Problems of patterns and usage in various languages and cultures. Berlin, New York, Amsterdam, 1988.

განიხილება ზმნათა ევფემატურობა.

თავიდანვე უნდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებას, რომ ნებისმიერი დასკვნის საფუძვლად გამოყენებული იქნება ის ფაქტობრივი მონაცემები, რომლებსაც გვაწვდის ჩვენ მიერ შერჩეული ენობრივი მასალა. სწორედ ეს მასალა აბათილებს თავის დროზე საკმაოდ სერიოზულად გამოთქმულ დებულებას, რომლითაც ეჭვი შეჰქმნდათ იმაში, რომ მოცემული მოლაპარაკე იყენებს ორ ან მეტ სხვადასხვა სტილს ერთი პიროვნებისადმი მიმართვის დროს<sup>126</sup>. ეს გამონათქვამი ენათმეცნიერებაში ცნობილი სწორხაზოვანი მიღღომის ერთ-ერთი მაგალითია, მიღგომისა, რომლის საშუალებითაც მსგავს შემთხვევებში ხშირად მიუღიათ მავანისათვის სასურველი, მაგრამ რეაობის არამსახველი შედეგი. რა თქმა უნდა, დაუშვებელია, „სტილის სოციალურად ღირებული განსხვავებების“ უსიტყვოდ იგნორირება.<sup>127</sup> ზემოაღნიშნული დებულების გასაბათილებლად კვლავ უნდა მოვიყვანოთ მაგალითები „ამირანდარეჯანიანიდან“, სადაც **ჩვენ** ნაცვალსახელის მეორეული მნიშვნელობით ხმარების ორი შემთხვევა დასტურდება:

1) „სავარსამიძესა, გამორჩეულსა ჭაბუკა, გიბრძანებს მეფობა **ჩვენი**. მხიარულ ვარ სიცოცხლისა შენისათვის, ვმადლობ ღმერთსა, რომელ ჯერეთ ცოცხალ ხარ, ან, რა წაიკითხო ესე წიგნი, სწრაფით წამოდი წინაშე **ჩვენსა**, რომელ **ჩვენ** გავიხარნოთ ნახვითა შენითა, და ვითა მამა, ისრე პატივით დაგიჭიროთ და განგისვენოთ, ვითა გამზრდელსა და გვითხრობდი ამბავთა პატრონისა შენისა. ამირან დარეჯანისათა და განმიქარვე შეჭირვება, რომელ არს გულსა ჩემსა და ცოცხლებით იყავ!“ (ამირ., გვ. 286).

სიტუაციის უფრო სრულად აღქმისათვის საინტერესო იქნება ამ პასაუის ინგლისური თარგმანი (N.B. მთარგმნელი ინგლისელია):

To Savarsamidze, the renowned dchabuki: **Our Majesty** sends you this summons. - We rejoice that you are still alive, and thank God for granting you length of days. Now as soon as you have read this letter from us, make haste to appear before us, that the sight of you may rejoice us. We will treat you as if you had been tutor to us in our boyhood - while you shall tell us the story of your lord Amiran Darejanisdze, and to dispel melancholy which oppresses our heart! - Long life to you! (Amir., p. 8).

2) „ვინათგან ღმერთსა ამ უამამდის მოუწევიხარ, ასე არა ეგების,

<sup>126</sup> Bloch B. A Set of Postulates for Phonemic Analysis // Language, 24, 1948.

<sup>127</sup> Fries C.C., Pike K.L. Coexistent Phonemic Systems //Language, 25, 1948. p.29.

თუმცა არა გნახა მეფობამან **ჩვენმან**. ან წარმომივლენიან ორნი დიდებულნი ჩემნი—ჯაუნარ და ომარ. და შემიკაზმავს კუბო, რომელ შეხვიდე შიგა, უჭირველად მოგიყვანონ აქა. და მე ვფიცავ ღმერთსა ცხოველსა, რომელ მოსვლისაგან კიდე არა არს წამალი!“ (ამირ., გვ. 287).

‘Since God has spared you thus long, **Our Majesty** must not fail to see you. Now I have dispatched Jaunar and Omar, two of my barons, to you, with a furnished litter: climb into this and they will bring you to us without hardship. For by the living God, I swear that you must come!’ (Amir., p. 8-9).

ბოლო მაგალითში **ჩვენ** მხოლოდ ერთხელ გვხვდება („...თუმცა არა გნახა მეფობამან **ჩვენმან**“); დანარჩენ შემთხვევებში არის **ჩემნი** და **მე**. ამასთან დაკავშირებით ინგლისელი მთარგმნელი სქოლიოში შენიშნავს: „აქ და სხვაგან თარგმანი ასახავს ცვალებადობას ტექსტში მხოლობითსა და სამეფო მრავლობითს შორის“.<sup>128</sup> ეს შენიშვნა სწორედ იმისათვის გახდა აუცილებელი, რომ ამ შემთხვევაში ჩვეულებრივად მოსალოდნელი იყო **ჩვენ** ნაცვალსახელი.

ორსავე წერილში მეფე მიმართავს ერთსა და იმავე პირს, და აქ არხის ფუნქციას წერითი მეტყველება ასრულებს. ახლა კი ვნახოთ, რა მდგომარეობაა, როდესაც მეფის იმავე პიროვნებასთან საუბრისას კავშირის არხს ზეპირმეტყველება წარმოადგენს:

„—სავარსამისძეო, გამხიარულდა გული ჩემი ხილვითა შენითა და ამისთვის შენცა მხიარულ იყავ, რომელ ვითამცა მშობელი ხარ **ჩემი**, ეგრე დაგიჭირო! და თუ გინდეს სახლსა შენსა წასვლა, დიდითა პატივითა და დიდებითა გაგგზავნო“. (ამირ., გვ. 287)

ეს მაგალითი გამონაკლისს არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ერთი და იმავე პირისადმი წერილობით მიმართვისას მეფე **ჩვენ** ნაცვალსახელით აღნიშნავს თავის თავს, ხოლო ზეპირად მიმართვისას — **მე** ნაცვალსახელით. პირველ შემთხვევაში გვაქვს სამეფო **ჩვენ** (*pluralis maiestatis*); და ეს სავსებით კანონზომიერიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მის წარმომავლობას. მეფის მხრიდან წერით მეტყველებაში ხმარებული *pluralis maiestatis*, რა თქმა უნდა, არის სტატუსის ინდიკატორი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ეს მხოლოდ წერით მეტყველებაში ხდება და არა ზეპირში, მაშინ მას **არხის**

<sup>128</sup> Amirani Darejaniani. A cycle of medieval Georgian tales traditionally ascribed to Mose Khoneli. Translated by R. M. Stevenson. Oxford, 1958, p. 8, fl. 2.

**მარკერი** უნდა ეწოდოს. აქ არხი ნამდვილი სოციოლინგვისტური ცვლადია, მით უმეტეს, თუ მას შესაბამისი მარკერიც ახლავთ თან. ამასთანავე, ამ შემთხვევას კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებს: აქ არ მოქმედებს მიმღების ფაქტორი. ეს ფაქტი კიდევ ერთ დებულებას უარყოფს. კერძოდ, თ. შიბუტანი აღნიშნავს, რომ ადამიანთა ნებისმიერ სოციალურ ქმედებაში „როლები ერთმანეთთან სავალდებულო ურთი-ერთობაში არიან, როგორც დრამაში ნებისმიერ როლს მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც იგი დაკავშირდებულია სხვა მოქმედი პირების ქცევასთან“.<sup>129</sup> მეფის მხრიდან წერითი მეტყველების დროს, როგორც ვედავთ, თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მიმღების სტატუსს ან როლს.

სამაგიეროდ, თ. შიბუტანის დებულება დასტურდება სიტუაციური ვარირების სხვა შემთხვევაში. ა. შვეიცერი აღნიშნავს: „თუ სტრატიფი-კაციული ვარირება თავის ასახვას პოულობს იმ ენობრივ და სამეტყველო განსხვავებებში, რომლებიც წარმოჩნდება სხვადასხვა სოციალური ფენისა და სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის, მაშინ სიტუაციური ვარირება ვლინდება ამა თუ იმ ენობრივი საშუალების—ცალკეული ერთეულების თუ მთელი სისტემების ან ქვესისტემების (ენობრივი, დიალექტური, ფუნქციურ-სტილისტური) უპირატეს გამოყენებაში სოციალური სიტუაციის შესაბამისად“.<sup>130</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ ზოგ შემთხვევაში სტრატიფიკაციულობა შეიძლება რელევანტური აღარც იყოს და შესაბამისად, აღარც აისახოს ენობრივად, რაც იმაზე მეტყველებს, რომ სოციოლინგვისტური ანალიზის დროს ერთგანზომილებიანი მიღგომა მცდარ შედეგს მიგვაღებინებს. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს როლების თეორიის ადეკვატურობას, რომლის მიხედვითაც როლი წარმოადგენს სტატუსის დინამიკურ გამოვლინებას. შესაბამისად, ლინგვოსოციურის ერთ წევრს სხვადასხვა დროს სხვადასხვა როლის შესრულება უწევს.

სიტუაციური ვარირება უკავშირდება ენის ფუნქციური გამოყენების სოციალურ სიტუაციებს, ე. ი. სათანადო ენობრივი ერთეულის შერჩევა დამოკიდებულია მოცემულ ვითარებაზე ორ ინდივიდს შორის კომუნიკაციის დროს.

ავილოთ რამდენიმე მაგალითი „ვისრამიანიდან“.

<sup>129</sup> Шибутани И. Социальная психология. М. 1969, с. 45.

<sup>130</sup> ა. შვეიცერი, დასახ. ნაშრ. გვ. 79.

ზარდი მიმართავს მოაბადს:

„ღმერთმან ბევრ წელს გყოს, ღმრთისაგან და ბედისაგანმცა მხია-  
რულნი ხართო და **თქვენი** მტერნი **თქვენითა** ხრმლითა მოკ-  
ლულნი და დამონებულია...“ (ვისრ. გვ. 21);

„ზოგნი მუნებულნი თვით **თქვენ** არ გიცნობენ და ყოვლისა ქვე-  
ყნისა პატრონი ვირო ჰგონია. და არცა თვით სხვა ხელმწიფე ჰგონია.  
**თქვენ** ზოგნი დამპალობით გიყივიან, ზოგნი მოაბადყოფილობით!“  
(ვისრ., გვ. 22).

ეს ოფიციალური მიმართვის ნაწილია.

მეორე შემთხვევაში მოაბადი და ზარდი ფარულ მოლაპარაკებას  
აწარმოებენ (ზარდი კი მისი ძმაა):

„....დიადი საქონელი, ოქრო, სამყაული და ყველასთანა შაპროს  
გაუგზავნე და საქონლითა მოალორე და სხვაცა ურიცხვის უქადე და  
ენითა ჰამოითა მით საუკუნო შეაშინე და ეგრე უთხარ...“ (ვისრ. გვ. 37).

პირველ ორ მაგალითში გამგზავნის (ადრესანტის) როლი ნაკლებია  
მიმღებისაზე (ადრესატისაზე), ე. ი.  $R_x < R_y$ , რის შედეგადაც გვაქვს  
მიმართვის თავაზიანი ფორმა.

მესამე მაგალითში მოცემულ სამეტყველო აქტში .იგივე პირები  
მონაწილეობენ. ოღონდ აქ სიტუაციური ვარირების გამოვლინებას  
ხელს უწყობს ის, რომ ქვეშევრდომი კი არ მიმართავს მეფეს, არამედ  
ძმა მიმართავს ძმას (ისინი აქ სწორედ დედმამიშვილების როლში  
გამოდიან); შესაბამისად, მათი როლები ტოლია. ე. ი.  $R_x = R_y$ , რის  
შედეგადაც გვაქვს ფამილარული, ევფემატურად არამარკირებული მი-  
მართვა.

სოციალური როლის, როგორც სტატუსის დინამიკური ასპექტის,  
გაგება ძალზე მოსახერხებელია მსგავსი სამეტყველო ქმედებების ადეკ-  
ვატური სოციოლინგვისტური კომენტირების თვალსაზრისით. ამან შე-  
იძლება დაგვაზღვიოს რამდენიმე საკმაოდ სერიოზული უზუსტობის-  
გან. მაგალითად, სოციოლინგვისტური ცვლადების გვერდით თითქოს  
იკვეთება სოციოლინგვისტური კონსტანტები. ეს შთაბეჭდილება შეიძ-  
ლება გაჩნდეს იმ შემთხვევებთან დაკავშირებით, როდესაც ადრესატი  
მეფეა; კერძოდ, მეფეს ყველა (თუნდაც მთქმელიც მეფე იყოს) მიმარ-  
თავს თავაზიანად; არ იყენებენ ფამილარულ ფორმებს. მაგრამ ეს  
შთაბეჭდილება მირაჟული ხასიათისაა, რადგანაც თვით მეფეც, ისევე  
როგორც საზოგადოების ნებისმიერი წევრი, ასრულებს სხვადასხვა  
როლს, მაგალითად, შვილისას:

„რად ხარ ნიადაგ დალრეჯილი, რომელ წამსაცა არა გაქვთ სიხა-რული? რა გიჭირს ეგეთი? ერანისა და თურანის პატრონი ხარ, ჩინით ყირივნამდის ყველა შენია და შენსა ფარმანსა ქვეშე არის. ნუ ხარ მიწყით ესრე შეჭირვებით. უმხიარულობისათვის შენი სული რად არ გებრალების? ანუ მე, ბერი დედა, შენისა ეგრე ხედვისათვის რად არ გეწყალვი? ყოველი კაცი სიბერისა უამსა გაკეთდების, რა სიყრმისა სირეგვნე დააგდოს, ამით რომელ მას სიბერე მასწავლებლად ეყოფის, თმა თეთრი შემაგონებლად. ავსა საქმესა ბერი აღარ დაებმის და სიბერესა შიგან სიყრმესა ვეღარ ეძებს. შენ ვითაცა ჰბერდები, უარე და უარე ხარ. შენითა ეგეგვარობითა გული ჩემი დაგიწყლულებია. ზენაარ, რომელ ჩემი შეიგონეო და შენისა თავისა“ (ვისრ., გვ. 132-133).

**მოცემულ გარემოს** (როგორც სამეტყველო ქცევის კომპონენტს) სრულად წარწოადგენს ის აბზაცი, რომელიც წინ უძლვის მოყვანილ მაგალითს:

„რა შაპი მოაბად კვირა ერთი შინა გამოისვენა, დარბაზობა შექ-მნის და კიდე მალე გაყაროს, ვითა მგლოვიარე დაჯდის, მიწყით დალრეჯილი იყვის. ღამესა ერთსა დედამან ეგრე მოახსენა“ (ვისრ. გვ. 132).

ეს აბზაცი ცხადყოფს, რომ დედა-შვილის საუბარს არავინ ესწრება, ხოლო დედის სიტყვები წარმოგვიდგენს საუბრის თემას: იგი კი პირა-დულ საკითხებს ეხება. სოციოლინგვისტურად იგივე ინვენტარია გამო-ყენებული დედის შემდგომ სიტყვებშიც მოაბადის მიმართ:

„მტკიცედ შემომფიცე, რომელ ავი არა უყო რამინს, არც-არა ვისსა და არცა რას ემტერებოდე, და რაცა აწ შემომფიცო, ყველა გაასრუ-ლო, რა აქა მოვიდენ; დია არ გამანბილო ღმერთსა და კაცთანა და მე მოგახსენო სადაცა არიან, და რა ესე შემაჯერო, მაშინდა გამოგიცხა-დებო“ (ვისრ. გვ. 133-134).

როგორც ვხედავთ, მოცემული როლის ლინგვისტური რეალიზაციი-სათვის როგორც გამგზავნის, ისე მიმღებისათვის საჭიროა შესაბამისი გარემო და შესაბამისი თემა. ორივე ეს კომპონენტი წარმოდგენილია დ. ჰაიმზთან. თუმცა სწორედ სოციალური როლების თეორიისა და სამეტყველო ქცევის კომპონენტების ურთიერთმიმართების თვალსაზ-რით უნდა აღინიშნოს, რომ დ. ჰაიმზი თავის ზემოხსენებულ ნაშრომში „მეტყველების ეთნოგრაფია“ ეყრდნობოდა რ. იაკობსონის იდეებს. აკტორი თვითონვე აღიარებს, რომ მის მიერ წარმოდგენილ მოდელზე „უშუალო გავლენა მოახდინა-ფაქტორებისა და ფუნქციების იმ გაგე-

ბამ, რომელიც მოცემული იყო რ. იაკობსონის დასკვნით გამოსვლაში სტილის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, რომელიც ჩატარდა ინდიანას უნივერსიტეტში 1958 წლის აპრილში სოციოლოგიურ გამოკვლევათა კომიტეტის მხარდაჭერით. მოგვიანებით გამოქვეყნებულ გამოსვლის ტექსტში გამოყოფილია [მხოლოდ—ზ.კ.] ექვსი ფაქტორი და მათი შესატყვისი ფუნქციები “<sup>13</sup>. რაც შეეხება ფაქტორების რაოდენობას, ა. შვეიცერი მათ უფრო სრულ წუსხას გვაწვდის რ. იაკობსონის მიხედვით.

განვიხილოთ საკომუნიკაციო მოვლენათა კომპონენტები სწორედ მათი გავრცობილი სახით:

1. **შეტყობინების ფორმა.** მნიშვნელობა აქვს არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა ითქმება, არამედ ასევე იმასაც, თუ როგორ ითქმება. საკომუნიკაციო კომპეტენციის შესასწავლად არსებითია მოცემული კოლექტივის სამეტყველო კომუნიკაციის საერთო საშუალებათა გამოვლენა. შეტყობინების ფორმის შესწავლა ვრცელდება არა მარტო მხატვრული მეტყველების უანრულ-სტილისტურ დიფერენციაციაზე, არამედ სასაუბრო ენის სიტუაციურ ვარიანტულობაზეც.

2. **გამონათქვამის შინაარსი.** ეს კომპონენტი პირველ რიგში შეიცავს სამეტყველო აქტის თემასა და მის ვარირებას. სამეტყველო ქცევის წესები, რომლებიც დაკავშირებულია გამონათქვამის ამა თუ იმ თემასთან და თემის შეცვლასთან, წარმოადგენს საკომუნიკაციო კომპეტენციის ნაწილს.

3. **გარემო.** აქ შედის სამეტყველო აქტის დრო და ადგილი, და უფრო სრულად მისი ფიზიკური გარემოცვა;

4. **სცენა.** სამეტყველო აქტის სცენა აღნიშნავს მის ფსიქოლოგიურ გარემოს და განსაზღვრავს მის არსს მოცემული კულტურის ტერმინებით. ერთსა და იმავე ფიზიკურ გარემოში საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შეუძლიათ პერიოდულად გადახედონ თავიანთი სამეტყველო ურთიერთებების ხასიათს (ოფიციალური—არაფორმულური, სერიოზული—საზემო და მისთ);

5. **მთქმელი;**

6. **ადრესანტი;**

7. **მსმენელი ან აუდიტორია;**

8. **ადრესატი.**

ბოლო ოთხი კომპონენტის ილუსტრირება ხდება შემდეგი შაგალი—თებით: აბიპონები (არგენტინა) ყოველ სიტყვას ბოლოში დაურთავენ

სუფიქსს—in, თუ სამეტყველო აქტის ერთ-ერთი მონაწილე მიეკუთვნება მეომართა წოდებას. მეორე მაგალითი ვიშრამელ ჩინუკებს ეხება და იგი ჩვენ ზემოთ განვიხილეთ.

**9. მიზნები (შედეგები).** ისინი ზოგჯერ სამეტყველო აქტის განმარტებაში შედის. მაგალითად, ვაივაებისათვის (ვენესუელა) ცენტრალურ სამეტყველო მოვლენას წარმოადგენს ოპო-ს სიმღერა, რომელსაც აქვს რამდენიმე ვარიანტი იმის მიხედვით, თუ რა არის მისი მიზანი: საქორნილო კონტრაქტი, სავაჭრო გარიგება, ერთობლივი შრომა, სუფრასთან მიპატიუება და მით.

**10. მიზნები (ობიექტები).** სამეტყველო ურთიერთქმედების მონაწილეებს შესაძლოა სხვადასხვა მიზანი ჰქონდეთ ერთი და იმავე შედეგის შემთხვევაში. განსხვავებულ ობიექტებს და შესაბამისად, სამეტყველო აქტში მონაწილეთა განსხვავებულ სტრატეგიას არსებითი გავლენის მოხდენა შეუძლია სამეტყველო მოვლენის ფორმაზე;

**11. გასაძლები.** ეს კომპონენტი გულისხმობს სამეტყველო აქტის ტონალობას და მის მანერას. აქტები, რომლებიც არ განსხვავდებიან გარემოს, მონაწილეების, შეტყობინების ფორმისა და ა.შ. მიხედვით, ერთმანეთისაგან შესაძლოა გასაძლებით განსხვავდებოდნენ (მაგალითად, სახუმარო თუ სერიოზული, დაუდევარი თუ მონდომებული). ზოგჯერ გასაძლები გამოდის ამა თუ იმ კომპონენტის აუცილებელი ატრიბუტის როლში: სცენის, მონაწილის, აქტის კოდის, უანრის. მაგალითად, სერიოზულობა ასოცირდება ეკლესიასთან, მოსამართლესთან, ფიციანთან, დასაფლავების ცერემონიალთან.

**12. არხები.** არხის შერჩევაში იგულისხმება ზეპირი თუ წერითი მეტყველების, ტელეგრაფის, შუქნიშნის თუ სამეტყველო სიგნალების გადაცემის სხვა საშუალებათა ამორჩევა. მხედველობაში მიღება აგრეთვე არხების გამოყენების საშუალებები (მაგალითად, სიმღერა და სტვენა, როგორც ზეპირმეტყველების ელემენტები), მათი იერარქია და ურთიერთვავშირი;

**13. სამეტყველო ფორმები.** კოლექტივის სამეტყველო რესურსების აღწერისას გაირჩევა მეტყველების ისეთი ფორმები, როგორიცაა ენები და დიალექტები (მაგალითად, ერთი მოცემული ენა და მისი ტერიტორიული დიალექტები), კოდები (ეს ტერმინი უკავშირდება დეკოდირებისა და მეტყველების ფორმების ურთიერთგასაგებობის პრობლემას) და რეგისტრები (ენის სიტუაციურად განპირობებული სახეს-ხვაობები) ან ფუნქციონალური ვარიანტები (მაგალითად, სალიტერა-

ტურო ენა და ხალხური მეტყველება);

14. **ურთიერთქმედების ნორმები.** მას მიეკუთვნება სამეტყველო ქცევის ყველა წესი (მაგალითად, უფლება, რომ შეანყვეტინო საუბარი თანამოუბარს, რეპლიკათა თანამიმდევრობა, მხოლოდ ჩურჩულით საუბრის ნება მღვდელთმსახურების დროს და ა.შ.;

15. **ინტერპრეტაციის ნორმები.** ერთსა და იმავე სამეტყველო ქმედებას შესაძლოა განსხვავებული ინტერპრეტაცია გაუკეთდეს სხვადასხვა სამეტყველო კოლექტივში. მაგალითად, საშუალო კლასის თეთრკანიანი ამერიკელები გაუბედაობის, დაურწმუნებლობის სიგნალად იყენებენ ეგრეთ წოდებულ პაუზებს შემავსებლებს (ა.შ.-ის ტიპისა). ზანგები იმავე დანიშნულებით იყენებენ გამონათქვამის დასაწყისის გამოორებას (ხშირად მრავალჯერადს). თერთვანიანები ამას ხშირად სამეტყველო დეფექტად მიიჩნევენ;

16. **ჟანრები.** აქ შედის ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: ლექსი, მითი, ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა, წყევლა, ლოცვა, ორატორული გამოსვლა, ლექცია, რეკლამა, წერილი, მოწინავე სტატია. ჟანრის ცნება გულისხმობს მისი იდენტიფიკაციის შესაძლებლობას ტრადიციულად ცნობილი ნიშან-თვისებების საფუძველზე.<sup>181</sup>

ჩამოთვლილი კომპონენტების რეალური ძალა, რაც დასტურდება ფაქტობრივი მასალის საშუალებით, ცხადყოფს, რომ სოციოლინგვისტური კონსტანტა ძნელად თუ შეიძლება არსებობდეს. ამის მიზეზია სოციალური როლის დინამიკური ხასიათი. სწორედ როლებრივ ურთიერთობაზე დაკვირვებისას შეიძლება წარმოჩნდეს, რომ სოციოლინგვისტურ ცვლადთა შერჩევისას ლირებულია არა მარტო იერარქიული მიმართება, არამედ ისეთი ფაქტორიც, როგორიცაა ახლობლობა.

მაგ.—ამბრი მიმართავს თავის მეფეს:

„—ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე! გრძლად საუბარი საწყინო არის და მოხსენება ჩემი ესე ოდენ არის: დღედ სიკვდილამდის ჩემამდე არა შევიწყალო თავი ჩემი და სისხლი ჩემნი მსახურებისათვის შენისა“ (ამირ. გვ. 340).

იერარქიულობის თვალსაზრისით უნდა გვქონდეს ფორმულა  $R_x < R_y$ , უფრო სწორად  $S_x < S_y$ , ( $x$ -ის სტატუსი ნაკლებია  $y$ -საზე, რაც გვაძლევს თქვენ ნაცვალსახელს და, შესაბამისად, ევფემას), მაგრამ აქ ლირებულია სოციალური ფაქტორი: ახლობლობა. ამიტომაც გვექნება არა

<sup>181</sup> Швейцер А.Д. Этнография речи: теория американской социолингвистики //Этнология в США и Канаде. М., 1989, сс. 278-290.

$R_x < R_y$ , არამედ ( $R_x = R_y$ )  $\rightarrow \text{შენ}$ .

ამას ადასტურებს ისიც, თუ როგორ მიმართავს იგივე ამპრი იამანთ მეფეს:

„—ცხოვნდი, მეფეო, უკუნისამდე! პატრონი ჩემი, მეფე არაბთა, მისისა სამეფოსაგან კიდევანად მოკვდა. და ესე შეილი მისი დარჩო- მილ არს და არა აკლია წინაშე **თქვენსა**, მაგრა სულისაცა დაღება ჩემგან შეუძლებელ არს. ანე აქა იყოს პატრონისა ჩემისა არაბთა მეფისა ძე წინაშე **თქვენსა** და მე ოდენ მარტო წავიდე” (იქვე).

მოცემულ შემთხვევაში კომუნიკანტებს შორის დიდი სოციალური დისტანციაა, როგორც იერარქიულობის, ასევე ახლობლობის თვალ- საზრისით, ამიტომაც, ( $R_x < R_y$ )  $\rightarrow \text{თქვენს}$ .

დისტანციის ფაქტორი სხვა შემთხვევებშიცაა პოვნიერი.

ბადრი იამანის ძე მიმართავს შავ ჭაბუქს:

„—მოღმა ვერას გეტყოდი, სტუმარი ვიყავ და რადგან **თქვენ** გიბრძანებია, დია ღმერთო, წინაშე ვარო” (ამირ. გვ. 294).

შედეგის მიხედვით (თავაზიანი **თქვენ**) თითქოს უნდა გვექონდეს ფორმულა  $R_x < R_y$ , მაგრამ კომუნიკანტები იერარქიულად არ დიფერენ- ცირდებიან, მოქმედებს დისტანციის ფაქტორი; გამომდინარე,  $R_x = R_y$ , მაგრამ ეს აღნიშვნა არაა საკმარისი, რადგან ამგვარი. ფორმულა ფამილარულ მიმართვას გვაძლევს. მაშასადამე, უმჯობესი იქნება, თუ მას შემდეგ სახეს მივცემთ:

$$R_x \overset{D}{=} R_y,$$

სადაც  $D$  მრცემულ შემთხვევაში გამგზავნსა და მიმღებს შორის არსებული დისტანციის აღნიშვნელია. დისტანციის ფაქტორის გამო- რიცხვა მოგვცემს ფამილარულ მიმართვას:

ბადრი იამანისძე მიმართავს ინდო ჭაბუქს:

„—ძმაო, ასრევ **შენ** მიშველე, რა გამიჭირდესო (ამირ., გვ. 297). აქ გვაქვს ( $R_x < R_y$ )  $\rightarrow \text{შენ}$ , რადგან  $D=0$ .

$D$  კოეფიციენტის შემოტანა (შესაბამისმა ემპირიულმა მასალამ შეიძლება სხვა კოეფიციენტებიც გამოგვაყოფინოს) საშუალებას იძლე- ვა, სამეტყველო ქცევის სოციოლინგვისტური მოდელირების დროს თავიდან ავიცილოთ სწორხაზოვანი მიდგომის საშიშროება. მაგალი- თად, ფორმულა  $R_x < R_y$  ( $x$ -ის როლი ნაკლებია, ვიდრე  $y$ -ისა), ყოველ- თვის არ გვაძლევს **თქვენ** ნაცვალსახელსა და ევფემას, იგი არ გამორიცხავს შენობით მიმართვასაც. ეს კი ხდება მაშინ, როდესაც იერარქიულობის გარდა სხვა ფაქტორებიც მოქმედებს; უფრო სწო-

